

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2013, №1

განსჯადობა

საძიებელი

სამოქალაქო განსჯადობა

ადმინისტრაციული განსჯადობა

საერთო განსჯადობა

ტერიტორიული განსჯადობა

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის უპირატესობა

ნივთობრივი განსჯადობა

განსჯადობა უძრავი ნივთის ფაქტობრივი

ადგილსამყოფლის მიხედვით

საერთო განსჯადობის წესი

არაგანსჯად სასამართლოში წარდგენილი სარჩელის

განსჯად სასამართლოში გადაგზავნის წესი

განცხადებისა და საჩივრების განსჯადობა

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

განცხადების განსჯადობა

ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის

დაკისრების თაობაზე საჩივრის განსჯადობა

სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ

განჩინების გასაჩივრების წესი

საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე

განცხადების განსჯადობა

საქმის წარმოების განახლების შესახებ

განცხადების განსჯადობა

სამოქალაქო და ადმინისტრაციული

ურთიერთობებიდან გამომდინარე განსჯადობა

განსჯადობა სარჩელზე, რომლის ძირითადი სასარჩელო

მოთხოვნა სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნაა

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№8ს-487-483(გ-11)

6 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ე. გ-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 19 აგვისტოს ე. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – შემოსავლების სამსახურის მიმართ და მოითხოვა ე. გ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 20 ივლისის ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ე. გ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 20 ივლისის ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებზე და განმარტა, რომ დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის არსებობა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 31 მარტის №248 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის დებულება და ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ დებულების დამტკიცების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის «საგადასახადო დეპარტამენტის და საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის №170 ბრძანება. ბრძანების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2010 წლის 1 აპრილი.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა ასევე «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლსა და ამავე კანონის 9.1 მუხლზე, ასევე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონზე.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სსიპ შემოსავლების სამსახური ადმინისტრაციული ორგანოა, რომლის დებულება დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 31 მარტის №248 ბრძანებით, შესაბამისად იგი მართალია ახორციელებს საჯარო საქმიანობას, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ მის თანამშრომლებთან დაკავშირებული შრომითი სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე დავა განხილულ უნდა იქნას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავას ვერ აქცევს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად, რამდენადაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის არსებობა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ მოსარჩელის გათავისუფლების ბრძანება არ განეკუთვნება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან იგი არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მოსარჩელის მოთხოვნებზე არ ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი და სსიპ შემოსავლების სამსახურში საქმიანობა არ განიხილება საჯარო სამსახურად «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ასევე მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებული «საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრზე», რომლის თანახმად საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში არ შედის შემოსავლების სამსახურის მოსამსახურე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინებით მოსარჩელე ე. გ-ის სასარჩელო განცხადება სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის მიზნით გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, ამასთან, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლ ნაწილზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ე. გ-ის გათავისუფლების შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 20 ივლისის ბრძანებას სამართლებრივ საფუძვლად დაედო «შემოსავლების სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი. «საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ» შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 17 მაისის №388 ბრძანება, «საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა მიღების (მათ შორის კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №257 ბრძანება, «შემოსავლების სამსახურის სისტემაში ატესტაციის ჩატარების შესახებ» შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 10 ივნისის №698 ბრძანება, «შემოსავლების სამსახურის სისტემის თანამშრომელთა ატესტაციის შესახებ» შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 12 ივლისის №971 ბრძანება. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ყურადღება მიაქცია ასევე იმ გარემოებაზე, რომ სადავო ბრძანებაში სამართლებრივ საფუძვლად არ არის მითითებული საქართველოს შრომის კანონმდებლობა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და ახორციელებს საჯარო საქმიანობას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტიდან გამომდინარე. აღნიშნულის გათვალისწინებით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, გასაჩივრებული ბრძანება გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან მიეკუთვნება ადმინისტრაციული დავის საგანს. შესაბამისად აღნიშნულისა, ჩათვალა, რომ მოცემული აქტების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების გამო წარმოშობილი დავაც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რამდენადაც აღნიშნული არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

როგორც ცნობილია, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. «ა» მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, მართლაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა, აღნიშნული არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.2. «დ» მუხლით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 1.1 მუხლი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს

წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 2.1 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნავს შემდეგს, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, საგულისხმოა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურში საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, რამდენადაც ეს დაწესებულება ამ ნუსხაში არ მოიაზრება.

«საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01 წ. ბრძანებულებით განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა რეესტრი, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელეთათვის კიდევ ერთი ნორმატიული დადასტურებაა სტატუსთან მიმართებაში, შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად ის განხილული ვერ იქნება საჯარო მოსამსახურედ.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №257 ბრძანებით დამტკიცებული «საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა მიღების (მათ შორის კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესი» არ ეყრდნობა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე-36-ე და ამავე კანონის 81-ე-87-ე მუხლებს, შესაბამისად სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოექცევა მითითებული სამართლებრივი ნორმების რეგულირების სფეროში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ე. გ-ის, როგორც სსიპ შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის მომსახურების სამმართველოს მთავარი ოფიცრის, გათავისუფლების კანონიერების შეფასებისას არ გამოიყენება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის დებულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის სუბიექტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ე. გ-ის სამსახურიდან გათავისუფლების დროს შეწყდა კერძოსამართლებრივი-შრომითი ურთიერთობა, ერთის მხრივ ადმინისტრაციულ ორგანოსა და მეორე მხრივ – ფიზიკურ პირს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნია სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიაზე შრომით-სამართლებრივ და მის თანმდევ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს შრომის კოდექსი, თუ შრომითი ურთიერთობა განსხვავებულად არ არის დარეგულირებული სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ, სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, სსსკ-ის 11.1. «ა» მუხლის მიხედვით: სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია (როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირები) ადმინისტრირებისას, ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების პროცესში, არცთუ იშვიათად იყენებს ბრძანებას, როგორც გადაწყვეტილების ფორმას, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე ბრძანების ფორმით ადმინისტრაციის ნების გამოხატვას, რაც «საქართველოს შრომის კოდექსის» 6.3 მუხლის საფუძველზე უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ე. გ-ის სარჩელი მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2 და 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე და 408-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ე. გ-ის სარჩელი მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-1700-1656(გ-10)

18 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წევლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 29 დეკემბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სარჩელი აღძრა ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე – ა. შ-ძის მიმართ, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საქმის გარემოებები:

მოპასუხე – მარნეულის ყოფილმა გამგებელმა ა. შ-ძემ 2004 წლის 8 დეკემბრის №461 წერილით მარნეულის რაიონის გამგეობის სახელით იკისრა ვალდებულება, თბილისში მცხოვრები ვ. გ-იას ოპერაციის ხარჯების – 10631 ლარის დაფინანსების თაობაზე.

მარნეულის რაიონის გამგეობის 2005 წლის 28 აპრილის №162 განკარგულების საფუძველზე შპს «...» ჩაერიცხა 3000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის მუნიციპალური პროგრამიდან, ხოლო დარჩენილი დავალიანების 7631,14 ლარის მოთხოვნით შპს «...» მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა და მარნეულის გამგეობას დაეკისრა 7 631, 14 ლარის გადახდა.

მოსარჩელის მოსაზრებით, მარნეულის ყოფილმა გამგებელმა – ა. შ-ძემ უფლებამოსილების გადამეტებით გასცა საგარანტიო წერილი და გადარიცხა ბიუჯეტის კუთვნილი თანხა თბილისში მცხოვრები ვ. გ-იას ოპერაციის დასაფინანსებლად, რითაც არამიზნობრივად გამოიყენა გამგეობის ბიუჯეტი და შექმნა საფუძველი იმისა, რომ სასამართლოს დაეკმაყოფილებინა «...» სარჩელი.

მოპასუხე – ა. შ-ძე არ ეთანხმება სარჩელს და განმარტავს, რომ მას არ დაურღვევია «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის» შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, ვინაიდან არც ერთი ნორმა არ შეიცავს მითითებას მხოლოდ რაიონის მკვიდრთა დაფინანსების შესახებ.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით მარნეულის რაიონის გამგეობის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ა. შ-ძეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 7631 ლარის გადახდა.

2010 წლის 5 მაისს ა. შ-ძემ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება, რის საფუძველზეც მას მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სასარგებლოდ დაეკისრა 7631 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2010 წლის 8 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადასცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ედავება რაიონის ყოფილ გამგებელს – ა. შ-ძეს, რომელსაც მოსარჩელის აზრით არ ჰქონდა სამართლებრივი უფლებამოსილება გამოეყო სოციალური დახმარება კერძო პირისათვის, რომელიც არ ცხოვრობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დავა წესრიგდებოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობით და წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დავას, რომელიც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით აპელანტ ა. შ-მის სააპელაციო საჩივარი ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაზე, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველი დავის შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობები (დელიქტური ვალდებულებები). ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება, მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოს – მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნა, მოპასუხე – ფიზიკური პირისაგან მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ვერ განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამასთანავე დავის იურიდიულ ბუნებას არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ამრიგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 «ა» მუხლის თანახმად, დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას, მიაჩნია, რომ სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის ობიექტს წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, მოპასუხე – ა. შ-მისათვის რეგრესის წესით მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავ კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ სასარჩელო მოთხოვნა, რის თაობაზეც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ და საკასაციო სასამართლო წყვეტს დავას განსჯადობის თაობაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია. საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნული პრინციპი აისახა ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლში, რომლის თანახმადაც «სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ, მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო».

«სახელმწიფო ორგანოში» იგულისხმება ის ორგანოები, რომლებიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში, კერძოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად: «ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო».

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 1.1 მუხლის მიხედვით საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება, პირველ რიგში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი (სპეციალური) განსაკუთრებული წესი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როდესაც კონკრეტული დავის შემთხვევაში გასარკვევია ადმინისტრაციული ორგანოს ან მისი თანამდებობის პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 თავი, როგორც სპეციალური ნორმები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობა ვერ წესრიგდება აღნიშნული ნორმებით, შესაბამისად, გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლისა. ამდენად, აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატება პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით. როგორც აღინიშნა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი აწესრიგებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ სპობს სახელმწიფოს წინაშე საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის საკითხს.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

განსახილველი დავის საგანი მოსარჩელის დისპოზიციური პრინციპის რეალიზაციის შედეგად ეფუძნება რეგრესულ მოთხოვნას, კერძოდ, თვითმმართველობის ორგანომ გამგებლის საგარანტიო წერილის საფუძველზე თანხა გადაურიცხა კარდიოლოგიურ კლინიკას, რაც თვითმმართველობის სახსრების არამიზნობრივ ხარჯად მიაჩნია და ამ თანხის გამგებლისაგან დაბრუნებას ითხოვს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის ობიექტს წარმოადგენს საგნობრივი განსჯადობის განსაზღვრა. აღნიშნულის გარკვევას საფუძვლად უნდა დაედოს რეგრესის ინსტიტუტის რაობა და ადგილი სამართლებრივ სისტემაში.

რეგრესის მოთხოვნა (წარმოდგება ლათინური ტერმინიდან – რეგრესუს – უკან მოძრაობა; ინგლისურად – რევერსე დემანდ) – სამოქალაქო სამართალში პირის მოთხოვნა (რეგრესანტი), რომელმაც განახორციელა კრედიტორისათვის მესამე პირისადმი /რომლის ბრალითაც განხორციელდა გადახდა/ განკუთვნილი თანხის გადახდა, კრედიტორისათვის გადახდილი თანხის უკან, რეგრესანტისათვის დაბრუნების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უფლება – რეგრესული მოთხოვნის თაობაზე დამახასიათებელია მაგ: სოლიდარულ ვალდებულებით ურთიერთობებში; საერთო წესის მიხედვით – მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, გააჩნია რეგრესული მოთხოვნის უფლება სხვა ვალდებული პირების მიმართ, თანაბარ წილად, მისი პირადი წილის გამორიცხვით.

ასევე, რეგრესული მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ. პირს, რომელმაც ანაზღაურა სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანი, გააჩნია რეგრესის უფლება ამ პირის მიმართ (მაგ: სამსახურებრივ, თანამდებობრივ ან სხვა შრომითი მოვალეობების შემსრულებელი მუშაკის, ან პირის, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას).

რეგრესული მოთხოვნა ასევე შეიძლება წამოყენებულ იქნეს საბანკო გარანტიის ურთიერთობებში.

რეგრესის, როგორც მატერიალური უფლების რეალიზაციის პროცესუალურ საშუალებას ემსახურება რეგრესული სარჩელი, როგორც სასამართლოსადმი მიმართვა მოთხოვნით – გამოიტანოს გადაწყვეტილება

პირის სუბიექტური უფლების – რეგრესული მოთხოვნის არსებობის აღიარების (ცნობის) და ამ მოთხოვნის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგრესის ინსტიტუტს გააჩნია არა საჯარო-სამართლებრივი კომპეტენციების აღსრულების, არამედ, კერძო სამართლებრივი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნება, რამდენადაც იგი თავის თავში მოიცავს მესამე პირის მიერ მოვალე პირისათვის ანაზღაურებული თანხის უშუალოდ ვალდებული პირისაგან უკან დაბრუნების მოთხოვნას. აღნიშნულ სამართალურიერთობას არ გააჩნია სუბორდინაციული ხასიათი, არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, დამდგარი შედეგი არ ემსახურება ადმინისტრაციული სამართლის ნორმების აღსრულებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონფლიქტს საჯარო-სამართლებრივ კონტექსტს ვერ შესძენს ის გარემოება, რომ რეგრესული მოთხოვნის უფლების რეალიზაციის სუბიექტს წარმოადგენს თვითმმართველობა, ხოლო რეგრესანტს – ყოფილი თანამდებობის პირი, ვინაიდან საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა კვალიფიცირდება არა ურთიერთობის სუბიექტების, არამედ ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის მიხედვით.

ამდენად, მოცემული დავა ატარებს არა საჯაროსამართლებრივ, არამედ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზე დასაშვებია. ადმინისტრაციული კოდექსი განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან ამკვიდრებს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან განსჯადობის პრინციპს. როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლისა, სასამართლო ვალდებულია საქმე გადაუგზავნოს განჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 «ა» მუხლის მიხედვით გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. შ-მის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-1756-1712(კ-10)

7 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 18 მარტს რ. ს-ემ, ც. ხ-მა, ტ. კ-მა, ნ. კ-ემ, მ. ხ-მა, ლ. თ-ამ, რ. გ-ემ, ი. ხ-ემ, ა. მ-ემ, თ. ა-ამ, ს. ზ-ემ და მ. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი წლების განმავლობაში მუშაობდნენ ბაგა-ბაღის გამგეებად. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და-

ფუნდა არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით და მოსარჩელები დაინიშნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა დირექტორებად. თითოეული მათგანის დანიშვნის შესახებ არსებობდა ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებები, სადაც მითითებული იყო, რომ მოსარჩელებთან უნდა გაფორმებულიყო შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრული ვადით.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 2007 წლის ზაფხულში, როდესაც იმყოფებოდნენ კუთვნილ შევსებულბაში, მათთვის ცნობილი გახდა, რომ გამოცხადდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორთა შესარჩევი კონკურსი. მოსარჩელეთა განმარტებით, იმ პერიოდისათვის მათთვის უცნობი იყო რომელი სამართლებრივი აქტითა და საკონკურსო პირობებით გამოცხადდა აღნიშნული კონკურსი. მათთვის მსგავსი დადგენილება არავის ჩაუბარებია და არც გამოქვეყნებულა.

მოსარჩელეთა მითითებით, საჯაროდ გამოცხადებული ინფორმაცია იყო ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №17.13.598 დადგენილება. აღნიშნული დადგენილების დანართში კი მითითებული იყო, რომ კონკურსი გამოცხადდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ვაკანტურ თანამდებობებზე. მოსარჩელეთა განმარტებით, კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა დირექტორის თანამდებობები ვაკანტური არ ყოფილა. შესაბამისად, აღნიშნული კონკურსის შედეგად, მოხდა მათი სამსახურიდან განთავისუფლება.

მოსარჩელეთა განმარტებით, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №..... დადგენილებით ისინი განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. 2007 წლის დეკემბრამდე კი მათ განთავისუფლების შესახებ დადგენილება არ ჩაბარებიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №....., 2007 წლის 9 ნოემბრის №..... და 2007 წლის 19 ოქტომბრის №..... დადგენილებების გაუქმება, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 აპრილის განჩინებით რ. გ-ის, ი. ხ-ის, ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ისა და მ. კ-ისა და ლ. თ-ას მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში.

საქმის მოსამზადებელ ეტაპზე მოსარჩელებმა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №..... დადგენილების მოსარჩელების ნაწილში ბათილად ცნობა, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №..... და 19 ოქტომბრის №..... დადგენილებების გაუქმება, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით რ. გ-ის, ი. ხ-ის, ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ის და მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №..... დადგენილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების №....., №....., №....., №....., №....., №..... საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობაზე დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 24 სექტემბრის №..... და 2007 წლის 19 ოქტომბრის №..... დადგენილებები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების №....., №....., №....., №....., №....., №..... საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნაწილში; აღდგა პირვანდელი მდგომარეობა და რ. გ-ეს, ი. ხ-ეს, ა. მ-ეს, თ. ა-ას, ს. ზ-ისა და მ. კ-ეს გაუგრძელდათ შრომითი ურთიერთობა შესაბამისი №....., №....., №....., №....., №..... საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობაზე; მოპასუხეს ი. ხ-ის, ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ისა და მ. კ-ის სასარგებლოდ 2007 წლის 24 სექტემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველთვიურად 192 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; მოპასუხეს რ. გ-ის სასარგებლოდ 2007 წლის 19 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველთვიურად 192 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; რ. გ-ის, ი. ხ-ის, ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ის და მ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. მ-ემ, თ. ა-ამ, ს. ზ-ემ და მ. კ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ის და მ. კ-ის სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში; საქმე განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ისა და მ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №....., 2007 წლის 24 სექტემბრის №..... და 2007 წლის 19 ოქტომბრის №..... დადგენილებები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს წარმოადგენდნენ და მათზე ვრცელდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 23¹ მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტების და ქ. თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტების თანახმად, ქ. თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მთავრობის მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო, არასამეწარმეო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა დანიშვნა-განთავისუფლება და მათი საქმიანობის კონტროლი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 23¹ მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებისა და თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტების თანახმად, ქ. თბილისის მთავრობას მინიჭებული ჰქონდა ფართო დისკრეციული უფლებამოსილება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოების დადგენას და ინტერესებული პირებისათვის, კერძოდ, მოსარჩელებისათვის არსებობდა თუ არა კონკურსის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №17.13.598 დადგენილებით ქ. თბილისში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების კანდიდატების შერჩევის მიზნით, საქართველოს «შრომის კოდექსის» მე-5 მუხლის საფუძველზე, გამოცხადდა კონკურსი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №17.13.598 დადგენილება 2007 წლის 14 აგვისტოს გამოქვეყნდა გაზეთ «.....» და დამატებითი ინფორმაცია კონკურსის თაობაზე განთავსდა ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადგილი არ ჰქონია კანონის მოთხოვნის ისეთი სახის დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით განსაზღვრული გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. მ-ემ, თ. ა-ამ, ს. ზ-ემ და მ. კ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორებმა აღნიშნეს, რომ ქ. თბილისის მთავრობამ კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა მთელი რიგი ნორმების დარღვევით, რადგან როგორც ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №17.13.598 დადგენილებიდან ჩანს, კონკურსი გამოცხადდა იმ ვაკანსიებზე, რომელიც გამოცხადების მომენტში შევსებული იყო და შესაბამისად, ვაკანსია აღნიშნულ თანამდებობებზე რეალურად არ არსებობდა. ამასთან, კასატორები უკვე იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში მოწინააღმდეგე მხარესთან და ისინი კანონიერად ახორციელებდნენ საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორის ფუნქციებს და არც ერთი ნორმის საფუძველზე არ ითვლებოდნენ სამსახურის მამიებელ კანდიდატებად.

კასატორთა განმარტებით, გასაჩივრებული დადგენილებების გამოცემისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 52-ე, 53-ე, 55-ე, 95-ე და 96-ე მუხლის მოთხოვნები, რაც აღნიშნული დადგენილებების ბათილად ცნობის, მათი სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ის და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მარტის განჩინებით ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ის და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ის და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით, «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 23¹-ე მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებით, თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებით, «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის «კ¹» ქვეპუნქტით და საქართველოს მთავრობის №126 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს №..... , №..... , №..... , №..... , №..... და 2007 წლის 16 მაისის №..... დადგენილებებით დაფუძნდა არასამეწარმეო საბავშვო ბაგა-ბაღები, რომლის დირექტორებად განსაზღვრული ვადით დაინიშნენ კასატორები, თუმცა მათთან შრომითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №17.13.598 დადგენილებით ქ. თბილისში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების კანდიდატების შერჩევის მიზნით, საქართველოს «შრომის კოდექსის» მე-5 მუხლის საფუძველზე, გამოცხადდა კონკურსი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №..... და №..... დადგენილებების საფუძველზე, ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობებზე, კონკურსის შედეგების შესაბამისად, შერჩეულ პირთა დანიშვნის განხორციელების მიზნით, საქართველოს შრომის კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს №..... , №..... , №..... , №..... , №..... და 2007 წლის 16 მაისის №..... დადგენილებებში შევიდა ცვლილება, რომლითაც არასამეწარმეო იურიდიული პირების საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობაზე კასატორების ნაცვლად დაინიშნენ სხვა პირები, ხოლო კასატორებთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს №..... დადგენილება, რომლის საფუძველზეც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების კანდიდატების შერჩევის მიზნით, საქართველოს «შრომის კოდექსის» მე-5 მუხლის საფუძველზე, გამოცხადდა კონკურსი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №..... და №..... დადგენილებები, რომელთა საფუძველზეც ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების-საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობებზე, კონკურსის შედეგების შესაბამისად, შერჩეულ პირთა დანიშვნების განხორციელების მიზნით, საქართველოს შრომის კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს №..... , №..... , №..... , №..... , №..... და 2007 წლის 16 მაისის №..... დადგენილებებში შევიდა ცვლილება, რომლითაც არასამეწარმეო იურიდიული პირების საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობაზე კასატორების ნაცვლად დაინიშნენ სხვა პირები, ხოლო კასატორებთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია, ზემოაღნიშნული დადგენილებები გამოცემულია ქ. თბილისის მთავრობის (ადმინისტრაციული ორგანოს) მიერ, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და შესაბამისად, თავისი შინაარსით არ ატარებენ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. ამდენად, ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მთავრობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცემული აქტები გამოდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული დადგენილებები გამოცემულია საქართველოს შრომის კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე მისი ფილიალი უნდა შეიქმნას «მეწარმეთა შესახებ» საქართველის კანონის შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მთავრობის №..... , №..... , №..... , №..... , №..... და 2007 წლის 16 მაისის №..... დადგენილებების საფუძველზე, ბაგა-ბაღები ჩამოყალიბდნენ არასამეწარმეო იურიდიული პირების სახით, რომლის დამფუძნებელსაც აღნიშნულ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობა წარმოადგენდა. ამდენად, არსებულ პირობებში ქ. თბილისის მთავრობა საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებდა როგორც დამფუძნებელი, რომელსაც წესდებით არასამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორის დანიშვნის უფლება ჰქონდა მინიჭებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, სადავო აქტებში მითითება იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მთავრობა გასაჩივრებული დადგენილებების მიღებისას მოქმედებდა «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის «პ» ქვეპუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 23¹ მუხლის «ზ» და «ვ» ქვეპუნქტების, თბილისის მერიის დებულებით, «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის «კ¹» ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის №126 დადგენილების საფუძველზე, ვერ იმოქმედებს განსახილველი დავის საგნობრივ განსჯადობაზე, ვინაიდან, ყველა ზემოაღნიშნულ ნორმაში საუბარია თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებულ უფლებაზე შექმნას სკოლამდელი და სკოლისგარეშე საღმრთა დანაწესებულებები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით და დაამტკიცოს მათი წესდებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავენ თვითმმართველი ერთეულის შესაძლებლობას შექმნას სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, მიიღონ არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ქონება, მოახდინონ მათი ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია. აღნიშნული კი თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ ყველა ის აქტი, რომელიც მიღებული იქნება თვითმმართველი ორგანოს, როგორც დამფუძნებლის და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს შორის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ან მათ შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში სამსახური ითვლება საჯარო სამსახურად. აღნიშნულ ჩამონათვალში არაკომერციული იურიდიული პირები გათვალისწინებული არ არის. ამასთან კასატორთა თანამდებობა მითითებული არ არის საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის წლის №286 ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში და მოსარჩელეთა სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უტოლდება საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას და არ წესრიგდება «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონით. ამდენად, კონკურსი, რომელიც გამოცხადდა ბაგა-ბაღის დირექტორთა თანამდებობის დასაკავებლად, ვერ დაეყრდნობა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე-36-ე მუხლებს და ვერ მოექცევა მითითებული სამართლებრივი ნორმების რეგულირების სფეროში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იქნა განხილული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 და 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. მ-ის, თ. ა-ას, ს. ზ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. სახელმწიფო ბუჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-1471-1433 (კ-10)

13 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 31 დეკემბერს მ. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხეს დავალებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. კ-თვის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების შესახებ და მასვე დაკისრებოდა 6 625 ევროს ექვივალენტის 15 800 ლარის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალა გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე მ. კ-ის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების შესახებ და მოპასუხეს დაეკისრა მ. კ-ის სასარგებლოდ 6 625 ევროს ლარის ექვივალენტის ანუ 15 800 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. კ-ე არის გარე ფანჯარასთან თანამშრომლობის შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის მენეჯერი. პროექტი ითვალისწინებს სტუდენტების და მეცნიერ-მკვლევარების შერჩევას და საზღვარგარეთ სასწავლებლად მათ გაგზავნას. ამ პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო პროექტის კავკასიის რეგიონის მთავარი კოორდინატორი და ხელმძღვანელია პროფესორი საგანმანათლებლო ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, ტ. კ-ი.

შოთა რუსთაველის უნივერსიტეტსა და პროექტის ავტორს შორის 2007 წელს გაფორმებული იქნა შეთანხმების მანდატი, ხოლო 2009 წლის 15 იანვარს პარტნიორული ხელშეკრულება, რომლის თანახმად უნივერსიტეტი, როგორც პარტნიორი-ბენეფიციარი ვალდებულია იღებდა მაქსიმალური შესაძლებლობებით დაეჭირა მხარი პროექტის პირობებისა და მისი განხორციელებისათვის.

ამ პროექტის განხორციელების მიზნით 2008-2009 სასწავლო წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალურ ანგარიშზე ევროკავშირის მიერ გადმორიცხული იქნა 10 000 ევრო პროექტის საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად, მათ შორის მ. კ-ის, როგორც პროექტის მენეჯერის საზღვარგარეთ მივლინებისათვის ამ პროექტის ფარგლებში.

მ. კ-ე 2008 წლის 28 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პროექტის ფარგლებში პარტნიორთა კონფერენცია-შეხვედრაზე იმყოფებოდა მივლინებით ბრიუსელში, რა დროსაც სამივლინებო ხარჯებმა შეადგინა 800 ევრო. 2008 წლის 10 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე მ. კ-ე მივლინებით იმყოფებოდა ბრიუსელში, რომლის სამივლინებო ხარჯებმა შეადგინა 1000 ევრო. პროექტის ფარგლებში კოორდინატორის მითითების თანახმად, სადაც ანაზღაურებული უნდა იყოს მხოლოდ გზის ხარჯები, 2008 წლის 4 ივლისიდან 14 ივლისამდე მ. კ-ე იმყოფებოდა ტექნოლოგიურ საგანმანათლებლო უნივერსიტეტში და მგზავრობის ხარჯმა შეადგინა 760 ევრო. 2008 წლის 16 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე ტექნოლოგიურ საგანმანათლებლო უნივერსიტეტში ყოფნისას, ავტობუსით მგზავრობის ხარჯმა შეადგინა 200 ევრო. 2008 წლის 10 ნოემბრიდან 21 ნოემბრამდე ტექნოლოგიურ საგანმანათლებლო უნივერსიტეტში ყოფნისას, ავტობუსით მგზავრობის ხარჯმა შეადგინა 200 ევრო. 2008 წლის 9 დეკემბრიდან 21 დეკემბრამდე ტექნოლოგიურ საგანმანათლებლო უნივერსიტეტში ყოფნისას, მგზავრობის ხარჯმა შეადგინა 1000 ევრო. 2009 წლის 9 აპრილიდან 29 აპრილამდე ტექნოლოგიურ საგანმანათლებლო უნივერსიტეტში მგზავრობის ხარჯმა შეადგინა 160 ევრო. აღნიშნულ პერიოდში პროექტის ფარგლებში მ. კ-ის მთლიანმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა სულ 6625 ევრო.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მტკიცება, რომ 2008-2009 წლის პროექტის მიხედვით პროექტის კოორდინატორის მიერ ევროკავშირთან შეთანხმებით წინასწარ იყო გაწერილი მ. კ-ის მივლინებების დრო და ადგილი, რაც წინასწარვე იყო ცნობილი უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის კოორდინატორის მიერ გამოგზავნილი, წინასწარ დაგეგმილი კონფერენციების, ანუ მ. კ-ის მივლინებების შესახებ ცნობით, ხოლო ბრძანებები მ. კ-ის მივლინებების თაობაზე, თვით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უნდა გამოეცა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ გააჩნია უფლება, ევროკავშირის მიერ პროექტის ფარგლებში გადმორიცხული თანხები განკარგოს საკუთარი შეხედულებით, სხვა მიზნებისათვის, გარდა პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული საორგანიზაციო საკითხებისა.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები. უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამეცნიერო პერსონალის მივლინების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. პროექტის მხარესა და შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული შეთანხმების მე-4 პუნქტის თანახმად, უნივერსიტეტი ვალდებულია გააკეთოს ყოველივე, რაც შესაძლებელია, რათა გაუწიოს სათანადო დახმარება ევროკავშირის ამ პროექტს განსახორციელებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თვით უნივერსიტეტს გააჩნდა ვალდებულება მიეღო ყველა ზომა, მათ შორის გადაწყვეტილება მივლინების შესახებ და უზრუნველყო მოსარჩელისათვის მივლინების თანხის გამოყოფა ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფონდიდან.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო განცხადების უარყოფას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 აგვისტოს განჩინებით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პროექტის ავტორს შორის 2007 წელს გაფორმებული პარტნიორობის ხელშეკრულებისა და შეთანხმების მანდატის თანახმად, უნივერსიტეტი, როგორც

პარტნიორ-ბენეფიციარი იღებდა ვალდებულებას ელონა ყოველივე, რათა გაეწია დახმარება მთავარი ბენეფიციარისათვის მისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. არსებული შეთანხმების მიხედვით, ხელშეკრულების საფუძველზე, ბენეფიციარებთან შეთანხმებული იყო პარტნიორული შეხვედრები 2008-2009 წლების პერიოდზე და ამ შეხვედრების საორგანიზაციო ხარჯებისათვის, ბათუმის უნივერსიტეტს, მთავარი ბენეფიციარისგან ანგარიშზე დაერიცხა 10 000 ევრო. თანხის გადმორიცხვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სახელზე გამოგზავნილ წერილში მიეთითა, რომ მ. კ-ეს, როგორც პროექტის მენეჯერს, რექტორთან შეთანხმებით შეეძლო აღნიშნული თანხის მართვა, რომელიც პასუხისმგებელი იყო უნივერსიტეტის და დამფინანსებლის (ევროკავშირის) წინაშე.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ უნივერსიტეტს უფლება არა ჰქონდა ევროკავშირის მიერ პროექტის ფარგლებში გადმორიცხული თანხები განეკარგა სხვა მიზნით, გარდა პროექტის ფარგლებში საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად, ხოლო პროექტის ავტორი თავისი არაერთი წერილით ადასტურებს მ. კ-ის მივლინებაში ყოფნის ფაქტს, გაწეულ ხარჯებს და ითხოვს მათ ანაზღაურებას, მიუხედავად იმისა, მიმართა თუ არა მან წერილობითი განცხადებით უნივერსიტეტის რექტორს.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

კასატორმა მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლზე, უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და «მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულებაზე და აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ ნორმათა მოთხოვნა მ. კ-ის მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრებამდე არ შესრულებულა, მ. კ-ეს ყოველი გამგზავრების წინ განცხადებით უნდა მიემართა ადმინისტრაციისათვის, რომელშიც უნდა მიეთითებინა გამგზავრების მიზანი და ხანგრძლივობა. კასატორის მოსაზრებით, უნივერსიტეტის მიერ რომ მოხდეს მ. კ-ის სამივლინებო თანხების ანაზღაურება, აუცილებელია არსებობდეს დამსაქმებლის (რექტორის) ბრძანება მისი მივლინების შესახებ. აღნიშნული ბრძანება კი აუცილებლად გამოიცემოდა რექტორის მიერ, თუკი სამსახურებრივი დანიშნულებით მოსარჩელე ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრების წინ მიმართავდა განცხადებითა და სათანადო დოკუმენტაციით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 აგვისტოს განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განისაზღვრება იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალი, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს აღნიშნული კოდექსით დადგენილი საპროცესო წესებით. ამასთან, არსებითი ელემენტი, რომლის შედეგადაც დავა მიჩნეული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმედ, არის დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. «ა» მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მართლაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, იგი არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მ. კ-ეს შორის წარმოშობილი სადავო სამართალურთიერთობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ დავას.

საქმეში დაცული მასალების თანახმად, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პროექტის ავტორს შორის 2007 წელს გაფორმდა პარტნიორობის ხელშეკრულებისა და შეთანხმების მანდატი, რომლითაც უნივერსიტეტი, როგორც პარტნიორი-ბენეფიციარი იღებდა ვალდებულებას მაქსიმალური შესაძლებლობებით დაეჭირა მხარი პროექტის პირობებისა და მისი განხორციელებისათვის. პროექტი ითვალისწინებდა სტუდენტებისა და მეცნიერ-მკვლევარების შერჩევას და საზღვარგარეთ სასწავლებლად მათ გაგზავნას. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მ. კ-ე არის გარე ფანჯარასთან თანამშრომლობის შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის მენეჯერი. საგულისხმოა, რომ მოცემულ პროექტს, მათ შორის მ. კ-ის, როგორც პროექტის მენეჯერის საზღვარგარეთ მივლინების ხარჯებს, აფინანსებდა ევროკავშირი.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 1.1 მუხლი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდევ-

ბოზის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 2.1 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნავს შემდეგს, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, საგულისხმოა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსარჩელის საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, რამდენადაც ეს დაწესებულება ამ ნუსხაში არ მოიაზრება.

«საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ ბრძანებულებით განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა რეესტრი, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელეთათვის კიდევ ერთი ნორმატიული დადასტურებაა სტატუსთან მიმართებაში, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად ის განხილული ვერ იქნება საჯარო მოსამსახურედ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მ. კ-ე, რომელიც მონაწილეობდა ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში კომფერენციებსა და შეხვედრებში, როგორც შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის მენეჯერი, სარჩელით ითხოვდა პროექტის ფარგლებში მოპასუხეს საზღვარგარეთ მივლინებისათვის ანაზღაურებინა სამივლინებო ხარჯები – 6 625 ევროს ექვივალენტის 15 800 ლარის ოდენობით. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძვლად უდევს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მ. კ-ეს შორის წარმოშობილ სადავო სამართალურთიერთობაზე ვერ გავრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის დებულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის № 231 ბრძანებულება, რომელიც დამტკიცებულია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე, 39-ე და 134-ე მუხლების შესაბამისად, განსაზღვრავს მხოლოდ საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს, შესაბამისად საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს მითითებას აღნიშნულ ბრძანებულებაზე, რამდენადაც მ. კ-ე არ წარმოადგენს მის სუბიექტს და, შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოექცევა მითითებული სამართლებრივი ნორმების რეგულირების სფეროში.

საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის შესაბამისად, ყველა პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. მითითებულმა პრინციპმა ასახვა ჰპოვა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, რომლის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმადაც, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არაგანსჯადი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და ექვემდებარება გაუქმებას. რის გამოც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის, შემდგომი განხილვის მიზნით, განსჯადი სასამართლოსათვის დაქვემდებარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 აგვისტოს განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-1522-1483(კ-10)

27 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 13 აპრილს სპს «.....» სარჩელით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა მოპასუხისათვის შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის დავალებას.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით სპს «.....» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2005 წელს გამოცხადებული იყო ტენდერი სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის «ჩაის» სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა სპს «.....», მასთან 2005 წლის 23 ივნისს გაფორმდა №61 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ აიღო ვალდებულება, მოეხდინა პერსპექტიული ჩაის პლანტაციის მიმედ გასხვლა, მისი შემოღობვა ეკლიან მავრთულით და ხის ბოძებით. აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა 2006 წლის 1 იანვრამდე. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის წერილის თანახმად, 2005 წლის 23 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სპს «.....» შორის გაფორმებული №61 ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხელვაჩაურის რაიონში 30 ჰექტარი პერსპექტიული ჩაის მიმედ გასხვლაზე მომსახურების გაწევას საერთო ღირებულებით 28400 ლარი. მომსახურების გეგმა-გრაფიკით სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2005 წლის 1 დეკემბრისათვის. ამ პერიოდისათვის სპს «.....» მიერ შეძენილ 2200 ცალ წაბლის ხის ბოძსა და 300 შეკვრა ეკლიან მავრთულზე საერთო ღირებულებით 13840 ლარი, აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსპექტირების ჯგუფის მიერ 2005 წლის 1 დეკემბერს შედგენილი იქნა შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი. რაც შეეხება გასხვლით სამუშაოებს, 20 ჰა-ზე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში იქნა დასრულებული, ხოლო 10 ჰა-ზე უამინდობის გამო სამუშაოები გაგრძელდა 2005 წლის ბოლომდე. შპს «.....» მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მდგომარეობა 2005 წლის დეკემბრის თვეში გადაამოწმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელ მუშაკებისაგან შექმნილმა ჯგუფმა შიდა კონტროლის სამმართველოს უფროსის ლ. გ-ძის ხელმძღვანელობით. მათთან სიტყვიერი შეთანხმებით ხელშეკრულების ვადა უნდა გაგრძელებულიყო 2006 წლის იანვრის თვის ბოლომდე, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ოფიციალურად უარი განაცხადა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე, რის გამოც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსპექტირების ჯგუფს სპს «.....» მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაგვიანებით შესრულების გამო მიღება-ჩაბარების აქტი არ გაუფორმებია.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მითითება ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სპს «.....» გაშვებული აქვს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128.1, 129-ე, 130-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს მოქმედების შესრულების (შესრულებული სამუშაოს მიღების) მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2006 წლის 1 იანვარს ანუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის დროს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა და ამ პერიოდიდან 3 წლის განმავლობაში სპს «.....» სასამართლოში სარჩელის აღძვრით უნდა მოეთხოვა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და შესრულებული სამუშაოს მიღება, რაც მან არ განახორციელა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სპს «.....».

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სპს «.....» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ შესყიდვების შესახებ №61 ხელშეკრულების ვადის მოქმედება განსაზღვრული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე. ინსპექტირების ჯგუფის მიერ მიღება-ჩაბარების აქტები უნდა გაფორმებულიყო პერიოდულად შესრულებული სამუშაოების (მომსახურების შესრულების) მიხედვით. ხელშეკრულების მხარეებმა, რომელთა ინტერესს მოიცავდა მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება, 2006 წლის 1 იანვრამდე ამ აქტების გაფორმება არ მოახდინეს. ხელშეკრულების ვადა არ გაგრძელდა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოქმედებებიც დასრულდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2009 წლის 28 აპრილის წერილიდან, რადგან სპს «.....» ჯერ კიდევ 2006 წლის 1 იანვრიდან ცნობილი იყო, რომ ხელშეკრულების ვადა არ გრძელდებოდა. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე და 144-ე მუხლებზე მითითება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სპს «.....».

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სპს «.....» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 აგვისტოს განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების გაცნობისა და გასაჩივრებული განჩინების შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია განსჯადობის წესების დარღვევით, კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას არ გამოუკვლევია და არ შეუმოწმებია, განსახილველი დავა მიეკუთვნება თუ არა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ საქმეს, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დარღვეულია დავის გადაწყვეტის საპროცესო წესი, რაც წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საკმარის საფუძველს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა გამოირიცხოს საქმის განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით განხილვა. განსჯადობის წესის დაცვით დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ნორმათა ანალიზს, რომელიც იძლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის უფლებით, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობის მატარებლებად.

წინამდებარე შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სპს «...» შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა – სპს «...» იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, სპს «...» სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ხელვაჩაურის რაიონში უნდა გაეწია პერსპექტიული ჩაის პლანტაციის მიმედ გასხვლა, მისი შემოღობვა ეკლიანი მავთულით და ხის ბოძებით. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა მომხდარიყო პერიოდულად, მომსახურების შესრულების მიხედვით, ამ მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ, რის შესახებაც უნდა გაფორმებულიყო მიღება-ჩაბარების აქტი. იმის გამო, რომ სპს «...» მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაგვიანებით შესრულებისათვის მოპასუხემ მიღება-ჩაბარების აქტები არ გააფორმა, სპს «...» სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალდებულება გააფორმოს შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, სასარჩელო მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მუხლები, სადავო სამართალურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე სავსებით ცხადია, რომ სადავო სამართალურთიერთობები კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამდენად სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკ-ის 2.3 მუხლის თანახმად საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების სავალდებულო პირობას წარმოადგენს. სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სასკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე, განსახილველად ექვემდებარება სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არაგანსჯადი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და ექვემდებარება გაუქმებას, რის გამოც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის, შემდგომი განხილვის მიზნით, განსჯადი სასამართლოსათვის დაქვემდებარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სპს «...» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 აგვისტოს განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-1025-1017(გ-11)

13 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა მ. რ-ის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. რ-მა 19.08.10წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომლითაც შემოსავლების სამსახურის უფროსის 20.07.10წ. №გ-995 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.09.2010წ. განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 18.11.10წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. რ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ 20.07.10წ. №გ-995 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. რ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 05.02.11წ. განჩინებით მ. რ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 18.11.10წ. გადაწყვეტილებაზე საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო პალატამ სზაკ-ის მე-2 მუხლზე, აგრეთვე სასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებზე მითითებით მიიჩნია, რომ დავის საგანი ეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. მ. რ-ის გათავისუფლების შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის 20.07.2010წ. №გ-995 ბრძანებას სამართლებრივ საფუძველად დაედო „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ კანონით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 17.05.2010წ. №388 ბრძანება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა მიღების (მათ შორის კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.03.2010წ. №257 ბრძანება, „შემოსავლები სამსახურის სისტემაში ატესტაციის ჩატარების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 10.06.2010წ. №698 ბრძანება, „შემოსავლების სამსახურის სისტემის თანამშრომელთა ატესტაციის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 12.07.2010 წ. №971 ბრძანება. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ბრძანებები გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და მათი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი ადმინისტრაციული დავის საგანს განეკუთვნება. შესაბამისად, აღნიშნული აქტების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების გამო წარმოშობილი დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და სამოქალაქო პალატის მოსაზრებით განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.11წ. განჩინებით მ. რ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 31.03.10წ. №248 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის“ დებულება და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო დეპარტამენტის და საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციის

შესახებ» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 02.03.07წ. №170 ბრძანება, ბრძანების ამოქმედების ვადად 01.04.10წ. განისაზღვრა. «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. ხსენებული კანონის მე-9-მე-12 მუხლებზე მითითებით ადმინისტრაციული კატეგორიის დავას და შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის არა რიგითი მუშაკის, არამედ ხელმძღვანელის დანიშვნა და გათავისუფლება, რაც უკანასკნელის ფუნქციებით, თანამდებობაზე დანიშვნის და გათავისუფლების წესით არის განპირობებული. ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმაზე, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი საერთოდ არ არის ნახსენები „საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-2 მუხლში, სადაც მოცემულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მათი ამომწურავი ჩამონათვალი, სსიპ თანამშრომელზე მითითებას არ შეიცავს აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. №286 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრი».

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. რ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სამსახურის უფროსის 20.07.10წ. №გ-995 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. «ა» მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, მართლაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის დებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.03.2010წ. №248 ბრძანებით არის დამტკიცებული, თუმცა, აღნიშნული არ არის განსახილველი დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საკმარისი კრიტერიუმი. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 1.1 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, „საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, სსიპ შემოსავლების სამსახურში საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, რამდენადაც ეს დაწესებულება ამ ნუსხაში არ მოიაზრება, „საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან მხოლოდ სსიპ ეროვნულ ბანკში სამსახური ჩაითვლება საჯარო სამსახურად. გარდა ამისა, «საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. №286 ბრძანებულებით განსაზღვრულ საჯარო თანამდებობათა რეესტრში, რომელიც საჯარო მოხელეთათვის სტატუსის კიდევ ერთ ნორმატიულ დადასტურებას წარმოადგენს, შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, როგორც საჯარო მოსამსახურე, რეესტრში არ ფიგურირებს, შესაბამისად ის განხილული ვერ იქნება საჯარო მოსამსახურედ.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.03.10წ. №257 ბრძანებით დამტკიცებული «საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა მიღების (მათ შორის კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესი» არ ეყრდნობა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე-36-ე და ამავე კანონის 81-ე-87-ე მუხლებს, შესაბამისად სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოექცევა მითითებული სამართლებრივი ნორმების რეგულირების სფეროში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის მომსახურების სამმართველოს გურჯაანის სერვის-ცენტრის ოფიცრის მ. რ-ის გათავისუფლების კანონიერების შეფასებისას არ გამოიყენება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის დებულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ ექცევა მითითებული კანონის რეგულირების სფეროში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მ. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შედეგად შეწყდა კერძო სამართლებრივი-შრომითი ურთიერთობა, ერთის მხრივ საჯარო სამართლის იური-

დულ პირსა და მეორე მხრივ – ფიზიკურ პირს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის უფლებამოსილებას განეკუთვნება, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიაზე შრომით-სამართლებრივ და მის თანმდევ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს შრომის კოდექსი, თუ შრომითი ურთიერთობა განსხვავებულად არ არის დარეგულირებული სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ, სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, სსკ-ის 11.1. «ა» მუხლის მიხედვით: სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

მოცემულ შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბრძანების ფორმით მიღება, ასევე სადავო სამართალურთიერთობის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული კანონმდებლობის ზოგიერთი ნორმის გამოყენება თავისთავად არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი კუთვნილებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხი საბოლოო ჯამში უკავშირდება მუშაკთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტაზე, თუნდაც ბრძანების ფორმით ნების გამოხატვას მუშაკის არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო, დამსაქმებლის ნება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, ისევე როგორც სამუშაოზე მიღების ნება შესაძლოა დადასტურდეს დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტით (საქართველოს შრომის კოდექსის 6.3 მუხ., ამჟამად მოქმედი ორგანული კანონის – საქართველოს შრომის კოდექსის 6.3 მუხ.), შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილის (დამსაქმებლის) ურთიერთობის შესაწყვეტად ნების გამოვლენა, მის კანონიერებაზე დავა თავისი იმანენტური ბუნებით განეკუთვნება არა საჯარო, არამედ კერძო-სამართლებრივ სფეროს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. რ-ის სარჩელი მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2 და 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე და 408-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 18.11.2010წ. გადაწყვეტილებაზე, მოწინააღმდეგე მხარე – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-1154-1143(გ-11)

14 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირ-

რებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 12 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მოპასუხე – სს «...» მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2010 წლის 18 მარტის** გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა; სს «...» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა **107 775.38 ლარის** გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2010 წლის 18 მარტის** გადაწყვეტილებაზე **2010 წლის 14 აპრილს** წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 18 ივნისის** განჩინებით განსახილველად იქნა მიღებული სს «...» სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011 წლის 24 მარტის** განჩინებით სს «...» სააპელაციო საჩივარი (საქმე №2/ზ 1488-10) განსახილველად განსჯადობით გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, განმსაზღვრელი იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სადავო ხელშეკრულების დადებისას ახორციელებდა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. ხელშეკრულების დადებისას სამინისტროს – ადმინისტრაციულ ორგანოს მიზანს წარმოადგენდა საჯარო ამოცანების აღსრულება, მიღწევა, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რაც ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის **25¹** მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილებოდა საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო პალატამ მიიჩნია, რომ სასწავლო დაწესებულებებში სარემონტო სამუშაოების ჩატარება მიეკუთვნებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით იქნა დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №06-101/3 ხელშეკრულება, რის გამოც დასახელებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობა სცილდებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროს, გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და დავის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2011 წლის 28 ივნისის** განჩინებით აპელანტ სს «...» სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2010 წლის 18 მარტის** გადაწყვეტილებაზე, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 21 ივნისს, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №06-101/3. დასახელებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ქ. რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შენობის სარემონტო სამუშაოების განხორციელებას, თანხის ოდენობად განისაზღვრა **889 243 ლარი**, ხელშეკრულების ვადად კი **3 თვე**. ხელშეკრულების **10.2** ქვეპუნქტი ითვალისწინებს გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში საურავის დაკისრებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების **1%-ის** ოდენობით.

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის **2006 წლის 21 ივნისს** გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01-101/3 ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები: **1. 2006 წლის 11 სექტემბერს** მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების საერთო ღირებულებამ შეადგინა **860904.12 ლარი**, ხოლო მიმწოდებელი ვალდებული იყო სარემონტო სამუშაოები განეხორციელებინა შეთანხმებული გრაფიკით **2006 წლის 1 ნოემბრამდე**. პირველ თვეში შესრულებული უნდა ყოფილიყო მთლიანი სამუშაოს მოცულობის **45%**, მეორე თვეში – **30%**, მესამე თვეში – **25%**. **2. 2006 წლის 24 ნოემბერს** მხარეთა შორის დადებული შეთანხმებით, სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა **2007 წლის 15 იანვრამდე**; **3. 2007 წლის 23 იანვრის** მხარეთა შეთანხმებით სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა **2007 წლის 1 ივლისი**.

ქ. რუსთავის პროფესიული ლიცეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 2007 წლის 15 აგვისტოს, დაგვიანებით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 244 944.05 ლარი. მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები დარღვეულ იქნა 44 დღით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის უფლებით, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სს «...» შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე, კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა – სს «...» იკისრა ვალდებულება, კერძოდ ქ. რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შენობის სარემონტო სამუშაოების განხორციელება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ითხოვა 2006 წლის 21 ივნისის №06-101/3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების გამო მოპასუხისთვის საჯარიმო თანხის 107 775, 38 ლარის გადახდის დაკისრება. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, სასარჩელო მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მუხლები. სადავო სამართალურთიერთობა კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების სავალდებულო პირობას წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სს «...» სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის «ზ» ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სს «...» შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა-სს «...» იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, ჩატარებინა ქ. რუსთავის პროფესიული ლიცეუმის შენობის სარემონტო სამუშაოები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოითხოვა 2006 წლის 21 ივნისის №06-101/3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების გამო მოპასუხისთვის საჯარიმო თანხის 107 775, 38 ლარის გადახდის დაკისრება. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების

განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ტენდერის ჩატარებით, თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, ამასთანავე დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ ტენდერის შედეგად 2006 წლის 21 ივნისს დადებული №06-101/3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის თანხის დაკისრება. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის ნორმები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25' მუხლის, სზაკ-ის 65' მუხლის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, მე-5, 25', 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1 სს «...» სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-299-288(კ-10)

21 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წეკელიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა, საკუთრების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სამკვიდრო უძრავი ქონების 1/2 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 მარტს რ. თ-ძემ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ა. ქ-აიას მიმართ და მოითხოვა მოსარჩელის ე. ქ-აიას ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა, ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ ა. ქ-აიას სახელზე გაცემული 2009 წლის 16 თებერვლის №28 საკუთრების უფლების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა ა. ქ-აიას მიმართ ე. ქუთაისში, ... ე. №2/6-ში მდებარე 32,57 კვ.მ საცხოვრებელი და 14,43 კვ.მ დამხმარე ფართის – სულ 47,50 კვ.მ ფართობის 1/2 ნაწილის საკუთრებაში გადაცემის შესახებ და მითითებული უძრავი ქონების 1/2 ნაწილის რ. თ-ძის საკუთრებად ცნობა შემდეგი მოტივით:

მოსარჩელის მითითებით, რეგისტრირებულია ე. ქუთაისში, ... ე. №3/4-ში და ხანდაზმულ დედასთან და არასრულწლოვან ვაჟიშვილთან ერთად ცხოვრობდა იქვე მდებარე ნაქირავებ ბინაში. ... ე. №2/6-ში მცხოვრებ მეზობელთან – აწ გარდაცვლილ ე. ქ-აიასთან ურთიერთშეთანხმების შედეგად, მოსარჩელე ოჯახის წევრებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ე. ქ-აიას ბინაში იმ პირობით, რომ მზრუნველობას გაუწევდა ე. ქ-აიას, ხოლო ეს უკანასკნელი უანდერძებდა თავის კუთვნილ უძრავ-მოძრავ ქონებას, რის შესახებაც იცოდა მისმა შვილმა – ა. ქ-აიამ, რომელიც ცხოვრობდა საზღვარგარეთ. 2007 წლის 21 იანვარს ე. ქ-აიამ მეზობლების თანდასწრებით შეადგინა შინაურული ანდერძი. 2007 წლის 30 იანვარს ე. ქ-აიამ რ. თ-ძის სახელზე გააფორმა სანოტარო მინდობილობა რათა მოეხდინა ბინის პრივატიზება, მაგრამ ბინის პრივატიზება ვერ მოხერხდა ბინის ორდერის მოუძიებლობისა და საჯარო რეესტრში ბინის დაურეგისტრირებლობის გამო. 2009 წლის 27 იანვარს ე. ქ-აია გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის შემდეგ, მისმა შვილმა – ა. ქ-აიამ, მიუხედავად

იმისა, რომ იცოდა შინაურული ანდერძის არსებობის შესახებ, თავის სახელზე დაირეგისტრირა ქ. ქუთაისში, ... ქ. №2/6-ში მდებარე მთელი საცხოვრებელი ბინა.

მოსარჩელის მითითებით, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საბინაო-კომუნალური განყოფილების მიერ 1960 წლის 14 აპრილს გაცემული №240 ორდერით დგინდება, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ. №2/6-ში მდებარე სახელმწიფო ფონდის საცხოვრებელი ბინა სარგებლობაში გადაეცა ე. ქ-იას მეუღლეს – ი. ქ-იას 4 სულზე. ი. ქ-ია გარდაიცვალა 2001 წლის 12 თებერვალს, ე. ქ-ია – 2009 წლის 27 იანვარს, ხოლო მათი შვილი – ტ. ქ-ია – 1984 წლის 7 ოქტომბერს. ი. და ე. ქ-აიები 1953 წლის 15 ივნისიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. ქ. ქუთაისის მთავრობის მართვის ტერიტორიული სამსახურის «ავტოქარხნის» განყოფილების მიერ გაცემული 2005 წლის 17 მაისის №3268 ცნობის მიხედვით, ... ქ. №2/6-ში ცხოვრობდა მხოლოდ ე. ქ-ია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 26 იანვრის ცნობის თანახმად, ... ქ. №2/6-ში მდებარე უძრავი ქონება ამავე სამსახურში არ იძებნებოდა. თვითმმართველი ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული 2009 წლის 16 თებერვლის №28 საკუთრების უფლების მოწმობის თანახმად, ა. ქ-იას საკუთრებაში გადაეცა ... ქ. №2/6-ში მდებარე 47,50 კვ.მ ფართის საცხოვრებელი სახლი. საჯარო რეესტრის 2009 წლის 12 მარტის ამონაწერის თანახმად, ა. ქ-იას სახელზე 2009 წლის 24 თებერვლიდან რეგისტრირებულია საკუთრების უფლება მითითებულ საცხოვრებელ სახლზე.

მოსარჩელის მითითებით, ა. ქ-იამ შინაურული ანდერძის შესახებ არ აცნობა ავტოქარხნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ბინის პრივატიზაციის განხორციელებისას.

მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედი საქართველოს საბინაო კოდექსის 35-ე მუხლზე, «საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ» საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მე-5 პუნქტსა და «საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო ფონდის პრივატიზების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს №520 დადგენილების მე-4 პუნქტზე, სამოქალაქო კოდექსის 1328.1 მუხლზე და აღნიშნა, რომ ე. ქ-იას გააჩნდა ქ. ქუთაისში, ... ქ. №2/6-ში მდებარე ბინის კუთვნილი 1/2 ნაწილის პრივატიზების, ანუ საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღების უფლება, როგორც ორდერში გათვალისწინებულ და მითითებულ ბინაში მუდმივად მცხოვრებ პირს. შესაბამისად, აღნიშნული უფლება წარმოადგენდა სამკვიდროს გახსნის დროისათვის მამკვიდრებლის ქონებრივ უფლებას, რომელიც შინაურული ანდერძით სხვა ქონებასთან ერთად გადაეცა რ. თ-მეს. ამავე საცხოვრებელი ბინის 1/2 ნაწილის პრივატიზების, ანუ საკუთრებაში უფასოდ მიღების უფლება შეიძლება ჰქონოდა ა. ქ-იას იმ შემთხვევაში, თუ იგი თავად წარმოადგენდა ბინის კანონიერ მოსარგებლეს და ეს უფლება დაკარგული არ ჰქონდა ბინის პრივატიზების მომენტისათვის. 2000 წელს ა. ქ-ია გაემგზავრა რუსეთში, სადაც მიიღო რუსეთის მოქალაქეობა და ბოლო 9 წლის განმავლობაში აღარ უცხოვრია საქართველოში.

მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის» 2.1 მუხლის 1-ლი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ე. ქ-ია წარმოადგენდა კანონიერ მოსარგებლეს, რის გამოც, არაპრივატიზებული საცხოვრებელი ბინის მთლიანი ფართის ა. ქ-იასათვის საკუთრებაში გადაცემა დაუშვებელი იყო, მის მიერ მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე.

რ. თ-მის სარჩელი არ ცნო მოპასუხემ – ა. ქ-იამ და მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით დადგინდა ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობისა და საკუთრების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ რ. თ-მის სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა.

2009 წლის 18 მაისს ა. ქ-იამ შეგებებული სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში რ. თ-მის მიმართ და მოითხოვა 2007 წლის 21 იანვარს შედგენილი შინაურული ანდერძის ბათილად ცნობა შემდეგი მოტივით:

შეგებებული მოსარჩელის მოსაზრებით, ე. ქ-იას მიერ 2007 წლის 21 იანვარს შედგენილი შინაურული ანდერძი არ პასუხობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, არ აქვს იურიდიული ძალა, რის გამოც არ შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, არა აქვს შინაურული ანდერძის ფორმა, სახე და ნიშანი, ბუნდოვანია და მისი შინაარსიდან არ დგინდება მამკვიდრებლის ნება. ასევე ეჭვს იწვევს ანდერძის ნამდვილობა.

შეგებებული მოსარჩელის მოსაზრებით, ანდერძი მიჩნეულ უნდა იქნეს ბათილად დადების მომენტიდან სამოქალაქო კოდექსის 1344-ე, 1345-ე, 1403-ე, 54-ე, 59-ე, 68-ე მუხლების შესაბამისად, რადგან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მესაკუთრის პრეზუმფციიდან გამომდინარე, მოანდერძე, რომელიც უძრავ ქონებას უანდერძებს ამა თუ იმ პირს, უნდა იყოს ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

მოცემულ შემთხვევაში ე. ქ-აია კანონით დადგენილი წესით არ იყო სადავო ბინის მესაკუთრედ რეგისტრირებული.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 მაისის საოქმო განჩინებით ა. ქ-აიას უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით რ. თ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ეს უკანასკნელი ცნობილ იქნა ე. ქ-აიას ანდერძისმიერ მემკვიდრედ, ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი 2009 წლის 16 თებერვალს თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ ა. ქ-აიას სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა №28 ქ. ქუთაისში, ... ქ. №2/6-ში მდებარე ბინაზე და ქ. ქუთაისში, ... ქ. №2/6-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობილ იქნა რ. თ-ძე, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1364-ე, 1328-ე მუხლებით, «საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ» საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის №107 დადგენილებით, «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს პერზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით და მიუთითა, რომ რ. თ-ძის სახელზე დაწერილი ანდერძი აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნას, რის გამოც რ. თ-ძე უნდა ჩათვალოს ე. ქ-აიას ანდერძისმიერ მემკვიდრედ.

საქალაქო სასამართლომ მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, ი. ქ-აიას სახელზე გაცემული ბინის ორდერი, ოჯახის წევრებს – ე. და ა. ქ-აიებს აძლევდა სადავო ბინის პრივატიზაციის უფლებას, რაც შინაურული ანდერძით ე. ქ-აიასაგან მემკვიდრეობით გადაეცა რ. თ-ძეს, შესაბამისად, საკუთრების მოწმობა არ უნდა გაცემულიყო ა. ქ-აიაზე.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ქ-აიამ და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და რ. თ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლომ ისე ცნო ბათილად თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული საკუთრების უფლების №28 მოწმობა, რომ ქუთაისის მერია არ ჩააბა საქმეში მხარედ. შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ორგანოს არ მიეცა შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ესარგებლა მხარისათვის კანონით მინიჭებული უფლებით.

აპელანტის მოსაზრებით, მისი დედის – ე. ქ-აიას მიერ 2007 წლის 21 იანვარსა და 2008 წლის 14 თებერვალს შედგენილი შინაურული ანდერძები არ არის იურიდიული ძალის მქონე, რადგან არ პასუხობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, სადავო ბინის მესაკუთრედ ე. ქ-აია არ იყო რეგისტრირებული, შესაბამისად, მისი გარდაცვალების შემდეგ სადავო ბინა სამკვიდრო მასაში არ შესულა.

ამდენად, აპელანტმა მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს პერზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულება, «საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ» კანონი და სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით მესამე პირად ჩაერთო თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახური.

ა. ქ-აიას სააპელაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ – რ. თ-ძემ და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის საოქმო განჩინებით მესამე პირი – თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახური საქმეში მოპასუხის სტატუსით ჩაება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ქ-აიას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით რ. თ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რ. თ-ძე ე. ქ-აიას ანდერძით მემკვიდრედ იქნა ცნობილი, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ ა. ქ-აიას სახელზე 2009 წლის 16 თებერვალს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა №28 ქ. ქუთაისში, ... ქ. №2/6-ში მდებარე ბინაზე და ქ. ქუთაისში, ... ქ. №2/6-ში

მდებარე უძრავი ქონების 1/4 (იდეალური წილის) ნაწილის მესაკუთრედ ცნობილ იქნა რ. თ-ძე, ხოლო 3/4 ნაწილის მესაკუთრედ – ა. ქ-აია, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ. №2/6-ში მდებარე ბინაზე 1960 წლის 14 აპრილს საავტომობილო ქარხნის საბინაო-კომუნალური განყოფილების მიერ გაიცა №240 ორდერი ა. ქ-აიას აწ გარდაცვლილი მამის – ი. ქ-აიას სახელზე. აღნიშნული ორდერით ი. ქ-აიას უფლება მიეცა შესახლებულიყო ... ქ. №2 ბინა №6-ში მდებარე 34 კვ.მ ბინაში. მისი ოჯახი შედგებოდა 4 სულისაგან. ი. ქ-აია გარდაიცვალა 2001 წლის 12 თებერვალს, ტ. ქ-აია – 1984 წლის 7 ოქტომბერს, ხოლო ე. ქ-აია – 2009 წლის 27 იანვარს. ა. ქ-აია დედის გარდაცვალებამდე გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ საკუთრების უფლება არ დაუთმია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინდად მიიჩნია, რომ ე. ქ-აია იყო მოხუცი, საჭიროებდა მოვლას და დახმარებას, ცუდად მყოფი ქუჩაში შემთხვევით შეხვდა რ. თ-ძეს, რომელიც ე. ქ-აიას თხოვნით გადავიდა მის ბინაში საცხოვრებლად, ორი წლის განმავლობაში უვლიდა მას და ე. ქ-აიამ თავისი ნებით შეადგინა შინაურული ანდერძები, რომლითაც თავისი ქონება უანდერძა რ. თ-ძეს.

საქმეზე ჩატარებული ხელმოწერის ექსპერტიზის 2009 წლის 23 აპრილის დასკვნით დადგინდა, რომ შინაურულ ანდერძებზე ხელნაწერი ტექსტი და ხელმოწერა შესრულებულია ე. ქ-აიას მიერ. ამასთან, ანდერძების ტექსტებიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ე. ქ-აიას ანდერძის შედგენის დროისათვის შეემლო გონივრულად ემოქმედა და ნათლად გამოეხატა თავისი ნება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგინდად მიიჩნია, რომ ანდერძი თავისი ფორმით წარმოადგენს შინაურულ ანდერძს, იგი დაწერილი და ხელმოწერილია ე. ქ-აიას მიერ, რაც სრულად აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ ე. ქ-აია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების 2.1 მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, რ. თ-ძე ანდერძის შედგენის დროს იყო სადავო ბინის კანონიერი მოსარგებლე, რადგან ბინის ორდერის საფუძველზე კანონიერად სარგებლობდა საცხოვრებელი ფართით. მისი გარდაცვალების შემდეგ, ანდერძით მემკვიდრე გახდა რ. თ-ძე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ა. ქ-აიას, მიუხედავად იმისა, რომ 10 წელი იმყოფებოდა საზღვარგარეთ, როგორც სადავო ბინის კანონიერ მოსარგებლეს უარი არ უთქვამს ბინის საკუთრების უფლებაზე. ა. ქ-აია წარმოადგენს ე. ქ-აიას კანონისმიერ მემკვიდრეს, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება ჩამორთმეული არა აქვს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ქ-აიამ, როგორც კანონიერმა მოსარგებლემ საკუთრების უფლება სადავო ბინაზე მოიპოვა საქართველოს პრეზიდენტის №73 ბრძანებულების საფუძველზე, მაგრამ შეცდომაში შეიყვანა ქუთაისის მერია და ბინა მთლიანად მისაკუთრა, რითაც შეილახა რ. თ-ძის, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრის უფლება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ქ-აიამ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება ნაწილობრივ, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის სრულად დაუკმაყოფილებლობის ნაწილში, ასევე რ. თ-ძის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით რ. თ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება – ჰქონდა თუ არა ე. ქ-აიას უფლება რ. თ-ძისათვის ანდერძით ბინის დატოვების უფლება და ეკუთვნოდა თუ არა გარდაცვალების მომენტისათვის მოანდერძეს სადავო ქონება. ანდერძით მემკვიდრედ ცნობისათვის უნდა დადგინდეს, რა ქონება ეკუთვნოდა მოანდერძეს და რა უანდერძა რ. თ-ძეს. სააპელაციო სასამართლომ არასწორად ცნო ბათილად ა. ქ-აიას სახელზე გაცემული №28 საკუთრების მოწმობა, არ მიუთითებია მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივნისის განჩინებით ა. ქ-აიას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

ა. ქ-აიას საკასაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ – რ. თ-ძემ და მოიხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. ქ-აიას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა

იგი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს რ. თ-ძის ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა, ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ ა. ქ-აიას სახელზე გაცემული 2009 წლის 16 თებერვლის №28 საკუთრების უფლების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა ა. ქ-აიას მიმართ ქ. ქუთაისში, ... ქ. №2/6-ში მდებარე 32,57 კვ.მ საცხოვრებელი და 14,43 კვ.მ დამხმარე ფართის – სულ 47,50 კვ.მ ფართობის 1/2 ნაწილის საკუთრებაში გადაცემის შესახებ და მითითებული უძრავი ქონების 1/2 ნაწილის რ. თ-ძის მესაკუთრედ ცნობა. რ. თ-ძის სარჩელის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ა. ქ-აიამ უკანონოდ მოიპოვა საკუთრების უფლება სადავო ქონებაზე, რითაც შეილახა მოსარჩელის, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრის კანონით მინიჭებული უფლება – საკუთრებაში მიეღო სამკვიდრო ქონება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რ. თ-ძის სარჩელი კომბინირებული მოთხოვნების ხასიათს ატარებს, რამდენადაც იგი სარჩელის რამდენიმე სახეს მოიცავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია მოთხოვნების ერთი სარჩელის ფორმატში წარდგენა, რომელთა ერთობლივად განხილვა დასაშვებია, თუ სახეზე არ არის სსსკ-ის 182.2 მუხლის მიხედვით, საქმის წარმოებით გამოყოფის პროცესუალური საფუძველები.

კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე იყო სსსკ-ის 182.2 მუხლის გამოყენებისა და საქმის წარმოებით გამოყოფის პროცესუალური წინაპირობა, რაზეც არ უმსჯელია სააპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა – რ. თ-ძის ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის შესახებ პრევალირებს სხვა მოთხოვნებზე, კერძოდ, ა. ქ-აიას სახელზე გაცემული 2009 წლის 16 თებერვლის №28 საკუთრების უფლების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების 1/2 ნაწილის რ. თ-ძის მესაკუთრედ ცნობის შესახებ მოთხოვნებზე, სწორედ ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის გადაწყვეტა განაპირობებს სხვა მოთხოვნების გადაწყვეტას, როგორც მისი დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების თანმდევ იურიდიულ შედეგს, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის – ე. ქ-აიას მიერ გარდაცვალებამდე სადავო ბინის კანონიერი სარგებლობის ფაქტი მხარეთა შორის სადავო არ არის. დავის საგანს წარმოადგენს ის, რომ ე. ქ-აიას მიერ შედგენილი შინაურული ანდერძები არის თუ არა იურიდიული ძალის მქონე და სამართლებრივი შედეგის მატარებელი, ანუ რ. თ-ძე გახდა თუ არა ე. ქ-აიას ანდერძისმიერი მემკვიდრე და მიენიჭა თუ არა სადავო ბინის კანონიერი მოსარგებლის სტატუსი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არსებითია მითითებულ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღება და მასზეა დამოკიდებული დანარჩენი მოთხოვნების გადაწყვეტა და ა. ქ-აიას სახელზე გაცემული 2009 წლის 16 თებერვლის №28 საკუთრების უფლების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა და უძრავი ქონების 1/2 ნაწილის რ. თ-ძის მესაკუთრედ ცნობა მხოლოდ ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის შესახებ მოთხოვნის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რამდენადაც აღნიშნულის შესაბამისად გახდება რ. თ-ძე უფლებამოსილი სადავოდ გადახადოს ა. ქ-აიას სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის კანონიერება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რ. თ-ძის სარჩელი – ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის ნაწილში წარმოადგენს სამოქალაქო და არა ადმინისტრაციულ სარჩელს, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილავს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს, ხოლო ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის შესახებ მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს აღნიშნულზე და თუ მიზანშეუწონლად მიიჩნევს მოთხოვნების ერთი სახის სარჩელით (კომბინირებული ფორმით) განხილვას, სასამართლოს გააჩნია პროცესუალური უფლებამოსილება სსსკ-ის 182.2 მუხლის გამოყენებისა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახავს პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /26-ე მუხლი/, კერძოდ, დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 «ა» მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით, რამდენადაც როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად შეამოწმოს განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე, გამიჯნოს მოთხოვნები ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი კუთხით, სამოქალაქო მოთხოვნების ნაწილში საქმე წარმოებით გამოყოს და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლის მიხედვით გადასცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ამასთან, იმსჯელოს თუ რომელი მოთხოვნა უნდა გადაწყდეს უპირველესად – ანდერძისმიერ მემკვიდრედ აღიარება, თუ ა. ქ-იას სახელზე გაცემული 2009 წლის 16 თებერვლის №28 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობა და მესაკუთრედ რ. თ-ის ცნობა და აღნიშნულის მიხედვით განახორციელოს შესაბამისი საპროცესო მოქმედებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ქ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-993-986 (გ-11)

3 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოს დაცვის ინსპექციის შავის ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის წარმომადგენელმა შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შპს «ნ-ის» მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლით, იმ მოტივით, რომ 2006 წლის 28 დეკემბერს ე.წ. «თევზის ბაზრის» მიმდებარე ტერიტორიაზე შპს «ნ-ის» კუთვნილ მიწის ქვემოთ გამავალი მიწები დაზიანდა, რის გამოც მიწებიდან გადმოღვრილი ნავთობპროდუქტი მდინარე ბარცხანაში ჩაიღვარა. აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი

და შავი ზღვის დაბინძურებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის შესახებ მასალები, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 იანვრის დადგენილებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალებიდან ცალკე წარმოებდა გამოეყო მასალები ზიანის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საქმის წარმოება შეჩერდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის დადგენილებით შპს «ნ-ის» მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შპს «ნ-ის» დირექტორის მ. ჰ-ის მიმართ შეწყდა. დადგინდა, რომ მიღები, საიდანაც ჩაიღვარა ნავთობპროდუქტი, იყო არა შპს «ნ-ის», არამედ შპს «ბ-ს» საკუთრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის დადგენილებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოს დაცვის ინსპექციის შავის ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის უფროსმა საჩივარი შეიტანა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 იანვრის დადგენილებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოს დაცვის ინსპექციის შავის ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის უფროსის საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული დადგენილება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 8 თებერვლის დადგენილებით შპს «ნ-ის» დირექტორის მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა, ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის წარმოების გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 აგვისტოს განჩინებით შეჩერებული საქმის წარმოება სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში განახლდა, ხოლო 2008 წლის 26 სექტემბრის საოქმო განჩინებით სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კვლავ შეჩერდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 დეკემბრის განჩინებით შეჩერებული საქმის წარმოება განახლდა იმ საფუძველით, რომ სსსკ-ის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტში განხორციელებული ცვლილების თანახმად, აღარ იყო ვალდებული შეეჩერებინა საქმის წარმოება სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოს დაცვის ინსპექციის შავის ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს «ბ-ს» სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება – 249 300 ლარი დაეკისრა; ასევე მოწინააღმდეგე მხარეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ბ-ს» წარმომადგენელმა.

აღნიშნული საქმე განსახილველად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას გადაეცა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით შპს «ბ-ს» წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადაეცა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოს დაცვის ინსპექციის შავის ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის სარჩელი მოპასუხე – შპს «ბ-ს» მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას, ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ამავე კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს ან/და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ დაინტერესებული ორგანო/თანამდებობის პირი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელსაც უგზავნის სამართალდამრღვევს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტი საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოს დაცვის ინსპექციის შავის ზღვის დაცვის კონვენციურმა ინსპექციამ სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადებასთან ერთად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. შპს «ნ-ის» დირექტორის მიმართ ასკ-ის 58-ე მუხლით წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა, ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის წარმოების გამო. მიყენებული ზიანის და-

კისრების საკითხი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 და მე-40¹ მუხლების საფუძველზე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ განხილული ვერ იქნება, რამდენადაც აპელანტს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წესით სახდელი არ დადებია. ამასთან, არ არსებობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე სახდელის დადების აქტი და დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს. შესაბამისად, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტება, რომ დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და საქმე ადმინისტრაციული პალატის განსჯადია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა 34³ თავი, რომლის 309¹⁶ მუხლის შესაბამისად, ამ თავით დადგენილი წესით შეიძლება განხილულ იქნეს სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამდენად, ვინაიდან შპს «ნ-ის» მიმართა დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34³ თავით დადგენილი ნორმების შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განსჯადობის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ შპს «ბ-ს» სარჩელი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე არასწორია და ვერ იქნება გაზიარებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სასამართლოს დასკვნა, დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ დავის საგანს წარმოადგენდა გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი» განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-6 მუხლით ადმინისტრაციულ გადაცდომად მიჩნეულია ქმედება, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრულია თუ რომელი ადმინისტრაციული სახდელების სახეები შეიძლება დაეკისროთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას, ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ამავე კოდექსის მე-40¹ მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს ან/და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ დაინტერესებული ორგანო/თანამდებობის პირი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზიანის ანაზღაურე-

ბის შესახებ, რომელსაც უგზავნის სამართალდამრღვევს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტი საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ მუხლის მიზნებისთვის დაინტერესებულ ორგანოდ/თანამდებობის პირად ჩათვლება ის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო/თანამდებობის პირი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ბალანსზეც იმყოფება ან რომელსაც სარგებლობაში აქვს გადაცემული სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება, და შესაბამისად, რომელსაც ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის გამო მიაღდა ზიანი, ან რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოს დაცვის ინსპექციის შავის ზღვის დაცვის კონვენციურმა ინსპექციამ სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადებასთან ერთად, ასევე მოითხოვა მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. შპს «ნ-ის» დირექტორის მიმართ ასკ-ის 58-ე მუხლით წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა, იმ გარემოების გამო, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციული პალატის დასკვნას, რომ მიყენებული ზიანის დაკისრების საკითხი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 და მე-40¹ მუხლების საფუძველზე, ადმინისტრაციულ სასამართლოს განხილვის საგანი ვერ იქნება, რამდენადაც აპელანტს – შპს «ბ-ის» ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წესით სახდელი არ დადებია, აგრეთვე არ არსებობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე სახდელის დადების აქტი და შესაბამისად, დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დანართი 34³ თავი, რომლის 309¹⁶ მუხლის შესაბამისად, ამ თავით დადგენილი წესით შეიძლება განხილულ იქნეს სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. შესაბამისად, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს «ნ-ის» მიმართ დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა, ამდენად, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34³ თავით დადგენილი ნორმების შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას – განსჯადობის შესახებ დავის წამოწყებას, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ ადმინისტრაციული დავების განხილვაა დაშვებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ სწორი შეფასება მისცა სადავო სამართალურთიერთობას, მართებულად იმსჯელა, რომ მოცემული დავა არ არის დაკავშირებული იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «ბ-ის» სარჩელი მოპასუხის – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, გარემოს დაცვის ინსპექციის შავის ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-733-727(გ-11)

12 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ჯ. კ.-სა და ტ. კ.-ის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელებმა ჯ. კ.-ამ და ტ. კ.-ემ 24.02.11წ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, რომლითაც მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს.

სარჩელში აღნიშნულია, რომ წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 14.06.06წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სამტრედიის რაიონის სოფ. ... მოსახლეობის სასარჩელო მოთხოვნა და სს «...» დაეკისრა ნაგებობიდან გამომდინარე მატერიალური ზიანის 302 078 ლარის ანაზღაურება.

სს «...» საწესდებო კაპიტალიდან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 21.02.05წ. №16/126 წერილისა და აუდიტორული კომპანია შპს «...» 02.03.05წ. №02/03-1 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, ამოღებულ იქნა 21 822 238 ლარის ღირებულების ქონება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 21.03.05წ. №1-1/381 ბრძანებით აღნიშნული ქონების ბაზაზე დაფუძნდა შპს «გ...».

სსიპ «საწარმოთა მართვის სააგენტოს» თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 18.05.06წ. ბრძანებით სს «...» გარდაიქმნა შპს «...» სახელმწიფოს 100% წილით. ამდენად, წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 25.10.07წ. განჩინებით შეტანილ იქნა შესწორება 14.06.06წ. გადაწყვეტილებაში და სს «...» ნაცვლად მოპასუხედ მიეთითა შპს «...». წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 25.05.10წ. განჩინებით დასრულდა შპს «...» მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება.

მოსარჩელებმა ჯ. კ.-ამ და ტ. კ.-ემ მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან ზიანის ანაზღაურება იმ საფუძველით, რომ მან, როგორც პარტნიორმა, იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო საწარმოს მიერ კრედიტორული დავალიანების ანაზღაურება, სს «...» საწესდებო კაპიტალიდან ამოიღო მნიშვნელოვანი ქონება, რამაც საწარმო ვალაუვალი გახადა, გამოიწვია მისი გაკოტრების რეჟიმში მოქცევა და იძულებითი აღსრულების შეჩერება.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ «მეწარმეთა შესახებ» კანონის 3.6. მუხლის თანახმად, კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. შპს «...» (შპს «...») პარტნიორისათვის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის ცნობილი იყო რა «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსი, როგორც პარტნიორმა, კრედიტორული დავალიანების თავიდან აცილების, იძულებითი აღსრულების შეჩერების მიზნით ამოიღო საწესდებო კაპიტალიდან მნიშვნელოვანი ღირებულების ქონება, რამაც გამოიწვია აღსრულების შეჩერება. სამინისტრომ იცოდა, რომ ის, როგორც პარტნიორი პასუხს არ აგებდა მის მიერ დაფუძნებული საწარმოს ვალდებულებებზე, მის მიერვე დაფუძნებული საწარმოს კაპიტალიდან ამოიღო მნიშვნელოვანი ღირებულების ქონება, რამაც საწარმო ვალაუვალად აქცია. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სამინისტროსათვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ მოსარჩელებს მიადგათ ზიანი, ახალი საწარმოს დაფუძნება ამოღებული კაპიტალის ბაზაზე მოხდა ზიანის მიყენების წინასწარი განზრახვით, სამინისტრომ ბოროტად გამოიყენა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმა და დააფუძნა იგივე პროფილის საწარმო. კაპიტალის ამოღების შესახებ აქტები მოსარჩელებისათვის ცნობილი არ იყო, შესაბამისად არ შეეძლოთ მათი გასაჩივრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.02.11წ. განჩინებით ჯ. კ.-სა და ტ. კ.-ის სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ «რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენო-

ბის განსაზღვრის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 14.11.1997წ. №649 ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 12.04.2005წ. №213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიებით – ადმინისტრაციულ საქმეთა, სამოქალაქო საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიები. «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რაონული (საქალაქო) სასამართლოების განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან მოსარჩელები ითხოვენ ზიანის ანაზღაურებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაგან, როგორც საწარმოს პარტნიორისგან. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობდა როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი და როგორც პარტნიორი ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას. ამდენად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მითითებული მოქმედებები განახორციელა არა როგორც საჯარო კომპეტენციების განმახორციელებელმა სახელმწიფო ორგანომ, არამედ როგორც საწარმოს პარტნიორმა «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად. სწორედ «მეწარმეთა შესახებ» კანონის საფუძველზე მოახდინა სამინისტრომ სს «...» გარდაქმნა შპს «...» სახელმწიფოს 100%-იანი წილით, სს «...» საწესებო კაპიტალიდან 21 882 238 ლარის ღირებულების ქონების ამოღება და მის ბაზაზე შპს «ვ...» დაფუძნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.03.11წ. განჩინებით ჯ. კ-ას და ტ. კ-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და დავის საგანსაც შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ არის დამოკიდებული იმ გარემოებაზე, შესაბამისი ქმედება, რასაც შეიძლება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამოეწვიოს, რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა – კერძო თუ საჯარო კანონმდებლობიდან. აღნიშნულის მიმართ დიფერენცირებას არც ზოგადი ადმინისტრაციული და არც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ახდენს. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 3.2 მუხლზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში როგორც საგნობრივი, ისე ნორმატიული თვალსაზრისით, სარჩელი ექვემდებარება ადმინისტრაციულ კოლეგიაში ადმინისტრაციული წარმოების წესით განხილვას და სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საკასაციო სასამართლოს გადაუგზავნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. კ-ას და ტ. კ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და საქმე უნდა დაექვემდებაროს ხსენებულ კოლეგიას და განხილულ იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის დეფინიციის მიხედვით არის ადმინისტრაციული ორგანო, რაც უპირობოდ არ ადასტურებს განსახილველი დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას. ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ სუბიექტური შემადგენლობის ანუ მოცემულ შემთხვევაში იმის გამო, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, არამედ აგრეთვე სადავო სამართალურთიერთობის საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან წარმოშობის, სადავო სამართალურთიერთობის ბუნების გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს დაკარგავდა სამოქალაქო კოდექსის 24.4 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, სამოქალაქო კოდექსის 8.2 მუხლი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან წესრიგდება სამოქალაქო კანონებით.

მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით, სამეწარმეო საქმიანობაში პარტნიორად მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ზიანის ანაზღაურება, რომელიც ვალდებულე-

ბის შეუსრულებლობას ეყრდნობა, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ამყარებს სამოქალაქო კოდექსის ნორმებს და თვლის, რომ მოპასუხის, როგორც პარტნიორის მოქმედება ეწინააღმდეგებოდა «მეწარმეთა შესახებ» კანონის ნორმების მოთხოვნებს, რასაც შედეგად მოჰყვა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება. ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს პარტნიორის მოქმედების «მეწარმეთა შესახებ» კანონის ნორმებთან შესაბამისობის დადგენას. ის გარემოება, რომ ასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტში ზიანის ანაზღაურება მითითებულია როგორც სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი, იმაზე მითითების გარეშე თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას. ასეთი მსჯელობის მიხედვით ზიანის ისეთი ფორმა, როგორცაა სამოქალაქო ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, რაც ეწინააღმდეგება ასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს და ემყარება ასკ-ის მე-2 მუხლის არასწორ გაგებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს არამხოლოდ განსჯადობის განმსაზღვრელი ასკ-ის მე-2 მუხლის რომელიმე ცალკე ნაწილის, კერძოდ, ასკ-ის 2.1 მუხლის «გ» ქვეპუნქტის, არამედ ხსენებული მუხლის ყველა ნაწილის და უპირველეს ყოვლისა, მუხლის მე-3 ნაწილთან ურთიერთკავშირში გააზრებას. ასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სამეწარმეო საქმიანობა «მეწარმეთა შესახებ» კანონით მოწესრიგებული კერძო-სამართლებრივი საქმიანობის ფორმაა, «მეწარმეთა შესახებ» კანონი არის არა კომპლექსური, კერძო და საჯარო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებისაგან შემდგარი, არამედ მხოლოდ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტი. «მეწარმეთა შესახებ» კანონის 2.1 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება წარმოადგენენ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. ვინაიდან სახელმწიფო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, იგი შპს-ში პარტნიორად, ხოლო სს-ში აქციონერად მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი და თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ასრულებს არა საჯარო უფლებამოსილებას, არამედ წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც პარტნიორს, გამოდის პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში კერძო სამართლის სუბიექტის სახით და როგორც პარტნიორი ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას «მეწარმეთა შესახებ» კანონის შესაბამისად.

მოსარჩელები სარჩელის საფუძვლად უთითებენ კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმებს, კერძოდ, «მეწარმეთა შესახებ» კანონის 3.6 მუხლს, ასევე სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლს და აღნიშნავენ, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, როგორც ზიანის მიმყენებელი საწარმოს პარტნიორმა, ბოროტად გამოიყენა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავიდან აცილების მიზნით საწარმოდან ამოიღო 21 822 238 ლარის ღირებულების ქონება, რომლის ბაზაზე საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრის 21.03.2005წ. №1-1/381 ბრძანებით დაფუძნდა შპს «ვ...». შესაბამისად, მოსარჩელებმა წარადგინეს თავიანთი მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, როგორც შპს «...» (სს «...») პარტნიორის (აქციონერის) მიმართ. პარტნიორის უფლება წილზე არ იწვევს საწარმოს დამფუძნებლის საკუთრებაში ყოფნას მაშინაც კი, როდესაც დამფუძნებელი წილის 100%-ის ან ყველა აქციის მესაკუთრეა. ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ემყარება «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტს, რომელიც პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის ტიპის საზოგადოებაში შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორის სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით პასუხისმგებლობას კრედიტორების წინაშე, ქმნის მოპასუხედ არა საწარმოს, არამედ მისი პარტნიორის – სამინისტროს პასუხისმგებლობის დასმის და არა განსჯადობის შეცვლის საკითხს. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალიდან აქტივების ამოღება მოხდა არა ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, არამედ აქციონერთა კრების დადგენილებით, სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნა ასევე მოხდა არა აქტის გამოცემით, არამედ დამფუძნებელი პარტნიორის მიერ ნების გამოვლენით, რომელიც დავის საგანს არ წარმოადგენს, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა არა როგორც საჯარო უფლებამოსილების განმხორციელებელი ორგანო, არამედ როგორც კერძო სამართლის სუბიექტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ჯ. კ-ას და ტ. კ-ის სარჩელი მოპასუხე – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჯ. კ.-ას და ტ. კ.-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-107-106 (გ-12)

16 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა – ნ. მ-მა, ლ. ბ-მა, ხ. ა-მ, დ. ე-მა, ი. დ-მა, ნ. ლ-მ, ე. ჩ-მა და გ. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიმართ.

მოსარჩელების განმარტებით, 2010 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ყრილობაზე სპმთპ-ს (საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი) პრეზიდენტი არჩეულ იქნა პროცედურული დარღვევით.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 2010 წლის 30 ოქტომბერს მოწვეულ იქნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების მე-6 რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა. ყრილობაზე რეგისტრაცია გაიარა 203 დელეგატი, ყრილობას ესწრებოდა 178 დელეგატი 203 ხმით, 25 მინდობილობა იყო წარმოდგენილი. ყრილობის დღის წესრიგის მეორე საკითხის – სპმთპ-ის პრეზიდენტის კენჭის ყრის დროს პროტესტის ნიშნად ყრილობა 124 დელეგატი დატოვა. ყრილობის დელეგატებმა მანდატები თან გაიყოლეს, რათა დარბაზში დარჩენილ დელეგატებს მანდატები არ გამოეყენებინათ. მას შემდეგ რაც დელეგატებმა ყრილობა დატოვეს, ყრილობა უფლებამოსილი არ იყო გაეგრძელებინა სხდომა. მოსარჩელების მოსაზრებით, ყრილობაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება ბათილია, რადგან დარბაზში დარჩენილ დელეგატთა ხმათა რაოდენობა არ იყო საკმარისი. 2010 წლის 30 ოქტომბრის მე-6 რიგგარეშე საარჩევნო ყრილობას 203 (178 დელეგატი, 25 მინდობილობა) დელეგატი ესწრებოდა, კანდიდატს უნდა მიეღო არანაკლებ 102 ხმა, ხოლო 124 დელეგატის მიერ დარბაზის დატოვების შემდგომ დარბაზში მხოლოდ 79 დელეგატი დარჩა.

მოსარჩელების განმარტებით, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წესდების მე-5 მუხლის 5.7 პუნქტის შესაბამისად, ყრილობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა საერთო რაოდენობის 2/3. ხოლო ამავე მუხლის 5.8 პუნქტის თანახმად, ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს ყრილობაზე დამსწრე დელეგატთა უბრალო უმრავლესობით.

მოსარჩელების მითითებით, 2010 წლის 30 ოქტომბერს ყრილობის დატოვების შემდგომ მოწვეულ იქნა სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრთა საგანგებო სხდომა. სხდომაზე საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა ყრილობის ლეგიტიმურობის საკითხი და მიღებულ იქნა დღის წესრიგი. ამავე სხდომაზე გადაწყვეტილი იქნა ყრილობის არჩევნების შედეგების პროცედურული დარღვევების გასაჩივრების საკითხი.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 2010 წლის 30 ოქტომბრის საგანგებო სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრთა საგანგებო სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რიგგარეშე მე-6 ყრილობის საარჩევნო-საპროცედურო კომისიისათვის მიემართათ საჩივრით, სადაც ითხოვდნენ 2010 წლის 30 ოქტომბრის სპმთპ-ის პრეზიდენტის არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას (საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო დებულების მე-9

მუხლის მე-6 პუნქტი). საპროცედურო კომისიამ არ განიხილა საჩივარი და უარი თქვა მის განხილვაზე იმ მოტივით, რომ საჩივრის ავტორები ითხოვდნენ არჩევნების შემაჯამებელ ოქმს, რომლის გამოთხოვისა და გასაჩივრების უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2010 წლის 30 ოქტომბრის რიგგარეშე მე-6 საარჩევნო ყრილობის მე-2, მე-3 და მე-4 დღის წესრიგის შედეგებისა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის 2010 წლის 10 ნოემბრის წერილის ბათილად ცნობა მოითხოვეს.

ამასთან, 2011 წლის 21 მარტს პროფკავშირის სხვა წევრებმაც – მ. ბ-მა და სხვებმა – სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიმართ, რომელთაც ასევე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2010 წლის 30 ოქტომბრის რიგგარეშე მე-6 საარჩევნო ყრილობის მე-2, მე-3 და მე-4 დღის წესრიგის შედეგებისა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის 2010 წლის 10 ნოემბრის წერილის ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 მარტის განჩინებით მ. ბ-ისა და სხვათა სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული და მისი განხილვა დადგინდა ძირითად სარჩელთან ერთად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 ივნისის განჩინებით სამოქალაქო საქმე №2/12172-10 ნ. მ-ის, ლ. ბ-ის, ხ. ა-ისა და სხვათა სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების მიმართ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2010 წლის 30 ოქტომბრის რიგგარეშე მე-6 საარჩევნო ყრილობის მე-2, მე-3 და მე-4 დღის წესრიგის შედეგებისა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის 2010 წლის 10 ნოემბრის წერილის ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლზე და მიიჩნია, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის 2010 წლის 10 ნოემბრის წერილი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა, რის გამოც სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 იანვრის განჩინებით სარჩელი მოპასუხე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის, პრეზიდენტის მ. კ-ის მიმართ, საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობები, ვინაიდან, განსახილველი დავის სუბიექტები არ წარმოადგენენ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებს. ამასთან, სასამართლოს მითითებით, ცალსახაა, რომ დავა კერძო სამართლებრივი ხასიათისაა, ვინაიდან, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2010 წლის 30 ოქტომბრის რიგგარეშე მე-6 საარჩევნო ყრილობის მე-2, მე-3 და მე-4 დღის წესრიგის შედეგების შესაბამისობა უნდა განხორციელდეს მისივე წესდებებსა და საარჩევნო დებულებასთან, ხოლო გასაჩივრებული საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის 2010 წლის 10 ნოემბრის წერილი (რომლითაც მოსარჩელებს უარი ეთქვათ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პრეზიდენტის 2010 წლის 30 ოქტომბრის რიგგარეშე არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე საჩივრის განხილვაზე), ვერ ჩაითვლება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, ვინაიდან, გამოცემული არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რაც თავისთავად გამორიცხავს მისი მხრიდან აღნიშნული ხასიათის აქტის გამოცემის შესაძლებლობას და მითითებული გაერთიანების წესდებითა და შესაბამისი შიდაორგანიზაციული აქტების საფუძველზე მიღებული კერძო ხასიათის მატერიალურ-სამართლებრივი დოკუმენტია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სცილდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალწარმოების სფეროს, რის გამოც სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოს უნდა გადმოეგზავნოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ

მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2010 წლის 30 ოქტომბრის რიგგარეშე მე-6 საარჩევნო ყრილობის მე-2, მე-3 და მე-4 დღის წესრიგის შედეგებისა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო-საპროცესო კომისიის თავმჯდომარის 2010 წლის 10 ნოემბრის წერილის ბათილად ცნობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების დაკისრების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ კანონი ან კანონქვემდებარე აქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «პროფესიული კავშირების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პროფესიული კავშირი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქმიანობის მიხედვით – საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია თავისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა. ხოლო იმავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) დამოუკიდებელი არიან სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დამსაქმებელთა, დამსაქმებელთა გაერთიანებების (კავშირების, ასოციაციების), პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისაგან, არ არიან მათ წინაშე ანგარიშვალდებულნი და არ ექვემდებარებიან მათ კონტროლს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამდენად, აღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ განსახილველი დავის სუბიექტები არ წარმოადგენენ საჯარო-

რო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებს. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო საკითხის შეფასებისას არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზეა დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი დავის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად კანონიერად ჩატარდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის არჩევნები და რამდენად კანონიერად მოხდა მისი არჩევა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ყრილობის ჩატარების წესი და პროცედურები რეგულირდება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წესდებით, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო დებულებით. ამასთან, «პროფესიული კავშირების შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) მიზნებსა და ამოცანებს, წევრად მიღებისა და გასვლის წესს, წევრთა უფლება-მოვალეობებს, სტრუქტურას, უმაღლესი და ხელმძღვანელი ორგანოების კომპეტენციასა და უფლებამოსილების ვადებს, შემოსავლისა და ქონების შექმნის წყაროებსა და გამოყენების წესს, წესდებაში ცვლილებების შეტანის პირობებს, საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებს, სახელწოდებას, ადგილსამყოფელსა და სამოქმედო ტერიტორიას, აგრეთვე მათთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებს განსაზღვრავს მათი წესდებები კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წესდების მე-5 მუხლით რეგულირდება სპმთპ-ის ყრილობის უფლება-მოვალეობები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სპმთპ-ის მართვის უმაღლესი ორგანოა სპმთპ-ის ყრილობა, ხოლო ამავე მუხლის 5.5 პუნქტის თანახმად, ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნება ა) სპმთპ-ის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, სპმთპ-ის პრეზიდენტის არჩევა. ხოლო საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ყრილობის რეგლამენტის 1-ლი პუნქტის თანახმად, წინამდებარე რეგლამენტი წარმოადგენს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ყრილობის მუშაობის წესების განმსაზღვრელ აქტს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარჩელის საგანია საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2010 წლის 30 ოქტომბრის რიგგარეშე მე-6 საარჩევნო ყრილობის მე-2, მე-3 და მე-4 დღის წესრიგის შედეგების შესაბამისობა მისივე წესდებებსა და საარჩევნო დებულებასთან. აღნიშნული საკითხების შესწავლა კი არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ მატერიალური სამოქალაქო კანონმდებლობის – «პროფესიული კავშირების შესახებ» საქართველოს კანონის, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წესდებისა და მისი საარჩევნო დებულებების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას სადავო საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი თავისი არსით კერძო სამართლებრივი ხასიათისაა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის 2010 წლის 10 ნოემბრის წერილი არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან, არ შეიცავს აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით რეგლამენტირებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ, იგი გამოცემულია არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე და ასევე, სახეზე არ გვაქვს ადმინისტრაციული ორგანო. ამასთან, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც თავისი საქმიანობისა და უფლებამოსილებათა განხორციელების ფარგლებში ხელმძღვანელობს წესდებისა და სამოქალაქო მატერიალური კანონმდებლობის შესაბამისად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეებისა და პროფკავშირის სხვა წევრების სარჩელი, მოპასუხის – საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიმართ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2010 წლის 30 ოქტომბრის რეგარემე მე-6 საარჩევნო ყრილობის მე-2, მე-3 და მე-4 დღის წესრიგის შედეგებისა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საარჩევნო-საპროცესო კომისიის თავმჯდომარის 2010 წლის 10 ნოემბრის წერილის ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№8ს-150-149(გ-12)

28 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა მ. ჯ-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ჯ-ის სარჩელი, მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, 2010 წლის 20 ივლისის №გ-772 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა მ. ჯ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის განჩინებით, მ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობის შესაბამისად, გადაუგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, იმ მოტივით, რომ სახეზე იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, დავაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავის საგანს წარმოადგენს ბრძანების ბათილად ცნობა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 27 იანვრის განჩინებით მ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლზე, რომლითაც სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლო-

ბასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება არანებაცხოვლოვითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმე, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 20 ივლისის №გ-772 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 31 მარტის №248 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის დებულება და ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო დეპარტამენტისა და საბაჟო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის №170 ბრძანება. ბრძანების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2010 წლის 1 აპრილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ასევე მიუთითა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. დასახელებული კანონის მე-9 მუხლის (საქმიანობა) პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში. ხსენებული კანონის მე-10 მუხლის (მართვა და წარმომადგენლობა) მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტის), წესდების (დებულების) და წევრთა გადაწყვეტილებების (თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზეა დაფუძნებული) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად, მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, ხოლო მე-12 მუხლში ჩამოთვლილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შემადგენელი ის ქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან თანხმობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ადმინისტრაციულმა პალატამ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის მმართველობითი ხასიათი, ასევე – სახელმწიფო კონტროლისა და შესაბამისი სახის საქმიანობაზე ხელმძღვანელის სახელისუფლებო შეზღუდვის ელემენტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელიც „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ერთპიროვნულად უძღვება მის საქმიანობას და განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს, აღნიშნული ნიშნით განსხვავდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 და 41-ე პუნქტებზე, რომელთა თანახმად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან განსხვავებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად შექმნილი საჯარო სამართლის

იურიდიული პირის ხელმძღვანელს – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო). ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო აქტით, ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დამატებით განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, აღნიშნულ ჩამონათვალში არ არის მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში ასევე არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მ. ჯ-ი მუშაობდა რა სსიპ შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის მომსახურების სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სერვისის ცენტრის მთავარ ოფიცრად, არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, შესაბამისად, მასზე ვერ გავცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რის გამოც ხსენებული ბრძანება წარმოადგენს კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ, სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და გამოყენებულ იქნეს სწორედ კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქმის მასალებთან ერთად უნდა გადაგზავნოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ჯ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განისაზღვრება იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალი, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს აღნიშნული კოდექსით დადგენილი საპროცესო წესებით. ამასთან, არსებითი ელემენტი, რომლის შედეგადაც დავა მიჩნეულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმედ, არის დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

მოსარჩელე სადავოდ ხდის სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 12 ივლისის №971 ბრძანებისა და «მ. ჯ-ის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ» 2010 წლის 20 ივლისის №გ-772 ბრძანების კანონიერების საკითხს, ასევე ითხოვს სამუშაოზე აღდგენასა და განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. «ა» მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, მართლაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა, აღნიშნული არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.2. «დ» მუხლით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 1.1 მუხლი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებ-

ბოზის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 2.1 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნავს შემდეგს, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, საგულისხმოა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ- შემოსავლების სამსახურში საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, რამდენადაც ეს დაწესებულება ამ ნუსხაში არ მოიაზრება.

«საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ ბრძანებულებით განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა რეესტრი, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელეთათვის კიდევ ერთი ნორმატიული დადასტურებაა სტატუსთან მიმართებაში, შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად ის განხილული ვერ იქნება საჯარო მოსამსახურედ.

იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მასზე არ ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოთხოვნები, შემოსავლების სამსახურში საბაჟო და საგადასახადო ორგანოების თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციისა და დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სამსახურის თანამშრომელთა ატესტაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ასევე არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 12 ივლისის №971 ბრძანება შემოსავლების სამსახურის სისტემის თანამშრომელთა ატესტაციის ჩატარების წესს განსაზღვრავს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს გასაჩივრებული ბრძანების სამართლებრივ საფუძველზე. «საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა მიღების (მათ შორის კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №257 ბრძანების მე-9 მუხლის თანახმად, ატესტაციის ჩატარების დროსა და საატესტაციო მოთხოვნებს, აგრეთვე ატესტაციის ჩატარებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით კი ატესტაციის შედეგების გათვალისწინებით, სამსახურის უფროსი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ შემოსავლების სამსახურის უფროსი შიდაორგანიზაციული ხასიათის მოწესრიგების ფორმების (ბრძანებებით) საფუძველზე უფლებამოსილია განსაზღვროს თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი, კვალიფიკაციური კადრების შერჩევის მიზნით იგი უფლებამოსილია შექმნას პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული კომისია, რომლის მიზანია, დადგინდეს თანამშრომლის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობა. სადავო ბრძანების მე-7 პუნქტის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილეს დაევალა ტესტირების ჩატარების უზრუნველსაყოფად სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. სწორედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიმდინარე წლის 20 ივლისის №40/1-1092 წერილი დაედო საფუძველად შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ მიღებულ მოსარჩელის განთავისუფლების ბრძანებას.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ «საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურში თანამშრომელთა მიღების (მათ შორის კონკურსის ფორმით) და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №257 ბრძანება არ ეყრდნობა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე-36-ე და ამავე კანონის 81-ე-87-ე მუხლებს, შესაბამისად სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოექცევა მითითებული სამართლებრივი ნორმების რეგულირების სფეროში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მ. ჯ-ის სამსახურიდან გათავისუფლების დროს შეწყდა კერძოსამართლებრივი – შრომითი ურთიერთობა, ერთი მხრივ ადმინისტრაციულ ორგანოსა და მეორე მხრივ – ფიზიკურ პირს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნია სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიაზე შრომით-სამართლებრივ და მის თანმდევ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს შრომის კოდექსი, თუ შრომითი ურთიერთობა განსხვავებულად არ არის დარეგულირებული სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ჯ-ის სარჩელი მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2 და 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე და 408-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ჯ-ის სარჩელი მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-216-214(გ-12)

28 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ა. კ-ისა და მ. ბ-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 27 სექტემბერს ა. კ-მა და მ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – შპს «...ის» მიმართ და მოითხოვა შპს «...ის» 2011 წლის 27 ივნისის აუქციონის №58-2 სხდომის ოქმის, 2011 წლის 27 ივნისის განკარგულებისა და შპს «...ის» 2011 წლის 30 მაისის №58-1 ოქმის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ა. კ-ისა და მ. ბ-ის სარჩელი მოპასუხე შპს «...ის» მიმართ შპს «...ის» 2011 წლის 27 ივნისის აუქციონის №58-2 სხდომის ოქმის, 2011 წლის 27 ივნისის განკარგულებისა და შპს «...ის» 2011 წლის 30 მაისის №58-1 ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით გადაეზღვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ განეკუთვნება ადმინისტრაციული კატეგორიის დავას და იგი ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოებით განხილვას, რამდენადაც, კონკრეტულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს შპს «...ის» 2011 წლის 27 ივნისის აუქციონის №58-2 სხდომის ოქმის, 2011 წლის 27 ივნისის განკარგულებისა და შპს «...ის» 2011 წლის 30 მაისის №58-1 ოქმის ბათილად ცნობა.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სარჩელი წარმოადგენს სამოქალაქო და არა ადმინისტრაციულ სარჩელს, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილავს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამდენად, კანონმდებელმა საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის ელემენტად განსაზღვრა სწორედ დავის საგანი, ის გარემოება, რომ სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე შპს «...ის» 2011 წლის 27 ივნისის აუქციონის №58-2 სხდომის ოქმის, 2011 წლის 27 ივნისის განკარგულებისა და შპს «...ის» 2011 წლის 30 მაისის №58-1 ოქმის ბათილად ცნობა-დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციუ-

ლი საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზე დასაშვები.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელებს ა. კ.-ისა და მ. ბ.-ის სასარჩელო განცხადება განსჯადობით უნდა გადაგზავნოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

2011 წლის 16 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსარჩელებმა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვეს შპს «...ის» 2011 წლის 27 ივნისის აუქციონის №58-2 სხდომის ოქმის, 2011 წლის 27 ივნისის განკარგულების, შპს «...ის» 2011 წლის 30 მაისის №58-1 ოქმისა და 2010 წლის 22 ნოემბრის მორიგების აქტის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელების ა. კ.-ისა და მ. ბ.-ის სარჩელი შპს «...ის» 2011 წლის 27 ივნისის აუქციონის №58-2 სხდომის ოქმის, 2011 წლის 27 ივნისის განკარგულების, შპს «...ის» 2011 წლის 30 მაისის №58-1 ოქმისა და 2010 წლის 22 ნოემბრის მორიგების აქტის ბათილად ცნობის შესახებ თანდართული მასალებით გადმოეგზავნა საკასაციო სასამართლოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ა» ქვეპუნქტსა და ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე და მიიჩნია, რომ აღნიშნული საქმე დავის საგნისა და არსის, სადავო ურთიერთობის მიხედვით არ ექვემდებარებოდა განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, არამედ ექვემდებარება განხილვას ადმინისტრაციული წესით, ვინაიდან მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა განეკუთვნებოდა არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ დავას და მისი განხილვა ადმინისტრაციული წესით უნდა მომხდარიყო «რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის №213-ე ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებებით, ლიკვიდირებულ იქნა ქ. თბილისის რაიონული სასამართლო და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო სპეციალიზირებული სასამართლო კოლეგიებით – ადმინისტრაციულ საქმეთა, სისხლის და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიები. «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი. ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესებით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს შეიცავს საქართველოს სსკ-ის მე-11 და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლები, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის ხსენებული მუხლით დავა, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, მოცემული დავა თავისი არსით წარმოადგენდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას და საქმე უნდა გადაგზავნოდა საკასაციო სასამართლოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. კ.-ისა და მ. ბ.-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს შპს «...ის» 2011 წლის 27 ივნისის აუქციონის №58-2 სხდომის ოქმის, 2011 წლის 27 ივნისის განკარგულების, შპს «...ის» 2011 წლის 30 მაისის №58-1 ოქმისა და 2010 წლის 22 ნოემბრის მორიგების აქტის ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული

თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, მათ შორის – სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს შორის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დაფარვის მიზნით სს ბანკმა «...მ», მსესხებელმა ი/მ «მ. ბ-მა», თავდებმა და იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრე ა. კ-მა, თავდებმა «ფაინმა» და იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრე ე. ზ-მა 2001 წლის 22 ნოემბერს გააფორმეს მორიგების აქტი. მითითებული აქტის მე-6 პუნქტით ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმდნენ იპოთეკის საგნის რეალიზაციის ფორმაზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მხარეებმა იპოთეკის საგნის რეალიზაციის მიზნით სპეციალისტად დანიშნეს შპს «...ი».

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლი ითვალისწინებს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გაყიდვის შესაძლებლობას მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე სპეციალისტის დანიშვნის გზით, საყურადღებოა, რომ სპეციალისტის მიერ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ნივთის აუქციონზე რეალიზაცია არ ითვლება იძულებით აღსრულებად, რამდენადაც, მისი დანიშვნა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის განსაზღვრის მოცემული წესი სრულად ემყარება კერძო პირთა ნების ავტონომიას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლზე, რომლის თანახმად აუქციონის ჩატარების მოცემულ წესზე არ ვრცელდება «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნები, იგი წესრიგდება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის მე-6 ნაწილი, 306¹-306³ მუხლები, 306⁵ მუხლის 1-ლი ნაწილი და 307-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ამდენად, შპს «...ის» დირექტორის მიერ ნივთის აუქციონზე რეალიზაცია ემყარება კერძო სამართლის ნორმებს და მის მიერ განხორციელებული მოქმედებები არ წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილების განხორციელებას, განსხვავებით კერძო აღმასრულებლის საქმიანობისაგან, რომელიც «სააღსრულებო საქმიანობის შესახებ» კანონის 14^ე მუხლის საფუძველზე წარმოადგენს ფიზიკურ პირს, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას-სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე.

ამდენად, სპეციალისტის მიერ უძრავი ქონების რეალიზაციის წესები და პირობები განისაზღვრება მხოლოდ კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტის – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, რომელთა გამოყენებით უნდა იქნეს შემოწმებული სასარჩელო მოთხოვნათა საფუძველიანობა და განისაზღვროს სამართლებრივი შედეგი.

ამასთან, სასარჩელო მოთხოვნები მიმართულია მოპასუხე – კერძო სამართლის იურიდიული პირის – შპს «...ის» მიმართ. შესაბამისად, რადგან მოსარჩელე ფიზიკური პირების სასარჩელო მოთხოვნები თავისი არსით სამოქალაქო-სამართლებრივია, იგი წაყენებული აქვს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, დავა განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. ამდენად საქმე განსჯადობის წესების დაცვით უნდა დაექვემდებაროს და განსახილველად გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2 და 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე და 408-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. კ-ისა და მ. ბ-ის სარჩელი მოპასუხე – შპს «...ის» მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-1719-1675(გ-10)

18 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

მ. ჩ-ანმა, მ. ხ-მემ და გ. მ-შვილმა სარჩელი აღძრეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ქ. ქუთაისის მერიის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეს მოსარჩელების სასარგებლოდ, დაკისრებოდა სახელფასო დავალიანების, კერძოდ: მ. ჩ-ანისათვის – 2596 ლარის, მ. ხ-მისათვის – 1373 ლარისა და გ. მ-შვილისათვის – 1798 ლარის ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაება სს «...».

2009 წლის 14 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელებმა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს, ქ. ქუთაისის მერიას დაკისრებოდა სს «...» მიერ არსებული სახელფასო დავალიანების, კერძოდ: მ. ჩ-ანისათვის – 2596 ლარის, ამასთან, დავალიანების გადახდის დღემდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელფასის 0,07%, ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 120 ლარისა და შვებულების კომპენსაციის – 60 ლარის; მ. ხ-მისათვის – 1373 ლარის, გადახდის დღემდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელფასის 0,07%, ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 60 ლარისა და შვებულების კომპენსაციის - 60 ლარის, გ. მ-შვილისათვის – 1798 ლარის, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადახდის დღემდე ხელფასის 0,07%, ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 60 ლარისა და შვებულების კომპენსაციის – 60 ლარის ანაზღაურება, ვინაიდან, ქ. ქუთაისის მერიამ აღნიშნული დავალიანების გადახდა იკისრა 2008 წლის №2195 ბრძანებით.

მოპასუხემ – ქ. ქუთაისის მერიამ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სსკ-ის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობდნენ ისე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. ამავე კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი. ამავე კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.

2008 წლის 2 ოქტომბერს ქ. ქუთაისის თვითმმართველ ერთეულსა და სს «ქუთაისის ტროლეიბუსების საწარმოს» შორის დადებული ხელშეკრულება ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით თვითმმართველმა, ქ. ქუთაისის მერიამ, ქონების მიღების სანაცვლოდ იკისრა სს «...» საგადასახადო და სახელფასო დავალიანებების დაფარვის ვალდებულება, მხოლოდ იმ პირობით, როცა მოახდენდა ნაჩუქარი ქონების პრივატიზებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების /დელიქტის/, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელებს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, შესაძლოა წარმოშობოდათ ქ. ქუთაისის მერიის მიმართ სახელფასო დავალიანების მოთხოვნის უფლება და, შესაბამისად, მათ შორის არსებული ურთიერთობა დარეგულირდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული კრედიტორისა და მოვალის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ნორმებით. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელები არ შეიძლება განხილულ იქნენ ქ. ქუთაისის მერიის, როგორც სს «...» უფლება-მონაცვლის კრედიტორად, ვინაიდან, თავად ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ქ. ქუთაისის მერია ვერ ჩაითვლება სს «...» უფლებამონაცვლედ იმ ურთიერთობებზე, რაც წარმოშობილი იქნება ამ უკანასკნელთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების შემდეგ, ხოლო ჩუქების ხელშეკრულებამდე არსებულ ვალდებულებებზე ქ. ქუთაისის მერია მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სს «...» უფლებამონაცვლედ, როცა განახორციელებს ნაჩუქარი ქონების პრივატიზებას. გარდა ამისა, აღნიშნული ხელშეკრულების

დადებით სს «...», როგორც, სააქციო საზოგადოებამ ფაქტობრივად შეწყვიტა ფუნქციონირება ქონების არარსებობის გამო. ამასთან, ქონების ახალ მესაკუთრეს – ქ. ქუთაისის მერიას არ მოუხდენია სააქციო საზოგადოებაში დასაქმებულ პირებთან ახალი ხელშეკრულების დადება, არც მოსარჩელის მიერ არის წარმოდგენილი მტკიცებულება ახალი ქონების ახალ მესაკუთრეზე გადაცემის შემდეგ სააქციო საზოგადოებაში რაიმე სახის სამუშაოს შესრულების შესახებ, ხოლო რაც შეეხება ჩუქების ხელშეკრულების დადებამდე არსებულ დავალიანებას, მოპასუხის განმარტებით, 2008 წლის 2 ოქტომბრის ქ. ქუთაისის თვითმმართველ ერთეულსა და სს «...» შორის გაფორმებული №269 ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველმა, ქ. ქუთაისის მერიამ, იკისრა სს «...» ქონების ჩუქების ხელშეკრულებით გადაცემის მომენტისთვის არსებული საგადასახადო და სახელფასო დავალიანების დაფარვის ვალდებულება, მხოლოდ იმ პირობით, როცა მოახდენდა ნაჩუქარი ქონების პრივატიზებას.

ამასთან, სს «...» მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად, ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტისთვის (2008 წლის 2 ოქტომბრამდე) სააქციო საზოგადოებას მ. ჩ-ნის მიმართ გააჩნდა სახელფასო დავალიანება – 614,48 ლარი, მ. ხ-ძის მიმართ – 865,27 ლარი და გ. მ-შვილის მიმართ – 968,17 ლარი.

«მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით და ამდენად, მოპასუხის განმარტებით, არ არსებობს მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნის ქ. ქუთაისის მერიაზე დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. ჩ-ანის, მ. ხ-ძისა და გ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სს «...» მ. ჩ-ნის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 1299,52 ლარის, მისი დაყოვნების ყოველი დღისათვის გადახდის დღემდე 1914 ლარის 0,07%-ის, ასევე შვებულების კომპენსაციის – 120 ლარისა და ხელშეკრულების მოშლისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 120 ლარის გადახდა; მ. ხ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 91,73 ლარის, მისი დაყოვნების ყოველი დღისათვის გადახდის დღემდე 957 ლარის 0,07 %-ის ასევე შვებულების კომპენსაციის 60 ლარისა და ხელშეკრულების მოშლისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 60 ლარის გადახდა; გ. მ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 91,83 ლარის მისი დაყოვნების ყოველი დღისათვის გადახდის დღემდე 1060 ლარის 0,07%-ის, ასევე შვებულების კომპენსაციის – 60 ლარისა და ხელშეკრულების მოშლისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 60 ლარის გადახდა, შემდეგი საფუძველებით: საქალაქო სასამართლომ დადგინილად ცნო ის გარემოება, რომ ქ. ქუთაისის მერია, როგორც სს «...» ქონების მესაკუთრე, ხელშეკრულების შესაბამისად, არ წარმოადგენდა პასუხისმგებელ პირს იმ დავალიანებაზე, რომელიც საწარმოს წარმოშობილი აქვს 2008 წლის 2 ოქტომბრის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ხოლო აღნიშნულ ხელშეკრულებამდე მოსარჩელეთა მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხე ქ. ქუთაისის მერიას ჯერ არ წარმოშობია გადაცემული ქონების აუქციონის წესით რეალიზების არარსებობის გამო.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობები წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარისწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0,07%.

სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ მოსარჩელების სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე სს «...» მიმართ სრულადაა დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა სს «...» მიმართ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას ქ. ქუთაისის მერიის მიმართ, სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

ამავე კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ამავე კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.

2008 წლის 2 ოქტომბრის ქ. ქუთაისის თვითმმართველ ერთეულსა და სს «...» შორის დადებული ხელშეკრულება ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც თვითმმართველმა ქ. ქუთაისის მერიამ ქონების მიღების სანაცვლოდ იკისრა სს «...» საგადასახადო და სახელფასო დავალიანებების დაფარვის ვალდებულება, ამასთან, იმავდროულად მიიღო საწარმოს კუთვნილი უძრავ-მომრავი ქონება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელებს მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შესაძლოა წარმოშობოდა ქ. ქუთაისის მერიის მიმართ სახელფასო დავალიანების მოთხოვნის უფლება და შესაბამისად, მათ შორის არსებული ურთიერთობა დარეგულირებული იქნებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში კრედიტორისა და მოვალის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ნორმებით. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე არ შეიძლება განხილულ იქნეს ქ. ქუთაისის მერიის, როგორც სს «ქუთაისის ტროლეიბუსების საწარმოს» უფლებამონაცვლის კრედიტორად, რადგან თავად ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ქ. ქუთაისის მერია ვერ ჩაითვლება სს «...» უფლებამონაცვლედ იმ ურთიერთობებზე, რაც წარმოშობილ იქნა ამ უკანასკნელთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების შემდეგ. გარდა ამისა, სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ხელშეკრულებით სს «...», როგორც სააქციო საზოგადოებამ ფაქტობრივად შეწყვიტა ფუნქციონირება ქონების არარსებობის გამო. ამასთან, ქონების ახალ მესაკუთრეს – ქ. ქუთაისის მერიას არ მოუხდენია სააქციო საზოგადოებაში დასაქმებულ პირებთან ახალი ხელშეკრულების დადება, რის გამოც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს მსჯელობა მოსარჩელების მიმართ სს «...» მხრიდან დასახელებული ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოშობილი სახელფასო თანხების ანაზღაურების ნაწილში ქ. ქუთაისის მერიის მოვალედ აღიარების თაობაზე.

ხოლო რაც შეეხება დასახელებული ხელშეკრულების დადებამდე მოსარჩელეთა მიმართ წარმოშობილ სახელფასო დავალიანებას, აღნიშნული სასამართლოს მითითებით, აღიარებულ იქნა ქ. ქუთაისის მერიის მიერ, თუმცა მისი გადახდის დადგომის პირობად ხელშეკრულების მიხედვით გადაცემული ქონების რეალიზების არსებობა წარმოადგენს, რაც დღესდღეობით არ განხორციელებულა.

ამასთან, სასამართლოს განმარტებით, «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჩ-ანმა, მ. ხ-ემ და გ. მ-შილმა და მოითხოვეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება სახელფასო დავალიანების მხოლოდ სს «...» დაკისრების ნაწილში გაუქმებასა და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სახელფასო დავალიანების ანაზღაურების სს «...» და ქ. ქუთაისის მერიისათვის სოლიდარულად დაკისრებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეგზავნა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც სამოქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს: ა) ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

სასამართლოს განმარტებით, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, სააპელაციო სასამართლოს დავის საგანს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ვალდებულების შესრულებასთან ერთად ქ. ქუთაისის მერიისათვის ვადაგადაცილებული დროისათვის ზიანის ანაზღაურებაც წარმოადგენს, ამდენად, სასამართლოს დასკვნით დავა განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს მსჯელობას დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევის თაობაზე, წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქმის მასალების მიხედვით მხარეთა შორის დავის საგანს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ვალდებულების შესრულება წარმოადგენს. სამოქალაქო საქმეთა პალატამ დავა ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველად მიიჩნია იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელები ითხოვდნენ ქ. ქუთაისის მერიისათვის ხელფასის დაყოვნებისათვის (ვადაგადაცილებული დროისათვის) ზიანის ანაზღაურებასაც, რამაც განაპირობა დავის არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბუნება.

საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07%.

სააპელაციო პალატის განმარტებით, განსახილველი საქმე დავის არსის გათვალისწინებით, წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველს, რამდენადაც მოსარჩელები, რომლებიც შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ სს «...», ითხოვდნენ სახელფასო დავალიანების გადახდასა და გადახდის დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურებას შრომით სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით.

სასამართლოს მოსაზრებით, თავისი შინაარსით არც 2008 წლის 2 ოქტომბრის №296 ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება (რომლის საფუძველზეც ქ. ქუთაისის მერიამ მიიღო სს «...» მთელი ქონება და იმვედროულად იკისრა სს «...» საგადასახადო და სახელფასო დავალიანებების დაფარვის ვალდებულება) წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის შესრულების თაობაზე დავასაც ადმინისტრაციული წესით განსჯად საქმეებს მიაკუთვნებენ სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, თუმცა სააპელაციო პალატის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მ. ჩ-ანის, მ. ხ-ისა და გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს და შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნას და მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, 2008 წლის 2 ოქტომბერს ქ. ქუთაისის თვითმმართველ ერთეულსა და სს «...» შორის გაფორმდა №296 ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკუთრებაში გადავიდა სს «...» მთლიანი ქონება.

აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისისათვის გადაცემული ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტში ჩამოთვლილი ქონების პრივატიზებისას, თვითმმართველმა, ქ. ქუთაისის მერიამ, იკისრა სს «...» საგადასახადო და სახელფასო დავალიანების დაფარვა.

ასევე დადგენილია, რომ ქ. ქუთაისის მერია, როგორც სს «...» ქონების მესაკუთრე, ხელშეკრულების შესაბამისად, არ წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს იმ დავალიანებაზე, რომელიც საწარმოს წარმოშობილი აქვს 2008 წლის 2 ოქტომბრამდე, ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ხოლო აღნიშნულ ხელშეკრულებამდე მოსარჩელეთა მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხე ქ. ქუთაისის მერიას ჯერ არ წარმოშობია გადაცემული ქონების აუქციონის წესით რეალიზების არარსებობის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. ჩ-ანის, მ. ხ-ისა და გ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სს «...» მ. ჩ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 1299,52 ლარის, მისი დაყოვნების ყოველი დღისათვის გადახდის დღემდე 1914 ლარის 0,07%-ის, ასევე შვებულების კომპენსაციის – 120 ლარისა და ხელშეკრულების მოშლისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 120 ლარის გადახდა; მ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 91,73 ლარის, მისი დაყოვნების ყოველი დღისათვის გადახდის დღემდე 957 ლარის 0,07 %-ის ასევე შვებულების კომპენსაციის 60 ლარისა და ხელშეკრულების მოშლისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 60 ლარის გადახდა; გ. მ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 91,83 ლარის მისი დაყოვნების ყოველი დღისათვის გადახდის დღემდე 1060 ლარის 0,07%-ის, ასევე შვებულების კომპენსაციის – 60 ლარისა და ხელშეკრულების მოშლისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 60 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის ობიექტს წარმოადგენს მ. ჩ-ანის, მ. ხ-ისა და გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი, რომლის შესაბამისად, აპელანტები ითხოვდნენ ქ. ქუთაისის მერიასა და სს «...» სოლიდარულად დაკისრებოდათ სახელფასო დავალიანებისა და გადახდის დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურება, ანუ სააპელაციო დავის საგანს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ვალდებულების შესრულებასთან ერთად ქ. ქუთაისის მერიისათვის ვადაგადაცილებული დროისათვის ზიანის ანაზღაურებაც წარმოადგენს, ხოლო მოთხოვნას საფუძველად უდევს ის გარემოება, რომ ქ. ქუთაისის მერიამ 2008 წლის №296 ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება სახელფასო და საგადასახადო ვალდებულებების დაფარვის თაობაზე, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2 მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციუ-

ლი ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურ-თიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურ-თიერთობიდან, რომელსაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა აწესრიგებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საწარმოსა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის – ქ. ქუთაისის მერიისათვის სოლიდარულად სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ვალდებულების შესრულება და ამასთან, ქ. ქუთაისის მერიის მიერ ვადაგადაცილებული დროისათვის ზიანის ანაზღაურება, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2. «გ» პუნქტის თანახმად, წარმოადგენს მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულების ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტი (დე ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება) არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედებისაგან პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ქმედების განხორციელების მოთხოვნით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა ის მმართველობითი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ (წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ). სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს ამ ინსტიტუტს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის სწორი კვალიფიკაცია პროცესუალური თვალსაზრისით წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისთვის, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვა არ შემოიფარგლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, არამედ ის, ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ რეალაქტსაც.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საპელაციო საჩივრის ობიექტს წარმოადგენს არა მარტო ადმინისტრაციული ორგანოსათვის – ქ. ქუთაისის მერიისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, არამედ ხელფასის გადახდის დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურებაც, რაც აგრეთვე მოწესრიგებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, კერძოდ, 207-ე-208-ე მუხლებით, რომლითაც განსაზღვრულია მოპასუხე სუბიექტი – სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა მოცემულ შემთხვევაში კი ქ. ქუთაისის მერია.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობას, ასე მაგალითად, სსს კოდექსის 11.1. «ა» მუხლის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, ასევე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურ-თიერთობას გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, კერძოდ, დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, მ. ჩ-ანის, მ. ხ-ძისა და გ. მ-შვილის საპელაციო საჩივარი, ქ. ქუთაისის მერიისა და სს «...» მიმართ სახელფასო დავალიანების სოლიდარულად ანაზღაურებისა და გადახდის დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სახელფასო დავალიანებისა და გადახდის დაყოვნებისათვის ზიანის ანაზღაურების წესი რეგულირდება საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით და ასევე სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომლებიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები

მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს სამოქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას – განსჯადობის შესახებ დავის წამოწყებას, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ ადმინისტრაციული დავების განხილვაა დაშვებული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 «გ» მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ჩ-ანის, მ. ხ-ძისა და გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარეების – ქ. ქუთაისის მე-1 რიისა და სს «...» მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-604-599(გ-11)

10 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. დ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მიმართ სახელფასო დავალიანების – 621,21 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე 1978 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში, სხვადასხვა თანამდებობაზე. მოსარჩელის მითითებით მოპასუხე ორგანიზაციას მის მიმართ ერიცხება 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანება.

მოპასუხე სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციამ შესაგებლით სასარჩელო განცხადება არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2010 წლის 1 ივლისის განჩინებით ზ. დ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგი მოტივაციით:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისა და მისი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის განმსაზღვრელია დავის საგანი და ურთიერთობის შინაარსი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

ამავე კოდექსის შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა ასევე სხვა საქმეებიც, იმ სამართალური თვითობებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რამდენადაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალური თვითობის არსებობა, რომელიც სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას. საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში და საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 14 იანვრის №9 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 დეკემბრის №227 დადგენილება.

ამასთან, მოპასუხის განმარტებით, სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია ლიკვიდაციის პროცესშია და გასული წლების სახელფასო დავალიანებები ინვენტარიზებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას და წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმებით, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსახილველ დავას წარმოადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2010 წლის 17 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა ზ. დ-ის გამოუცხადებლობის გამო.

ზ. დ-მა საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 თებერვლის საოქმო განჩინებით სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციით, ამავე განჩინებით ზ. დ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია 2011 წლის 25 თებერვლის საოქმო განჩინებითვე არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ზ. დ-ის მოთხოვნას წარმოადგენდა 2000 და 2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. იმ პერიოდში როდესაც მოსარჩელე მუშაობდა მოპასუხე დაწესებულებაში, სამართლებრივი ურთიერთობები მხარეებს შორის წესრიგდებოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ზ. დ-ი იმყოფებოდა რა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან – აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებასთან იგი «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სამოქალაქო კოლეგიის განმარტებით, ვინაიდან, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას მასზე უნდა გავრცელდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნები საქმე განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ზ. დ-ის სასარჩელო განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოად-

გენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნას და მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას და საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნევს, რომ ზ. დ-ი, იმ პერიოდში, როდესაც მის მიმართ წარმოიშვა სახელფასო დავალიანება და რა პერიოდის დავალიანების ანაზღაურებასაც ითხოვს მოსარჩელე ანუ 1998-2003 წლებში, შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციასთან, რომელიც იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დაქვემდებარებაში, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შრომის წიგნაკით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო და ან ადგილობრივი თვითმმართველოს ან მმართველობის ორგანო, ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტავს, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ანაზღაურებად საქმიანობას ეწევა სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზ. დ-ი 1998-2003 წლებში მუშაობდა რა საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში იგი შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან და იგი «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას მასზე უნდა გავრცელდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოქმედება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს. შესაბამისად, განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 14 იანვრის №9 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 დეკემბრის №227 დადგენილება და დღეის მდგომარეობით მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია, დავას ვერ აკუთვნებს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ კატეგორიას, ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება რა დროსაც მოსარჩელე მუშაობდა ადმინისტრაციულ ორგანოში – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში და იგი წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო სადავო სამართალურთიერთობა მოწესრიგებას ექვემდებარება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ამდენად, არასწორია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, ზ. დ-ის სასარჩელო განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. დ-ის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-997-989(გ-11)

5 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატასა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ს-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანების – 900,40 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. ს-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ს-შვილმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის განჩინებით დ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგი მოტივაციით:

სასამართლოს განმარტებით, სადავო პერიოდში – 1998-2003 წლებში, რა დროის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებასაც ითხოვდა მოსარჩელე, სამართლებრივი ურთიერთობები მხარეებს შორის წესრიგდება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ვინაიდან მოსარჩელე – დ. ს-შვილი იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან – აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებასთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისას მასზე უნდა გავრცელდეს აღნიშნული კანონის მოთხოვნები.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივი ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სხაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა 2011 წლის 16 მაისის განჩინებით არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა პალატას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურ ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

სასამართლოს განმარტებით, დავის საგანია 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის მიმართ.

«საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-

ტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას.

«ოფიციალური სტატისტიკის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, რეორგანიზაციის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკური დეპარტამენტი ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურად – საქსტატად. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, საქსტატი არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სტატისტიკური დეპარტამენტის უფლებამონაცვლე.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის №72 ბრძანებულების 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია «ოფიციალური სტატისტიკის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე, ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით. საქსტატი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, სტატისტიკის სერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების, «ოფიციალური სტატისტიკის შესახებ» საქართველოს კანონის, «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» საქართველოს კანონის, ამ დებულების, საქსტატის საბჭოს დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, საქსტატს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და სახელწოდებით, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტი.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს დავალიანების ანაზღაურებას არა ადმინისტრაციული ორგანოს, არამედ საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან, დავა ასკ-ის 2.2 მუხლის «გ» ქვეპუნტის შესაბამისად, არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველს. მართალია დავალიანების წარმოშობის მომენტისათვის «საქსტატი» ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა, მაგრამ საქმის სასამართლოში განახილვისას უკვე აღარ განეკუთვნება ადმინისტრაციული კატეგორიის დავას და საქმე განსახილველად ექვემდებარება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ დ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატას განსჯად ადმინისტრაციულ დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნას და მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი

უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას და საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნევს, რომ დ. ს-შვილი, იმ პერიოდში, როდესაც მის მიმართ წარმოიშვა სახელფასო დავალიანება და რა პერიოდის დავალიანების ანაზღაურებასაც ითხოვს აპელანტი ანუ **1998-2003 წლებში**, შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან – სახელმწიფო სტატისტიკის ხობის რაიონული განყოფილებასთან, რაც დასტურდება საქმეში არსებული შრომის წიგნაკით. აღნიშნულ პერიოდებში კი სახელმწიფო სტატისტიკის ხობის რაიონული განყოფილება იყო სტატისტიკის დეპარტამენტის რაიონული განყოფილება, ხოლო სტატისტიკის დეპარტამენტი კი, წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველოს ან მმართველობის ორგანო, ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტავს, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ანაზღაურებად საქმიანობას ეწევა სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საქართველოს პრეზიდენტის **2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულების** «საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ» მე-7 თავის შესაბამისად, საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებთან არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების თანამშრომლები ითვლებიან საჯარო მოხელეებად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დ. ს-შვილი **1998-2003 წლებში** მუშაობდა რა სახელმწიფო სტატისტიკის ხობის რაიონულ განყოფილებაში იგი შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან და იგი «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას მასზე უნდა გავრცელდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მოქმედება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს. შესაბამისად, განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ის გარემოება, რომ **2009 წლის 11 დეკემბრის** «ოფიციალური სტატისტიკის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტი ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურად – საქსტატად, რომლის დებულებაც დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის **2010 წლის 1 თებერვლის №72 ბრძანებულებით**, დავას ვერ აკუთვნებს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ კატეგორიას, ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს **1998-2003 წლების** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება რა დროსაც აპელანტი – დ. ს-შვილი მუშაობდა ადმინისტრაციულ ორგანოში – სახელმწიფო სტატისტიკის ხობის რაიონულ განყოფილებაში, რომელიც იყო სტატისტიკის დეპარტამენტის რაიონული განყოფილება და წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო სადავო სამართალურთიერთობა მოწესრიგებას ექვემდებარება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება

მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზე დასაშვებია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარდგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახავს პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ამდენად, არასწორია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, დ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-486-482(გ-11)

28 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა განსჯადობის შესახებ დავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატასა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

29.11.10 წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა შპს «...», მოპასუხის – სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის «საქპატენტის» მიმართ, რომლითაც «საქპატენტის» სააპელაციო პალატის 12.10.10 წ. №1146 გადაწყვეტილების გაუქმება და სს «...» სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის – «...» ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 15.05.08 წ. შპს «...» განცხადებით მიმართა «საქპატენტს» და მოითხოვა წარდგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. 04.05.09 წ. №146805 გადაწყვეტილებით შპს «...» ეთქვა უარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი მსგავსი იყო სს «...» სასაქონლო ნიშნებისა «...» და «...», რომლებიც რეგისტრირებულია საქპატენტში მე-6 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის.

„საქპატენტის» გადაწყვეტილება გასაჩივრდა „საქპატენტის» სააპელაციო პალატაში, რომლის 12.10.10წ. №1146 გადაწყვეტილებით შპს „...» მთლიანად ეთქვა უარი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და მა-
ლაში იქნა დატოვებული ექსპერტიზის 04.05.09წ. №146805 უარყოფითი გადაწყვეტილება. მოსარჩელემ აღ-
ნიშნა, რომ შპს „...» საქართველოში დარეგისტრირდა 2006 წელს, ხოლო 18.05.08წ. უკვე წარადგინა განაცხა-
დი სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირების შესახებ. „სასაქონლო ნიშნების შესახებ» კანონის 2.4 მუხლის თა-
ნახმად, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე პა-
რიზის კონვენციის მე-6 – ბის მუხლის შესაბამისად. „საქპატენტის» მიერ სს „...» სახელზე 2008 წელს სადავო
სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას, შპს „...» უკვე წარმოადგინდა საყოველთაოდ ცნობილ საწარმოს საქარ-
თველოში და „საქპატენტი» ვალდებული იყო მოეძია შესაბამისი ინფორმაცია და ეს გარემოება გაეთვალის-
წინებინა სარეგისტრაციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ
მოითხოვა „სასაქონლო ნიშნების შესახებ» კანონის 28-ე მუხლის „დ» ქვეპუნქტის საფუძველზე სს „...» სა-
ხელზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა.

12.01.11 და 09.02.2011წ. სასამართლო სხდომებზე მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა, კერძოდ «საქპა-
ტენტის» სააპელაციო პალატის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 12.10.10 წ.
№1146 გადაწყვეტილების, «საქპატენტის» სახელმწიფო ექსპერტიზის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე
უარის თქმის თაობაზე 04.05.09 წ. №146805 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ მო-
ითხოვა აგრეთვე «საქპატენტის» სახელმწიფო ექსპერტიზის 16.07.08 წ. №113630 და №113627 გადაწყვეტი-
ლებების ბათილად ცნობა, რომლითაც სს „...» დაურეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი «...» და «...». ამავ
სხდომაზე საქმეში მესამე პირად ჩაერთო სს „...».

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.02.11 წ. საოქმო განჩინე-
ბით შპს „...» სასარჩელო მოთხოვნა «საქპატენტის» სახელმწიფო ექსპერტიზის 16.07.08 წ. №113630 და
№113627 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით გა-
დაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ
მიიჩნია, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ გააჩნდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით
განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, ვინაიდან ამისათვის არ-
სებითი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. სარჩელის საფუძველიდან
გამომდინარე, განსახილველი ურთიერთობა მიეკუთვნებოდა ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერ-
თობიდან გამომდინარე დავას, რაც განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამარ-
თალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.02.11 წ. განჩინებით შპს „...» სარ-
ჩელი მოპასუხე «საქპატენტი»-ს და მესამე პირის სს „...» მიმართ «საქპატენტის» სახელმწიფო ექსპერტიზის
16.07.08 წ. №113630 და №113627 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობაზე დავის
გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო კოლეგიამ აღნიშნა, რომ დავის საგანია «საქპატენტის» სახელმწიფო ექსპერტიზის 16.07.08 წ.
№113630 და №113627 გადაწყვეტილებები, რომლებითაც სს „...» დაურეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი «...»
და «...». «საქართველოს საპატენტო კანონის» მე-2 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის
იურიდიული პირი-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი «საქპატენტი» ინ-
ტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანოა. ამავ კანონის 32-ე
მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქპატენტი ატარებს განაცხადის საპატენტო ექსპერტიზას, რომლის სა-
ფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ. მოცემულ დავაში მოპასუხეს წარმოად-
გენს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი «საქპატენტი» – ადმინისტრა-
ციული ორგანო, რომელიც სახელმწიფო ექსპერტიზის გადაწყვეტილებების გამოცემისას ახორციელებდა სა-
ჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. ამდენად, სარჩელი მათი ბათილად ცნობის შესახებ განხილულ უნდა
იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-
გიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებუ-
ლი უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მი-
აჩნია, რომ შპს „...» სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გან-
სჯად დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე საგნობრივი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემ-
დებაროს მითითებულ კოლეგიას და განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წე-
სით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნით სადავოდ
გახადა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი «საქპატენტის» სახელმწიფო ექ-
სპერტიზის 04.05.09წ. №146805 უარყოფითი გადაწყვეტილება, საქართველოს ინტელექტუალური საკუთ-

რების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 12.10.10წ. №1146 გადაწყვეტილება კომპანია «...» სააპელაციო საჩივრის დაკავშირებაზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე „საქპატენტის“ 07.16.08წ. №113627 და 07.16.08წ. №113630 გადაწყვეტილებები, რომლითაც სხვა განმცხადებლის სახელზე რეგისტრაციაში გატარდა სასაქონლო ნიშანი «...» და «...». ხსენებული გადაწყვეტილებებიდან დავას არ იწვევს ექსპერტიზის 04.05.09წ. №146805 და „საქპატენტის“ 12.10.10წ. №1146 გადაწყვეტილებების განსჯადობა, აღნიშნულ აქტებთან დაკავშირებული დავა საქალაქო სასამართლოს კოლეგიის მიერ ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განხილვას დაექვემდებარა, სადავოა „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის 07.16.08წ. №113627 და 07.16.08წ. №113630 გადაწყვეტილებების საგნობრივი განსჯადობის საკითხი, ხსენებული გადაწყვეტილებები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.02.11წ. საოქმო განჩინებით გამოეყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით დაექვემდებარა სამოქალაქო პალატას, უკანასკნელმა სადავოდ გახადა მისთვის განსჯადობით საქმის ამ ნაწილში განსახილველად გადაცემა და სასამართლოებს შორის დავის გადასაწყვეტად სასკ-ის 26.3 მუხლის საფუძველზე მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშანი არის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან დაკავშირებით დავები ძირითადად ეხება ობიექტზე უფლების მოპოვებას ან უფლებათა დარღვევას. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებათა დარღვევის შესახებ დავის განხილვის დროს მოპასუხე მხარე ექვემდებარება უფლებათა მოპოვების მართებულობას, მოცემულ შემთხვევაში სავაჭრო ნიშნის რეგისტრაციის კანონიერებას. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავებისათვის დამახასიათებელია პროცესუალური ორგანოვნება, ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიმართულებისაა, ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს („საქპატენტის“) მიმართ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის შესახებ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია და შესაბამისად დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო მეორეს მხრივ მესამე პირის მიერ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების დაცვის მოთხოვნა სამოქალაქო-სამართლებრივია. პროცედურა, რომელსაც ატარებს „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარებას, ექსპერტიზა ორ ეტაპად იყოფა, პირველ ეტაპზე მოწმდება ფორმალური მოთხოვნების შესრულება (საგანაცხადო მასალის სისრულის შემოწმება, საფასურის გადახდა, წარმომადგენლობის საბუთის არსებობა და სხვ.), მეორე ეტაპზე ტარდება არსობრივი ექსპერტიზა – მოწმდება სასაქონლო ნიშნის შესაბამისობა კანონით დადგენილ კრიტერიუმებთან, მოწმდება ნიშნის სიახლე, კანონმდებლობა ითვალისწინებს ორივე ეტაპის გასაჩივრების შესაძლებლობას. „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე წარმოშობილი დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი იქნება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივია აგრეთვე დავა იმ შემთხვევაში უკეთუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ დავა აღიძვრება განაცხადის მონაცემის ბიულეტენში გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში პრეტენზია თავდაპირველად განიხილება „საქპატენტში“, მისი სპეციალური ორგანოს – სააპელაციო პალატის მიერ. საქართველოს მთავრობის 03.07.10წ. დადგენილებით დამტკიცებული „საქპატენტის“ დებულების მიხედვით საქპატენტის ძირითადი ფუნქციაა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან დაკავშირებით განმცხადებლისა და მესამე პირების სააპელაციო საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება „საქპატენტთან“ არსებულ სააპელაციო პალატაში, რომლის გადაწყვეტილება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 16.6 მუხლის თანახმად შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. საგულისხმოა, რომ საქპატენტო კანონის 40³ მუხლის მე-6 პუნქტი პირდაპირ უთითებს, რომ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში, რაც ცალსახად ადასტურებს ამ კატეგორიის დავების ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას. რეგისტრაციის და „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშანზე მოწმობის გაცემის შემდეგ რეგისტრაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები დასრულებულად ითვლება, საჯარო რეესტრში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაცია ადასტურებს პირის საკუთრებაში ობიექტის ყოფნას, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლების წარმოშობას ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან, რეგისტრაციიდან სასაქონლო ნიშანი სამრეწველო საკუთრებას წარმოადგენს და როგორც საკუთრების ობიექტი სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს, ასეთ შემთხვევაში დავა სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებით (კერძოდ, კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა პირის მიერ ნიშნის გამოყენების აკრძალვა, გადაცემა, სალიცენზიო ხელშეკრულების შესრულება, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შეწყვეტა, მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ყველა იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი მასალის და სარეკლამო განცხადების განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, მის ასლს ან იმიტაციას, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხოლო თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურება) არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან დავა ეხება საკუთრებაში მყოფ ობიექტს, დავა არ ეხება ადმინისტრაციული აქტის გაუქმებას, რეალაქტის განხორციელებას, ადმინისტრირებას, ამასთან, უკეთუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემდეგ

დავა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს – „საქპატენტის“ უფლებამოსილებებს, კერძოდ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელებას (მე-20 მუხ.), რეგისტრაციაში ცვლილების შეტანას, „საქპატენტის“ მიერ რეგისტრაციის გაუქმებას (27-ე მუხ.), სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობას (28-ე მუხ.) ანუ საბოლოო ჯამში ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ გამოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ასეთი დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს სადავო სამართალურთიერთობაში მოპასუხედ დასახელებული ჰყავს „საქპატენტი“ და არა ის პირი, რომლის სახელზეც არის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი, „საქპატენტი“ სსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე არ ყოფილა სასამართლოს მიერ დავის ამ ნაწილში ცნობილი არასათანადო მოპასუხედ, ამასთანავე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის კანონით განსაზღვრულ ვადაში დასმის საკითხი არ ცვლის დავის საგნობრივ განსჯადობას, მითუფრო, რომ მოსარჩელე მოთხოვნას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ამყარებს სადავო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე მითითებით, რაც ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ საერთაშორისო აქტებით («ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ» მადრიდის შეთანხმება, «სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ» პარიზის კონვენცია) გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, იწვევს საერთაშორისო რეგისტრაციის მომენტიდან ტერიტორიულ დაცვას და საერთაშორისო რეგისტრაციის პრიორიტეტული უფლებით სარგებლობას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციების ბათილად ცნობას, მისი მოთხოვნა არ ეხება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს, რომელთა განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მიმდინარეობს. ვინაიდან მოსარჩელე ასაჩივრებს ადმინისტრაციულ ორგანოს («საქპატენტის») ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (07.16.08წ., № 113627; 07.16.08წ. №113630) და ითხოვს მათ ბათილად ცნობას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელზე უფლება არის დისპოზიციური, სახელდობრ მოსარჩელე განსაზღვრავს დავის საგანს და ასახელებს მოპასუხეს, ამასთანავე ამ აქტების ბათილად ცნობის საკითხი, რომელთა საგნობრივი განსჯადობა სადავოდ არის გამხდარი, უკავშირდება იმ აქტების (04.05.09წ. №146805, 12.10.10წ. №1146) ბათილად ცნობას, რომელთა შესახებ დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იხილება, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავის განსახილველი ნაწილი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...» სარჩელი მოპასუხე «საქპატენტი»-სა და მესამე პირის სს «...»-ს მიმართ «საქპატენტი»-ს სახელმწიფო ექსპერტიზის 16.07.08 წ. №113630 და №113627 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-1333-1318 (გ-11)

26 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ლ. ნ-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 27 მაისს ლ. ნ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის-შპს «...» მიმართ და მოითხოვა შპს «...» 2010 წლის 21 დეკემბრის №06/59 დადგენილებისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 13 აპრილის №10/2 გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის ბუნებრივი გაზის საფასურად უკანონოდ დარიცხული 721,63 ლარის დარიცხვის გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მაისის განჩინებით ლ. ნ-ის სარჩელი შპს «...» 2010 წლის 21 დეკემბრის №06/59 დადგენილებისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 13 აპრილის №10/2 გადაწყვეტილების გაუქმებისა და მოსარჩელისათვის ბუნებრივი გაზის საფასურად უკანონოდ დარიცხული 721,63 ლარის დარიცხვის გაუქმების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ჩათვალა, რომ წინამდებარე სარჩელის მოთხოვნა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან მოცემული სასარჩელო დავის საგანი იყო კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან – ელექტროენერჯის მიწოდების თაობაზე ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომხმარებლის მიერ საკუთარ ვალდებულებათა დარღვევა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების (მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ფაქტიურად მოხმარებული გაზის საფასურის გადასახდელად დაკისრების სახით) კანონიერების შეფასება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე დავა აღძრული იყო დელიქტისა და მისგან გამომდინარე ზიანის არსებობა-არარსებობის დადგენასთან დაკავშირებით, რის გამოც სახეზე არ იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმე; ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელით აღძრული დავა მიეკუთვნებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 ივნისის საოქმო განჩინებით უწყებრივი ქვემდებარეობის გამო საქმის წარმოება შეწყდა ლ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა შპს «...» შესაბამისი უფლებამოსილი პირის 2011 წლის 21 დეკემბრის დადგენილების გაუქმებას; ლ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და იგი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, ლ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც შეეხება შპს «...» მიერ უკანონოდ დარიცხული 721,63 ლარის გაუქმებას, დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 228² მუხლის 1-ლ ნაწილსა და ამავე კოდექსის 313-ე მუხლზე.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილების თანახმად ლ. ნ-ის პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით საჩივრის განხილვა შედის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის კომპეტენციაში, რის გამოც ჩათვალა, რომ მოცემულ ნაწილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად საქმის წარმოება უნდა შეწყდეს უწყებრივი ქვემდებარეობის გამო.

მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ ლ. ნ-ის სარჩელში ფორმალურად დასახელებულია მხოლოდ ერთი მოპასუხე შპს «...», თუმცა სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის მეორე მოთხოვნის ნაწილში სავალდებულო მოპასუხე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად იყო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ორგანოს. აღნიშნული ორგანო მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, კუპრამის ქ. №11-ში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ლ. ნ-ის მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განიხილოს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ და არა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის

თაობაზე წარმოშობილი დავის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ნ-ის სარჩელი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 13 აპრილის №10/2 გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 ივნისის საოქმო განჩინებით შპს «...» 2011 წლის 21 დეკემბრის დადგენილების გაუქმების ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა; ლ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და იგი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, ლ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნა შპს «...» მიერ უკანონოდ დარიცხული 721,63 ლარის გაუქმების ნაწილში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იხილავს სასამართლოთა შორის დავას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების შესახებ სარჩელის განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას მოცემული საქმის სამოქალაქოდ მიჩნევის შესახებ, რამდენადაც კონკრეტულ შემთხვევაში, ლ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება ლ. ნ-ის მიმართ «გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შპს «...» «დადგენილების კანონიერების საკითხს». უდავოა, რომ სამართალდამრღვევი პირის გამოვლენა და მის მიმართ სახდელის შეფარდება წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების სფეროს, რომელსაც შესაბამის სამართლებრივ ფორმებში ახორციელებენ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ამ უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები. სადავო სამართალურთიერთობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹, 228² მუხლებითა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით მოწესრიგებულ სამართალურთიერთობას. კერძოდ, კი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 228² მუხლით ბუნებრივი გაზის დატაცებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლებამოსილება აქვთ ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატებს ან მათ მიერ უფლებამოსილ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს. ზემოაღნიშნული დადგენილება კი ადგენს ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესებს, რომლის თანახმად შპს «...» თანამშრომელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე სამართალდამრღვევი პირის მიმართ გამოსცემს დადგენილებას გაფრთხილების ან დაჯარიმების თაობაზე ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, რომელიც წარმოადგენს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მითითებული დადგენილების მე-11 მუხლზე, რომელიც ადგენს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ერთჯერადი გასაჩივრების შესაძლებლობას ზემდგომ ორგანოში-საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისა და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად იღებს ერთ-ერთ ქვემოთითითებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს: დადგენილების უცვლელად დატოვებისა და საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ; დადგენილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესახებ; ან დადგენილების გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სწორედ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება, რომლითაც უცვლელად დარჩა შპს «...» თანამშრომლის მიერ მიღებული დადგენილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის საფუძველზე სახეზეა დავა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო აქტის (დადგენილების) გამოცემისას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია მოქმედებდა რა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების ფარგლებში, წარმოადგენდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო მის მიერ ასეთი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში გამოცემული აქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, მოცემული სადავო სამართალურთიერთობა ატარებს საჯარო-სამართლებრივ ხასიათს. ამდენად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განისაზღვრება დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამარ-

თლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს, ხოლო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2. მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ჩათვლით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის შესაბამისად, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. აღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სასამართლო ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ეყრდნობა III თავის (განსჯადობა) წესებს. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე იმ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან სარჩელის წარდგენის მომენტისათვის უნდა დადგინდეს. საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიუთითებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 თებერვლის №4 დადგენილებით დამტკიცებული «საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების» პირველ მუხლზე, რომლითაც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის «ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი და «დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ» საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილ, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე დამოუკიდებელ ორგანოს, რომლის იურიდიული მისამართია: ქ. ქუთაისი.

ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის დაცვით, განსახილველი დავა წარმოადგენს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ქვემდებარე საქმეს.

მიუხედავად აღნიშნული მოსაზრებისა საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავა ამ ეტაპზე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ვინაიდან, სასამართლოთა მხრიდან ისე მოხდა განსჯადობის საკითხის გასარკვევად საქმის გადმოგზავნა, რომ არ არის დაცული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლი, კერძოდ, პროცესში მოწვეული არ არის და არ მონაწილეობს სადავო აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმის დაბრუნების შემდგომ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ უნდა უზრუნველყოს სათანადო მოპასუხის მოწვევა, რის შემდეგაც ის უფლებამოსილია, იმსჯელოს, გააჩნია თუ არა დავის გადასაწყვეტად ტერიტორიული უფლებამოსილება.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო საგნობრივი განსჯადობის პრინციპის დაცვით საქმეს უბრუნებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2 და 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე და 408-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ნ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-108-107(გ-12)

13 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა სს «...ს» სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

სს «...მა» (დირექტორი დ. ვ-ე) 2011 წლის 21 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ სს «...სათვის» სატრანსპორტო საშუალებების გაფორმებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება და დაევალოს მოპასუხეს გაუფორმოს სს «...ს» სარჩელში მითითებული სატრანსპორტო საშუალებები.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 22 სექტემბრის განჩინებით სს «...ს» სარჩელი მიღებული იქნა წარმოებაში და დაინიშნა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით სს «...ს» სარჩელი მოპასუხე სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით განსახილველად გადაეგზავნა განსჯად – თბილისის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე ლ. ქ-ი) მიერ 2011 წლის 3 ოქტომბერს მიღებული იქნა განჩინება სს «...ს» გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე. «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს აღნიშნული კანონით გათვალისწინებულ საქმეთა განსჯადობას. დასახელებული მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს განსჯად სასამართლოებს, ესენია: თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად კი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოკვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში მოვალის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა სააპელაციო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავებისა, განსახილველად გადაეცემა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სასამართლოებს. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე საქმე განსჯადობით უნდა განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2011 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით სს «...ს» სარჩელი მოპასუხე სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგი მოტივაციით:

«გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განმარტებულ «ნებისმიერ დავაში» იგულისხმება მხოლოდ ნებისმიერი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა მოვალის ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება განხილული იქნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად და არა ნებისმიერი სამართლებრივი საფუძველიდან წარმოშობილი (სისხლის ან ადმინისტრაციული) საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი ეხება სამოქალაქო სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების აღწერას და განმარტავს, თუ რა სამოქალაქო დავებს განიხილავს სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად კი სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიმართ და მხარე ითხოვს სააგენტოს მიერ სს «...სათვის» სატრანსპორ-

ტო საშუალებების გაფორმებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და სატრანსპორტო საშუალებების სს «...ის» სახელზე რეგისტრაციას, რის გამოც საქმის განხილვა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არაუფლებამოსილია განიხილოს აღნიშნული დავა და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და წინამდებარე საქმე 2012 წლის 16 იანვრის განჩინებით განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიმართ და სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს სააგენტოს მიერ სს «...ისათვის» სატრანსპორტო საშუალებების გაფორმებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ასევე აღნიშნული მოძრავი ნივთების მოსარჩელის სახელზე რეგისტრაციის დავალდებულება, თუმცა «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული საქმეებისათვის დგინდება სპეციალური განსჯადობა. შესაბამისად «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის მიზნებისა და სპეციალური განსჯადობის სპეციფიკის გათვალისწინებით აღნიშნული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ უნდა იქნეს განხილული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «...ის» სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2011 წლის 12 აპრილს სს «...სა» და ს. კ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც სს «...მა» გაასხვისა სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შსს სსიპ მომსახურების სააგენტოში ს. კ-ე გადაფორმდა 2011 წლის 13 აპრილს. სს «...სა» და ს. კ-ს შორის 2011 წლის 15 აპრილს გაფორმებული შეთანხმებებით შეწყდა 2011 წლის 12 აპრილის ხელშეკრულებები, თუმცა ს. კ-ს არ შეუესრულებია შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება და სს «...ზე» არ გადაუფორმებია სატრანსპორტო საშუალებები; 2011 წლის 19 სექტემბერს სს «...მა» განცხადებით მიმართა სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების უკან გადმოფორმების მიზნით; სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს 2011 წლის 19 სექტემბრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სს «...ის» მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც ამ უკანასკნელის მიერ გასაჩივრდა ადმინისტრაციული საჩივრით; სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს «...ის» ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა 2011 წლის 19 სექტემბრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე სს «...ის» მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების წარმოება. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული დავა რუსთავის საქალაქო სასამართლოში იხილებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და მისი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაგზავნა მოხდა მხოლოდ «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე იმ მოტივით, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს სს «...ის» გაკოტრების წარმოება და აღნიშნულ შემთხვევებზე სპეციალურ განსჯადობას ითვალისწინებს კანონი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, არარეგისტრირებული კავშირისა ამხანაგობის გადახდისუუნარობის საკითხს არეგულირებს «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» საქართველოს კანონი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, მართალია, «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში მოვალის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა სააპელაციო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავებისა, განსახილველად გადაეცემა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სასამართლოებს, ხოლო იმავე მუხლის მე-6 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დავებს განიხილავენ და გადაწყვეტილებას გამოიტანენ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სასამართლოები, მაგრამ მითითებული – სპეციალური განსჯადობის სა-

კითხვის გადაწყვეტა არ უნდა მოხდეს ამ ნორმის მხოლოდ სიტყვასიტყვითი განმარტების საფუძველზე და მასზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართალწარმოებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა იმპერატიული დებულებებიც.

საკასაციო სასამართლო, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საკასაციო სასამართლო «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განიხილავს ერთპიროვნულად ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი (სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები) განსაზღვრავს, ადმინისტრაციული დავის საგანს და მითითებულის კონკრეტულ ჩამონათვალს იძლევა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ე» ქვეპუნქტის მიხედვით, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის. სამოქალაქო სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების რეგლამენტაციას კი მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, რომელიც განმარტავს, თუ რა დავებს განიხილავს სამოქალაქო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის მე-3 თავი განსჯადობის საკითხს ეხება და ზოგადად სამოქალაქო სასამართლოს ქვემდებარე საქმეების საერთო, განსაკუთრებული, ნივთობრივი თუ სხვა პრინციპით საქმეთა გადანაწილებას ითვალისწინებს სასამართლო სისტემის შიგნით.

ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ვერ მოხდება, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არაუფლებამოსილია განიხილოს სხვა სასამართლოს დაქვემდებარებული საქმე და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული პირდაპირი მნიშვნელობით და მისი იმგვარი განმარტება, რომელიც კონსტიტუციურ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს (კანონიერი და უფლებამოსილი სასამართლოს უფლება) ეწინააღმდეგება, არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის იმპერატიულ დებულებებს. ამ ნორმის განმარტებაც უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მისი არსი შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მართლმსაჯულების განხორციელების ზოგად პრინციპებს. «გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სპეციალური განსჯადობა განსაზღვრავს ამგვარ დავებზე ტერიტორიულად განსჯად სასამართლოს – თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებს, თუმცა კანონის აღნიშნული სპეციალური დათქმა არ გულისხმობს, რომ ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საგნობრივად არაგანსჯადი, კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე, ს.ს «...ის» სარჩელისა გამო, მოპასუხის – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დაადგინა:

1. საქმე სს «...ის» სარჩელის გამო, მოპასუხის – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
 2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-106-105(გ-12)

28 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესოკოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

მ. ბ-მ, ს. მ-მა, გ. მ-მა და მ. ნ-მ სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვეს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 13 მაისის №... და №... ბრძანებების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელები 2011 წლიდან მუშაობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში. 2011 წლის 12 მაისიდან დაიბრუნეს დაკავებული თანამდებობებიდან «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 69-ე მუხლის შესაბამისად.

გათავისუფლების ბრძანებებს საფუძველად დაედო საქართველოს შინაგან საქმეთა გენერალური ინსპექციის დასკვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა მ. ბ-ის, ს. მ-ის, გ. მ-ისა და მ. ნ-ის მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 ივლისის განჩინებით მ. ბ-ის, ს. მ-ის, გ. მ-ის და მ. ნ-ის სარჩელი მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 13 მაისის №... და №... ბრძანებების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, იმ მოტივით, რომ დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან, «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფოს მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი თანამშრომლების მიმართ არსებული ნებისმიერი ურთიერთობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა თავისი შინაარსით არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას.

ამასთან, სასამართლოს განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელშიც სამსახური ითვლება

საჯარო სამსახურად და ამ ჩამონათვალში საჯარო სამართლის იურიდიული პირი გათვალისწინებული არ არის. მოსარჩელეთა, როგორც საჯარო მოხელეთა თანამდებობა, არ არის მოხსენებული არც საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №86 ბრძანებულებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. ამდენად, მოსარჩელები ვერ მიიჩნევიან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის სუბიექტებად.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სადავო ურთიერთობის მოწესრიგებისას გამოყენებული უნდა იქნეს კერძო სამართლის კანონმდებლობა – შრომის კოდექსი, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობას, თუ ისინი განსხვავებულად არ წესრიგდება სხვა სპეციალური კანონმდებლობით.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა სამართლებრივად წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დავას და განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელებს – ს. მ-ს, გ. მ-ისა და მ. ნ-ს უარი ეთქვათ წარმოებაში მიღებაზე სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუფასებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 ნოემბრის საოქმო განჩინებით მ. ბ-ის სარჩელი მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დავა განეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 13 მაისის №... ბრძანება გამოცემულია «საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 69-ე მუხლის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 4 აპრილის №303 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის მე-6 მუხლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის «ა» და «ე» ქვეპუნქტების საფუძველზე, მითითებულ ბრძანებას საფუძველად დაედო შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 12 მაისის №... ბრძანება მ. ბ-ისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ, რომელიც გამოცემულია «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტის, საქართველოს «შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის, ამავე წესდების მე-3 მუხლის «თ» ქვეპუნქტის, შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 44-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის «ა» და «ვ» ქვეპუნქტების შესაბამისად. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ დაცვის პოლიციის ინსპექტორის, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლება – საქართველოს შს ორგანოებიდან დათხოვნა გამოყენებულია, როგორც დისციპლინური სახდელი, რის კანონიერებასაც ასაჩივრებს მოსარჩელე.

ამდენად, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და ახორციელებს საჯარო საქმიანობას – სზაკ-ის 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტიდან გამომდინარე, გასაჩივრებული ბრძანება კი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე დაწარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან მიეკუთვნება ადმინისტრაციული დავის საგანს. შესაბამისად, აღნიშნული აქტების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების გამო წარმოშობილი დავაც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან დაგანხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მ. ბ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მართებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე დაგაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადე-

ბა, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, კი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რადგან დავის საგანს წარმოადგენს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 13 მაისის №... ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. აღნიშნული ბრძანება გამოცემულია «საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 69-ე მუხლის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 4 აპრილის №303 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის მე-6 მუხლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის «ა» და «ე» ქვეპუნქტების საფუძველზე, მითითებულ ბრძანებას საფუძველად დაედო შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 12 მაისის №... ბრძანება მ. ბ-ისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ, რომელიც გამოცემულია «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტის, საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის, ამავე წესდების მე-3 მუხლის «თ» ქვეპუნქტის, «შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 44-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის «ა» და «ვ» ქვეპუნქტების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. ხოლო ამავე კანონის 9.1. მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. «ა» მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. შაკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას სადავო ბრძანების ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევის შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 1.1 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას.

საჯარო სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე (შემდგომ - მოსამსახურე) არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 2.1 მუხლის თანახმად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანაა საჯარო ხელისუფლების განხორციელება, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რო-

მელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურში საქმიანობად, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციაში საქმიანობა ვერ მიიჩნევა საჯარო სამსახურად და შესაბამისად მისი თანამშრომელი საჯარო მოხელედ, როგორც ამ ნუსხაში არმყოფი დაწესებულება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კერძო სამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებელმა საჯარო შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგა საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით – «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით. სწორედ მითითებული საკანონმდებლო აქტით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯარო სამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შედეგების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის. ამასთან, პირის დაკავებული თანამდებობის, საქმიანობის სპეციფიკისა და თვისობრივი დატვირთვის გამო საჯარო მოხელესთან გაიგივება, იმ პირობებში, როცა ის «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-2 მუხლში რეგლამენტირებულ საჯარო სამსახურის განმარტების ლეგალურ დეფინიციაში არ თავსდება, დაუშვებელია.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული «საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით», განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა ნუსხა, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელეთათვის კიდევ ერთი ნორმატიული დადასტურებაა სტატუსთან მიმართებაში. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, მითითებული თანამდებობა ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

ამდენად, მ. ბ-ე არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, რამდენადაც არ აკმაყოფილებს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით ამგვარ სუბიექტად მიჩნევისათვის დადგენილ პირობას, ამასთან, 2005 წლის 23 მარტის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №266 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის №261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის უფლებამონაცვლეა და იგი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 13 მაისის №... ბრძანების საფუძველზე «საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 69-ე მუხლის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 4 აპრილის №303 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის მე-6 მუხლისა და შს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის «ა» და «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად, შს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის I სამმართველოს II განყოფილების სსიპ – შემოსავლების სამსახურის ობიექტების დაცვის ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი მ. ბ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და 2011 წლის 12 მაისიდან დაითხოვეს საქართველოს შს ორგანოებიდან.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მ. ბ-ე, საჯარო დაწესებულებიდან გათავისუფლებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბრძანების საფუძველზე. მართალია, ეს უკანასკნელი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში მისი გათავისუფლებისას გამოყენებულია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა, რა დროსაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ისარგებლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის განსაზღვრული პროცედურით, ადმინისტრაციული წარმოების გზით, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, გათავისუფლების მატერიალური კანონიერების შეფასება, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით.

საკასაციო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განმარტავს, რომ შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში უნდა გამოიყოს შემთხვევები, როცა პირი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა, არჩევა) ხდება ადმინისტრაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სასამართლოში სწორედ ამ საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტთან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში უნდა განხორციელდეს; ასევე, პირის, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე და შესაბამისად, სწორედ მითითებული კერძო სამართლებრივი ნორმატიული აქტი არეგულირებს მისი სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების პირობებს, მესამე შემთხვევა, კერძოდ პირი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ამდენად, მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად უნდა განხორციელდეს, და საჯარო დაწესებულების თანამშრომელი,

რომლის გათავისუფლება განაპირობა საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით დადგენილი დანაწესის უგულებელყოფამ და სწორედ ეს ნორმები შეეფარდა მის მოქმედებათა კვალიფიკაციის განსაზღვრას. ამდენად, ამგვარი სტატუსის მატარებელი პირის მხოლოდ შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე გათავისუფლება, დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტება, რომ მოცემული დავა უნდა გადაწყდეს შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე და ამგვარი მსჯელობის საფუძველზე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დავა მიაკუთვნა სამოქალაქო კატეგორიის საქმეს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებას, რომ სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველია მოსარჩელის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდება, რაც რეგულირდება «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტის, საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის, ამავე წესდების მე-3 მუხლის «თ» ქვეპუნქტის, «შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 44-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის «ა» და «ვ» ქვეპუნქტების შესაბამისად. ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ დაცვის ინსპექტორის პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური სახდელი – სამსახურიდან გათავისუფლება, რის კანონიერებასაც ასაჩივრებს მოსარჩელე.

საკასაციო სასამართლო, ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაში (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-713-300(კ-05), ნ. ხ-ის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე თელავის რაიონის გამგეობის მიმართ, განკარგულების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ) ჩამოყალიბებულ განმარტებას:

«ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის «დ» პუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – ადმინისტრაციული აქტის ავტორი;
2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული/საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;
3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ.
4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება /იგულისხმება შემდეგი ელემენტი: «აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს»/ მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობას ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან.

განსახილველ შემთხვევასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია «საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების, «პოლიციის შესახებ» კანონისა და «საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების» მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული აქტები განსაზღვრავს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების სამსახურში მიღების, სამსახურის გავლის, სამსახურიდან დათხოვნის წესს, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს.

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელი დამოკიდებულია და განპირობებულია ადმინისტრაციული აქტის არსებობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც დაცვის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, ხოლო დაცვის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, სადავო ბრძანება შეიცავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ამდენად, არასწორია საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, მ. ბ-ის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საერთო განსჯადობა

განჩინება

№ბს-430-425(გ-12)

12 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და გარდაბნის რაიონული სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 18 ნოემბერს შ. ჭ-იამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 18 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ბათილად ცნობა და სოფ. ..., მდებარე 558 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

დაზუსტებული სარჩელით შ. ჭ-იამ მოპასუხედ მიუთითა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 18 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 20 სექტემბრის №... გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 28 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სოფ. ..., მდებარე 558 კვ.მ. მიწის

ნაკვეთის მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

2012 წლის 20 თებერვალს ხარვეზის შევსების მიზნით დაზუსტებული სარჩელი წარმოადგინა შ. ჭ-იას წარმომადგენელმა, სადაც მოპასუხედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მიუთითა ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა არ შეუვცლია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2012 წლის 17 აპრილის განჩინებით შ. ჭ-იას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

საქალაქო კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. ამ საერთო წესის მიხედვით ხდება ნებისმიერი სარჩელის (განცხადების) აღძვრა სასამართლოში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს მითითებით, გამონაკლისს წარმოადგენს ამ საერთო წესიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 და 24-ე მუხლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოდ მოსარჩელე მიუთითებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 18 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 20 სექტემბრის №... გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 28 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სოფ. ... მდებარე 558 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სადავო გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ თავისი უფლებამოსილება განახორციელა ტერიტორიული სამსახურის – გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მეშვეობით, რომლის ადგილსამყოფელსაც გარდაბნის რაიონი წარმოადგენს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასთან და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ სადავო უძრავი ნივთის სარეგისტრაციო ზონა არის გარდაბნის რაიონი, სარჩელი დავის საგნიდან გამომდინარე, ნივთობრივი განსჯადობის შესაბამისად, გარდაბნის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

გარდაბნის რაიონული სასამართლო 2012 წლის 30 აპრილის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 26 დეკემბრის №4173-რს დადგენილებით «ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ», გარდაბნის რაიონი სოფ. ... მოქცეულია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ (ისანი-სამგორის რაიონი) საზღვრებში, შესაბამისად, რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ შ. ჭ-იას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1. მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება განსახილველ დავაში მოპასუხეებს წარმოადგენენ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, ხოლო დავის საგანს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 18 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 20 სექტემბრის №... გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 28 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სოფ., მდებარე 558 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს განხორციელებული რეალაქტები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო რეალაქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოტივაციას, რომ სარჩელის დავის საგანია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 18 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 20 სექტემბრის №... გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 28 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სოფ. ... მდებარე 558 კვ.მ. მიწის

ნაკვეთის მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება და სადავო ნივთის სარეგისტრაციო ზონა არის გარდაბნის რაიონი, მაგრამ ვერ გაიზიარებს სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული დავის განხილვა, რომელიც უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობას ეხება, წარმოადგენს იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის ტერიტორიულ იურისდიქციის სფეროშიც შედის მოცემული ქონება და აღნიშნულიდან გამომდინარე მიიჩნია გარდაბნის რაიონული სასამართლო განსჯად სასამართლოდ, ვინაიდან, ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ №4173-რს დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა «ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის განხილვის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის №574 განკარგულებით მოწონებული ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის მიხედვით. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ცვლილების შესაბამისად, სოფ. ... ქ. თბილისის შემადგენლობაში შევიდა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები, არამედ, აქტების ავტორი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლო დამატებით დასძენს, რომ თვით განსაკუთრებული განსჯადობის (რომლის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში არასწორია) პირობებშიც კი, თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმის განსჯადობის თაობაზე დასკვნა არასწორია, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია – ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებების – უძრავი ნივთის სარეგისტრაციო ჩანაწერების კანონიერება, რა დროსაც, საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის შესაბამისმა სასამართლო ორგანომ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე განსახილველად უნდა გადაეგზავნოს განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. ჭ-იას სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის უპირატესობა

განჩინება

№ბს-1721-1677(გ-10)

10 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ქ-მემ სარჩელი ადმრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, **2008 წლის 23 ოქტომბრის №...** საკუთრების უფლების მოწმობით მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შემავალ დაბა აგარაში მდებარე **600 კვ.მ.** არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. **2010 წლის 9 თებერვალს** ქარელის სარეგისტრაციო სამსახურმა მიიღო **№...** გადაწყვეტილება «ზ. ქ-მის უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ», ხოლო **2010 წლის 10 სექტემბერს** იგივე სამსახურის **№...** გადაწყვეტილებით გაუქმდა **2010 წლის 9 თებერვლის** გადაწყვეტილება უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს **2010 წლის 13 ოქტომბრის №...** გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა **ზ. ქ-მის 2010 წლის 14 სექტემბრის** ადმინისტრაციული საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის **2010 წლის 21 სექტემბრის №...** გადაწყვეტილება **ზ. ქ-მის** საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაწილში. ქარელის სარეგისტრაციო სამსახურს დაევა **№...** გადაწყვეტილებით მიღებული შედეგების ასახვა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, კერძოდ, ქარელის რაიონში სოფელ აგარაში მდებარე უძრავ ნივთზე **ზ. ქ-მის** საკუთრების უფლების რეგისტრაციის აღდგენა (დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით) და დაინტერესებული პირის **2010 წლის 3 თებერვლის №...** სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით «საჯარო რეესტრის შესახებ» საქართველოს კანონის **21.1.** «ა» მუხლის საფუძველზე სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება (ცვლილების განხორციელებაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობის მოთხოვნით).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2010 წლის 10 ნოემბრის** განჩინებით **ზ. ქ-მის** სარჩელი მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით მოწესრიგებული იყო სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელ სასამართლოს უნდა განეხილა სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. მითითებული კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავდა და ერთნაირად ვრცელდებოდა ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესი იყო დადგენილი. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ ხსენებული ნორმა ადგენდა განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხებოდა უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლებოდა შეტანილი ყოფილიყო სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში შემოწმებულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის **2010 წლის 10 სექტემბრის №...** გადაწყვეტილების კანონიერება და აგარაში მდებარე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის აღდგენის მოთხოვნა. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მომხდარიყო იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობდა სადავო უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენდა ხაშურის რაიონული სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის **42-ე** მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განესაჯა მხოლოდ იმ სასამართლოს, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარებოდა მისი საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის **26-ე** მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნიდა განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებდა მოსარჩელეს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს **2010 წლის 22 ნოემბრის** განჩინებით **ზ. ქ-მის** სარჩელი მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ **ზ. ქ-მის** სარჩელი მოცემულ შემთხვევაში არასწორად იყო გადაგზავნილი ხაშურის რაიონულ სასამართლოში ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლი, რომლის საფუძველზეც იქნა სარჩელი ხაშურის რაიონულ სასამართლოში გადმოგზავნილი, იმპერატიულად კი არ ადგენდა, არამედ იძლეოდა შესაძლებლობას («...შეიძლება შეტანილ იქნეს...») სარჩელი უძრავ ნივთზე დავის არსებობის შემთხვევაში წარედგინილი ყოფილიყო სასამართლოში ნივთის ადგილმდებარეობის მიხედვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი ადგენდა, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით, ანუ კანონმდებელი ადგენდა ალტერნატივას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი იყო, ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელი, როგორც ხაშურის რაიონული, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო. ზ. ქ-მემ კი გამოიყენა კანონმდებლობით მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის თაობაზე და მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი სწორად წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ხაშურის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, ხსენებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) 1-ლი ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სასამართლო ურთიერთობას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. სარჩელი აღმრულია მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ამასთან უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს ქ. ხაშურში და ამდენად, სახეზეა საქმის ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის უპირატესობა დავის სხვა სახის განსჯადობების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ხაშურის რაიონული სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზ. ქ-მის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დაადგინა:

1. ზ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ხაშურის რაიონულ სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-1564-1543(გ-11)

14 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ლ. გ-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და გარდაბნის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 30 სექტემბერს ლ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით ლ. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სარჩელით, სადავოდ არის ქცეული შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 4 აგვისტოს №20/7-973 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ლ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი 2010 წლის 7 სექტემბრის, 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებების, ასევე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მიერ გამოტანილი №20/32-7-173 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლით დადგინებულად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^ბ-159^გ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილზე, და ამავე კოდექსის მე-6 მუხლის «ბ» პუნქტზე დაყრდნობით განმარტა, რომ მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ, ხოლო მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ადგილს წარმოადგენს გარდაბნის რაიონი, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ჩათვალა, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლო წარმოადგენს ლ. გ-ის სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებარებოდა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელე ლ. გ-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლ ნაწილსა და ამავე კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება და არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა, რის გამოც სასამართლომ ჩათვალა, რომ განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არამედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლო ან რუსთავის საქალაქო სასამართლო მოპასუხეების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და გარდაბნის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ლ. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება რუსთავის საქალაქო სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობას და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოთა ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ განსჯადობაზე.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოს ხდის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – ლ. გ-ისათვის 150 ლარის ოდენობით საურავის დაკისრების თაობაზე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 2010 წლის 7 სექტემბრის დადგენილების, ლ. გ-ისათვის მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 2010 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების, 2011 წლის 21 მაისის საჯარიმო №... ქვითრის (მოსარჩელე დაჯარიმდა 200 ლარით); ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს 2011 წლის 11 ივლისის №20/32-7-173 და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 4 აგვისტოს №20/7-973 გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს დავის საგანს და თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმება და არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა, ამასთან, საქმის წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისათვის დადგენილი სამართალწარმოების პრინციპის დაცვით, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხსენებულ დავაზე ვერ გავრცელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლი, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა უნდა მოხდეს მისი ჩადენის ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე იმ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს.

საყურადღებოა, რომ წინამდებარე საქმეში მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენენ ზემდგომი – შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და მისი ტერიტორიული ორგანო – შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის წარდგენა რამდენიმე მოთხოვნით, რამოდენიმე მოპასუხის მიმართ, რომლებსაც სხვადასხვა ტერიტორიული ადგილმდებარეობა აქვთ, განაპირობებს რამდენიმე სასამართლოში სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. მოცემული საქმის ტერიტორიული განსჯადობის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს

იმას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლითაც ლ. გ-ს დაეკისრა საურავის გადახდა და ჩამოერთვა მართვის უფლება, გამოცემულია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მიერ, რომლის იურიდიულ მისამართია ქ. რუსთავი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სარჩელის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იგი ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით, მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მეორე მოპასუხედ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მითითებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დეპარტამენტის სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად, ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოსათვის არის საქმიანობის თვითკონტროლის საშუალება, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადასტურა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მართულობიერება, შესაბამისად დაუშვებელია მათი ცალცალკე განხილვა. ამასთან, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით და აგრეთვე, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დედაქალაქის სასამართლოში თავმოყრის ტენდეციის შესუსტების მიზნით, სასამართლოში პროცესის ეკონომიურობის, მართმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 4 აგვისტოს №20/7-973 გადაწყვეტილების თაობაზე საქმის ტერიტორიული განსჯადობის დადებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – ლ. გ-ისათვის 150 ლარის ოდენობით საურავის დაკისრებისა და მისთვის მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილებების, ასევე ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე 2011 წლის 11 ივლისის №20/32-7-173 გადაწყვეტილება გამოცემულია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მიერ, რომლის მისამართია ქ. რუსთავი, ... ქ. №21.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. გ-ის სარჩელი მოპასუხეების შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და მისი სტრუქტურული ერთეულის – შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;

2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;

3. განჩინება განსჯადობის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნიეთობრივი განსჯადობა

განჩინება

№ბს-1823-1777(გ-10)

10 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «...» დირექტორმა ზ. ფ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, საქარველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოახდინა ფართის, კერძოდ, ხაშურის ბაზრის ტერიტორიის გასხვისება, რა დროსაც მოხდა იმ გზის გასხვისება, რომელიც შპს «...» ერთადერთ სამომრავო გზას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკო-

ნომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ინფორმირებული იყო აღნიშნულის თაობაზე, მან ეს არ გაითვალისწინა, რის გამოც პრაქტიკულად გამოუყენებელი გახდა შპს «...» საკუთრებაში არსებული ქონება, რითაც უხეშად დაირღვა საკუთრების უფლება. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიზანმიმართულად მოახდინა შპს «...» მისასვლელი გზის გასხვისება, ვინაიდან მას შესაბამისმა დაწესებულებამ აცნობა მისასვლელი გზის არსებობის შესახებ. სამინისტროს უნდა გამოეყო აღნიშნული გზის მონაკვეთი და დაეტოვებინა საერთო სარგებლობაში ან მოეხდინა მოსარჩელეზე მისი შესყიდვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2008 წლის 19 თებერვლის №1-1/202 ბრძანების ბათილად ცნობა, 2008 წლის 19 თებერვლის საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობა სადავო ნაწილში, მოსარჩელისათვის მოსასვლელი გზის გამოყოფა, სადავო ნაწილში აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №20 ოქმის ბათილად ცნობა, სადავო ნაწილში 2008 წლის 18 მარტისა და 2008 წლის 28 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 ნოემბრის განჩინებით შპს «...» სარჩელი მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით მოწესრიგებული იყო სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელ სასამართლოს უნდა განეხილა სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. მითითებული კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავდა და ერთნაირად ვრცელდებოდა ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესი იყო დადგენილი. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ ხსენებული ნორმა ადგენდა განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხებოდა უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლებოდა შეტანილი ყოფილიყო სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ასევე აღნიშნა, რომ დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვდა ფიზიკურ პირებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას. ამასთან, 2008 წლის 18 მარტს და 2008 წლის 28 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენდა უძრავი ნივთი მდებარე, ქ. ხაშურში, ... (აგრარული ბაზრის მიმდებარედ). სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ვინაიდან სადავო ხელშეკრულებები დადებული იყო ერთ შემთხვევაში ფიზიკურ პირებს შორის, ხოლო მეორე შემთხვევაში ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსახილველ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს და იგი განსჯადობით გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენდა ხაშურის რაიონული სასამართლო.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის განჩინებით შპს «...» სარჩელი მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უხეშაეს სასამართლოს.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «...» სარჩელი მოცემულ შემთხვევაში არასწორად იყო გადაგზავნილი ხაშურის რაიონულ სასამართლოში, ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლი, რომლის საფუძველზეც იქნა სარჩელი ხაშურის რაიონულ სასამართლოში გადმოგზავნილი, იმპერატიულად კი არ ადგენდა, არამედ იძლეოდა შესაძლებლობას («...შეიძლება შეტანილ იქნეს...») სარჩელი უძრავ ნივთზე დავის არსებობის შემთხვევაში წარედგინილი ყოფილიყო სასამართლოში ნივთის ადგილმდებარეობის მიხედვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი ადგენდა, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით, ანუ კანონმდებელი ად-

გენდა ალტერნატივას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი იყო, ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელი, როგორც ხაშურის რაიონული, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო. შპს «...» კი გამოიყენა კანონმდებლობით მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის თაობაზე და მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი სწორად წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, მითითებულ ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქცია ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, კერძოდ გასაჩივრებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2008 წლის 19 თებერვლის №1-1/202 ბრძანება, 2008 წლის 19 თებერვლის საკუთრების უფლების მოწმობა, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №20 ოქმი, ასევე მოსარჩელე ითხოვს სადავო მიწის ნაკვეთზე მისასვლელი გზის გამოყოფას და 2008 წლის 18 მარტისა და 2008 წლის 28 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, ხოლო სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, რომლის იურიდიული მისამართია, ქ. თბილისი, ... №12.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნულის გამო, გამოყენებულ უნდა იქნეს სსსკ-ის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, შპს «...» სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...» სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით

განჩინება

№ბს-956-949(გ-11)

28 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, გარდაბნის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ფ-შვილმა, დ. ა-რმა და გ. ა-რმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვეს საჯარო რეესტრის გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის №... და №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა.

დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელებმა მოპასუხედ მიუთითეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 19 აპრილის განჩინებით მ. ფ-შვილის, დ. ა-რისა და გ. ა-რის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლით, რომლის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ მოპასუხედ მითითებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, რომლის ადგილსამყოფელია ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №73.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 აპრილის განჩინებით მ. ფ-შვილის, დ. ა-რისა და გ. ა-რის სასარჩელო განცხადებას დაუდგინა ხარვეზი.

ხარვეზის გამოსწორების მიზნით მოსარჩელებმა დაზუსტებული სარჩელით მოპასუხეებად მიუთითეს: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, ქ. თბილისის მერია და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო და მოითხოვეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №... და №... გადაწყვეტილებების, ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 28 იანვრის №... მიმართვის, ქ. თბილისის მერიის №... და №... გადაწყვეტილებებისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 9 მარტის ოქმის ბათილად ცნობა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 მაისის განჩინებით მ. ფ-შვილის, დ. ა-რისა და გ. ა-რის სარჩელი მოპასუხეების: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის, ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით გადაეგზავნა უფლებამოსილ თბილისის საქალაქო სასამართლოს, შემდეგი მოტივაციით:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამავე კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 18 დეკემბრის №23 განკარგულების შესაბამისად, მოხდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საზღვრების გამიჯვნა და სარჩელში მითითებული მიწის ნაკვეთები, რომელთა რეგისტრაციის გაუქმებასაც ითხოვენ მოსარჩე-

ლები, კერძოდ, ... მიმდებარედ ხეხილსანერგე მეურნეობის მიწის ნაკვეთები, საკადასტრო კოდებით ... და ... შევიდა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. (2006 წლის 27 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის №4173-რს დადგენილებით «ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრების შეცვლის შესახებ» აღნიშნული ტერიტორია მოქცეულია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2011 წლის 20 მაისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქმეში არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, რომლითაც საქმე გარდაბნის რაიონული სასამართლოს განსჯადია და გარდაბნის რაიონული სასამართლოს განჩინება, რომლითაც მიჩნეულია, რომ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი კი არა, თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია, რაც წარმოადგენს სასამართლოთა შორის დავს განსჯადობის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მ. ფ-შვილის, დ. ა-რისა და გ. ა-რის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1. მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 «ა» მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მითითებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული

განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება განსახილველ დავაში თავდაპირველი სარჩელით მოპასუხეს წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდეგ დაზუსტებული სარჩელით მოპასუხედ მითითებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, რის შემდეგაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმე მ. ფ.-შვილის, დ. ა.-რისა და გ. ა.-რის სარჩელისა გამო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ გადაეგზავნა უფლებამოსილ გარდაბნის რაიონულ სასამართლოს. გარდაბნის რაიონული სასამართლოში ხარვეზის გამოსწორების მიზნით წარდგენილ დაზუსტებულ სარჩელში კი მოპასუხეებს წარმოადგენდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, ხოლო დავის საგანს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №... და №... გადაწყვეტილებების, ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 28 იანვრის №... მიმართვის, ქ. თბილისის მერიის №... და №... გადაწყვეტილებებისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 9 მარტის ოქმის ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ განსაკუთრებულ განსჯადობასთან /ქონების უფლებრივი დატვირთვის, ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით/ დაკავშირებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ასკ-ის 1.2 მუხლის მიხედვით სსსკ-ის დებულებები გამოიყენება ნეგატიური დათქმის პრინციპის საფუძველზე.

სსსკ-ის მე-18 მუხლის ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და პროცესის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე უშვებს შესაძლებლობას – განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №... გადაწყვეტილების /ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე უძრავ ნივთზე, მდებარე ... (...) მიმდებარედ არსებული 837 კვ.მ. (ზონა გარდაბანი, სექტორი ხეხილსანერგე)/, საჯარო რეესტრის გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №... გადაწყვეტილების /ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე, უძრავ ნივთზე, მდებარე ... მიმდებარედ 403 კვ.მ. (ზონა გარდაბანი, სექტორი ხეხილსანერგე)/, ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 28 იანვრის №... მიმართვის ... (...) მიმდებარედ არსებულ 837 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე და 2011 წლის 28 იანვრის №... მიმართვის ... (...) მიმდებარედ არსებულ 403 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე, ქ. თბილისის მერიის გადაწყვეტილების №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით განკარგვის შესახებ», ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 9 მარტის ოქმის, რომლითაც აუქციონზე გასხვისდა ლოტი №28 და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2001 წლის 9 მარტის ოქმის, რომლითაც აუქციონზე გასხვისდა ლოტი №29, ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ №4173-რს დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა «ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის განხილვის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის №574 განკარგულებით მოწონებული ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის მიხედვით. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ცვლილების შესაბამისად, ზონა გარდაბანი, სექტორი ხეხილსანერგე ქ. თბილისის შემადგენლობაში შევიდა. ასევე საქმეში წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 6 მაისის წერილის მიხედვით ქ. თბილისის ... მიმდებარედ ხეხილ სანერგე მეურნეობის მიწის ნაკვეთები შედიოდა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან სადავო უძრავი ქონება ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს, წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება უძრავი ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-

დექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ფ-შვილის, დ. ა-რისა და გ. ა-რის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საერთო განსჯადობის წესი

არაგანსჯად სასამართლოში წარდგენილი სარჩელის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის წესი

განჩინება

№ზს-125-119(გ-10)

26 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ბ. ბ-მის სასარჩელო განცხადების გადაგზავნის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 23 დეკემბერს ბ. ბ-მემ სარჩელით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის – აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის მიმართ, რომლითაც შრომის სტაჟის აღიარება მოითხოვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ იგი არის აფხაზეთიდან დევნილი. 1967 წლიდან 1992 წლამდე მუშაობდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ... კოლმეურნეობაში კოლმეურნედ და გააჩნია 25 წლის უწყვეტი შრომის სტაჟი. დღეისათვის საარქივო მასალები ობიექტური მიზეზების გამო ხელმიუწვდომელია და შეუძლებელია მისი შრომის სტაჟის დადგენა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 4 იანვრის განჩინებით ბ. ბ-მის სასარჩელო განცხადება აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის მიმართ განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის მიზნით გადამოეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოდან სარჩელის ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გადაგზავნა იმ საფუძველით, რომ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ადგილსამყოფელი ზუგდიდშია, არის უსაფუძვლო, რადგან აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის, ისევე როგორც გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო არის იძულებით გადაადგილებული და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იურისდიქციის აღდგენამდე ზუგდიდი მათი დროებითი ადგილსამყოფელია. სწორედ იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლი. ამდენად, აფხაზეთის მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ დაწესებულებებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ წარდგენილი სარჩელები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იურისდიქციის აღდგენამდე, მიუხედავად მათი დროებითი ადგილსამყოფლისა, წარდგენილ უნდა იქნეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოებში.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი იყო არაგანსჯადი სასამართლო, საქმე უნდა განხილულიყო გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მიერ და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე უნდა გადმოგზავნოდა საკასაციო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ბ-ძის სარჩელი უნდა დაუბრუნდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს არაგანსჯად სასამართლოში წარდგენილი სარჩელის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის წესს. ამავ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

აღსანიშნავია, რომ ბ. ბ-ძის სარჩელი მოპასუხის – აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის მიმართ, წარდგენილ იქნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. მოსარჩელეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოსათვის არ მიუმართავს, მან თავად მიიჩნია ზუგდიდის რაიონული სასამართლო მისი სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოდ. შესაბამისად, უსაფუძვლოა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოთა შორის დავა სარჩელის განსჯადობაზე უნდა გადაწყდეს საკასაციო სასამართლოს მიერ. განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის სასამართლოთა შორის დავა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით. ამ სახის დავა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოსა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს შორის დღეისათვის არ არსებობს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, თუ ზუგდიდის რაიონული სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი არ არის მისი განსჯადი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფლებამოსილია თავად გადაუგზავნოს ბ. ბ-ძის სასარჩელო განცხადება შესაბამის სასამართლოს. თუ ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ არ არის უფლებამოსილი განიხილოს სარჩელი, დასაბუთებული განჩინებით თავად აღძრავს დავას განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად. მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ არის შესაძლებელი საკასაციო სასამართლომ გადაწყვიტოს სასამართლოებს შორის აღძრული დავა და დასაბუთებული განჩინებით საქმე გადასცეს განსჯად სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ. ბ-ძის სარჩელი მოპასუხის – აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის მიმართ, უნდა დაუბრუნდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ბ-ძის სარჩელი დაუბრუნდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არაგანსჯად სასამართლოში წარდგენილი სარჩელის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის წესი

განჩინება

№ბს-619-598(გ-10)

1 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და მცხეთის რაიონულ სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2009 წლის 15 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს «...» დირექტორმა კ. ქ-იამ, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 18 მაისის №... და 2009 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა.

იმავე წლის 18 აგვისტოს მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და პირვანდელ მოთხოვნასთან ერთად მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 18 მარტის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სადავო საკითხის გადაწყვეტლად და იქვე მოპასუხედ მიუთითა მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 24 აგვისტოს განჩინებით შპს «...» სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ განსახილველად გადაიგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 სექტემბრის განჩინებით შპს «...» სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით შპს «...» სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ 2009 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 18 მაისის №... და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 18 მარტის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის ნაწილში ცნობილ იქნა დაუშვებლად. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის სასამართლო სხდომაზე მიღებული საოქმო განჩინებით, ადმინისტრაციული საქმე (№3/6-10), მოსარჩელე შპს «...» სასარჩელო განცხადება მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაგზავნილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის მე-15 მუხლი და განმარტა, რომ რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით «...» სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 18 მაისის №... და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 18 მარტის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის ნაწილში ცნობილ იქნა დაუშვებლად. შესაბამისად, დავის საგანს წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მისამართია: თბილისი, წმინდა ნიკოლოზის ქ. №2.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მსჯელობას დავის განსჯადობის თაობაზე, წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავი ეხება სარჩელის განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხებს. აღნიშნული კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს, რომლითაც ხდება ნებისმიერი სარჩელის (განცხადების) აღძვრა სასამართლოში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. გამონაკლისებს ამ საერთო წესიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-24-ე მუხლები წარმოადგენს, რომლებიც განსჯადობის საკითხებს აწესრიგებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სარჩელის საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება №... (სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 19 მაისის №... (შპს «...» ადმინისტრაციული საჩივრის №... რომელიც ეხებოდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 18 მარტის №... სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილების (ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ) ბათილად ცნობა. მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით შპს «...» სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 18 მაისის №... და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 18 მარტის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის ნაწილში ცნობილ იქნა დაუშვებლად, ხოლო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება

ყვეტილება №... ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტილებაზე უარის თქმის თაობაზე უნდა განეხილა და გადაწყვეტა მცხეთის რაიონულ სასამართლოს, მისი კანონიერება უნდა შეფასებულიყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 18 მაისის №... და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 18 მარტის №... გადაწყვეტილებების კანონიერებასთან ერთად, ვინაიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნულ სამართალურთიერთობაში, რაიმე ახალი სამართლებრივი რეჟიმი არ დაუდგენია, მხოლოდ ძალაში დატოვა მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურის წერილი. შესაბამისად, მოცემული გადაწყვეტილების კანონიერება უნდა შეფასებულიყო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების კანონიერებასთან ერთად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ შპს «...» სარჩელი მცხეთის რაიონული სასამართლოს განსჯად დავას წარმოადგენს და შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, სასამართლომ ისე მიიჩნია დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს, როგორც ტერიტორიულად განსჯადი სასამართლოს განსახილველად, რომ არ გაუთვალისწინებია საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი წესები, რის გამოც დარღვეულია სსსკ-ის 394 «ე» მუხლის მოთხოვნები.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით შპს «...» სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ 2009 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად, ამასთან, სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 18 მაისის №... და მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 18 მარტის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის ნაწილში ცნობილ იქნა დაუშვებლად და ამდენად, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის სასამართლო სხდომაზე მიღებული საოქმო განჩინებით, ადმინისტრაციული საქმე (№3/6-10), მოსარჩელე შპს «...» სასარჩელო განცხადება მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას და იზიარებს საპროცესო ნორმების მართებულად გამოყენება-განმარტების საფუძველზე ჩამოყალიბებულ პროცესუალურ-სამართლებრივ დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 15-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალ-წარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1. მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძვე-

ლი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

მოცემულ შემთხვევაში მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დავა მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიულ განსჯად დავად, თუმცა შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, რომ დღევანდელი მდგომარეობით, მართალია, დავის საგანს წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილების – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუმცა დავის საგანი – ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მიღებულია მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებაზე წარდგენილ საჩივარზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ არ დააკმაყოფილა ადმინისტრაციული საჩივარი ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე. შესაბამისად, დავის საგნის შეფასება უნდა მოხდეს სწორედ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებასთან ერთად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დღევანდელი მდგომარეობით მოპასუხედ დასახელებული ადმინისტრაციული ორგანოს იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, თუმცა დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ მისი გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შეფასებას, არამედ განსჯადი სასამართლოს მიერ ერთობლივად უნდა შეფასდეს, როგორც მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების (საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე) ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 აგვისტოს განჩინებით შპს «...» სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილების) ბათილად ცნობის თაობაზე, განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს – მცხეთის რაიონულ სასამართლოს, თუმცა მცხეთის რაიონულ სასამართლოს არ უსარგებლია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლის თაობაზე და არ წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სწორად იქნა შეფასებული საქმის მასალები, სასამართლომ მართებული შეფასება მისცა იმ გარემოებას, თუ რა სამართალურთიერთობა იყო სახეზე. ამდენად, შპს «...» სარჩელი განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე, 399-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. შპს «...» სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განცხადებისა და საჩივრების განსჯადობა

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობა

განჩინება

№ბ-2989-26(ა-09)

30 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა გ. გ-ძის განცხადების დასაშვებობის საკითხი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული საქმე გ. გ-ძის საჩივრითა და კერძო საჩივრით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აგვისტოსა და 17 სექტემბრის განჩინებებზე.

2009 წლის 26 ნოემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. გ-ძემ და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი მოტივით:

განმცხადებლის მითითებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ თ. მ-ძეს განცხადება აქვს შეტანილი პროკურატურაში და ითხოვს გ. გ-ძის დაპატიმრებას იმის გამო, რომ არის ბინის კანონიერი მფლობელი, მაგრამ არ ეძლევა ბინით სარგებლობის უფლება, რის გამოც ცხოვრობს ქირით. განმცხადებლის მოსაზრებით, აღნიშნული წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას.

განმცხადებლის მითითებით, მან განცხადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, საიდანაც განცხადება გადაეგზავნა ძველი თბილისის სამმართველოს. 2009 წლის 17 ნოემბრის პასუხით გ. გ-ძეს ეცნობა, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და განმცხადებელს განემარტა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის.

ამდენად, განმცხადებლის მოსაზრებით, არსებობს ორი ახალი გარემოება, რაც იძლევა დამატებით საფუძველს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებისათვის.

განმცხადებლის მითითებით, 2009 წლის 2 თებერვალს განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, მაგრამ განცხადება 2009 წლის 2 მარტის განჩინებით დარჩა განუხილველად სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო. სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 მარტის განჩინების მიღებაში მონაწილეობას ღებულობდა მოსამართლე ლ. მამულაშვილი, რომელიც მონაწილეობდა სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების მიღებაში.

განმცხადებლის მითითებით, 2009 წლის 2 თებერვლის განცხადებაში მითითებული საფუძველები განსხვავდება ამჟამინდელი მოთხოვნებისაგან, კერძოდ, დღეის მდგომარეობით კანონიერად არის მიჩნეული სასამართლოს გადაწყვეტილება ბინის გადაფორმების საფუძველად, ასევე არსებობს გ. გ-ძის დაპატიმრების მცდელობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. გ-ძის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განსჯადობის წესების დაცვით, უნდა გადაეცეს უფლებამოსილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდვრები. ამავე კოდექსის 424-ე მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობის საკითხს, განცხადება

შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, განცხადება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს განსჯადია იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში, გ. გ-მე ითხოვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლითაც დაკმაყოფილდა თ. მ-ძის სარჩელი თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, მესამე პირის – გ. გ-ძის მონაწილეობით, აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ.

აღნიშნულის შესაბამისად, გ. გ-ძის მიერ განცხადება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია განსჯადობის წესების დარღვევით, რადგან მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სსსკ-ის 424-ე მუხლის მოთხოვნის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გ. გ-ძის განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო კონკრეტულ შემთხვევაში იხილავს გ. გ-ძის საჩივარსა და კერძო საჩივარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აგვისტოსა და 17 სექტემბრის განჩინებებზე, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა გ. გ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ასევე განუხილველად დარჩა გ. გ-ძის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინების ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც თავის მხრივ განუხილველად დარჩა გ. გ-ძის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

განმცხადებელი 2009 წლის 26 ნოემბერს წარმოდგენილ განცხადებაში უთითებს ახალ გარემოებებზე, რომლებიც მისივე მოსაზრებით, წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. შესაბამისად, ის გარემოება, რომ კერძო საჩივრის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს განხილვაში არსებული საქმე ეხება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, არ ხდის საკასაციო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თუნდაც იმავე გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სსსკ-ის 424-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არა აქვს მინიჭებული კომპეტენცია იმსჯელოს გ. გ-ძის განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 424-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, გ. გ-ძის განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლო, რის გამოც გ. გ-მე არასწორად მომართავს განცხადებით საკასაციო სასამართლოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. გ-ძის განცხადება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობასა და მოთხოვნის საფუძველიანობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 421-ე, 424-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განსახილველად გადაეცეს უფლებამოსილ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობა

განჩინება

№ბ-262-4(ა-10)

22 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობით: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შპს «...» განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 11 თებერვალს შპს «...» განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

განმცხადებელი განცხადებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით შპს «...» საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ძალაში დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განჩინება და შესაბამისად, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს «...» სასარჩელო განცხადება სოფ. ... მდებარე 4400 კვ.მ მიწის ნაკვეთზე შპს «...» საკუთრების უფლების აღდგენის თაობაზე.

განმცხადებლის მითითებით, სარჩელის დაუკმაყოფილებლობის მოტივად მიჩნეულია შემდეგი გარემოებები: აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული №120 დადგენილებით, გადაწყდა «...» მაგისტრალის გზის გასწვრივ განლაგებული ზოგიერთი შენობა-ნაგებობის ლიკვიდაცია და მესაკუთრეებზე შესაბამისი კომპენსაციის გაცემა. მათ შორის იყო შპს «...» საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა და 4400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ამის საფუძველზე აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 2002 წლის 2 ივლისის №65 დადგენილებით შპს «...», ლიკვიდირებული შენობა-ნაგებობების საკომპენსაციოდ გადაეცა 1041 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი ქ. ბათუმში, ... №47-ში, ხოლო ქ. ბათუმის მერის 2004 წლის 23 აპრილის №63 განკარგულებით ჩამორთმეული მიწის საკომპენსაციოდ ამავე მისამართზე გადაეცა 1319 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო შპს «...» სახელზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ «მოსარჩელეს საკუთრებაში გააჩნია ქ. ბათუმში, ... №47-ში მდებარე შენობა და მიწის ნაკვეთი და ამავე დროს ითხოვს იმ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღდგენას, რომლის სანაცვლოდაც მიიღო ზემოხსენებული ქონება». «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» კანონის მიხედვით, უფლების დამადასტურებელი საბუთი ადასტურებს უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებას», რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა შპს «...» მიმართებაში 1319 კვ.მ. მიწის მის საკუთრებად აღრიცხვის გამო.

შემდგომ ქ. ბათუმის მერიის სარჩელის საფუძველზე, სასამართლომ ქ. ბათუმში, ... №47-ში მდებარე 1319 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც ირიცხებოდა შპს «...» საკუთრებად და რომელიც მას გადაეცა ხელვაჩაურის რაიონში, სოფ. ... მდებარე 4400 კვ.მ. ჩამორთმეული მიწის საკომპენსაციოდ საკუთრების უფლებით აღრიცხა სახელმწიფოს (ქ. ბათუმის მერიის) სახელზე. სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლის განმარტებით, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დაეყრდნო ისეთ გარემოებას, რომელიც აღარ არსებობს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას გაუქმდა.

კონკრეტულ შემთხვევაში კი განმცხადებლის მითითებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაუქმდა საჯარო რეესტრში აღრიცხულ 1319 კვ.მ. მიწაზე მათი საკუთრების უფლება, რაზეც დაფუძნებულია რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და რაც წარმოადგენს საქმის განახლების საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «...» განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე უნდა გადაეცეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კანონიერი ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმება და საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამძღვრები.

ამავ კოდექსის 424-ე მუხლის შესაბამისად, განცხადება კანონიერი ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ შეიტანება გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ სასამართლოს განსჯადია, რომელმაც საქმის არსებითი განხილვის შედეგად საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში შპს «...» სარჩელი, არსებითად გადაწყვიტა ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ, რომლის 2007 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის შესაბამისად, შპს «...» განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, განხილულ უნდა იქნეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ, რის გამოც განცხადება მისი დასაშვებობის შემოწმების მიზნით უნდა გადაეგზავნოს მითითებულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლით, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...» განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე გადაეგზავნოს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე საჩივრის განსჯადობა

განჩინება

№ბ-869-ს-10

2 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ვაჩაძე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 22.03.2010წ. №... გადაწყვეტილება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ყ-შვილმა 14.05.2010წ. საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა საჩივარი ადვოკატთა ასოციაციის წევრის ვ. ვ-შვილის მიმართ და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 22.03.2010წ. №3040/01/09 გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ვ-შვილის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საჩივარში აღნიშნულია, რომ ეთიკის კომისიის განხილვისას კოლეგიამ, რომელმაც შეისწავლა მისი და ვ. ვ-შვილის ახსნა-განმარტებები, საქმის რეალურ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, ვ. ვ-შვილმა კოლეგიას მისცა ცრუ განმარტება, როდესაც მი-

უთითა, რომ თითქოს საადვოკატო მომსახურებაზე ხელშეკრულება დადო მის შვილთან ი. ყ-შვილთან, სინამდვილეში ხელშეკრულება დაიდო ა. ყ-შვილსა და ვ. ვ-შვილს შორის. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ვ. ვ-შვილმა ეთიკის განხილვის კოლეგიას დაუმალა ის ფაქტი, რომ გამოართვეს მას თანხა, რომელიც არ ასახულა ხელშეკრულებაში. საჩივრის ავტორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ვ. ვ-შვილმა არაკეთილსინდისიერად და არასათანადოდ შეასრულა ადვოკატის მოვალეობა, კერძოდ, არასაპატიო მიზეზით სასამართლოში დანიშნულ პროცესზე არ გამოცხადდა, რის გამოც სასამართლომ გამოიტანა მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში არ წარადგინა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 31.08.06წ. №6 ცნობა, რომლის მიხედვით მოწინააღმდეგე მხარეს გ. ს-არს სადავო კოტეჯი საკუთრების უფლებით არასოდეს ჰქონია. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ კომისიამ ყურადღება არ მიაქცია იმას, თუ რა ზარალი მიადგა მას ადვოკატის უპასუხისმგებლობის გამო. საჩივრის ავტორი ასევე არ ეთანხმება ეთიკის განხილვის კომისიის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს, სადაც აღნიშნულია, რომ «საქმის განხილვა კოლეგიას გადაეცა დაგვიანებით, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ის ვერ მოახდენს რაიმე სახდელის დაკისრებას ადვოკატზე». საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება საფუძვლად არ უნდა დაედოს სახდელის დაკისრებაზე უარის თქმას, ვინაიდან აღნიშნული ვადა მისი მიზეზით არ დარღვეულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ყ-შვილის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სდისციპლინო პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენს სსიპ «საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის» ეთიკის კომისიის 22.03.10წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ადვოკატ ვ. ვ-შვილის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება. აღნიშნული გადაწყვეტილებით მიღებული იქნა მხედველობაში ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8.4 მუხლის დარღვევის ფაქტი, ვ. ვ-შვილს სსიპ «საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის» ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-3 მუხლზე მითითებით სახდელი არ დაეკისრა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი, იმავე მუხლის მე-3 ნაწილით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ასევე სხვა საქმეებიც, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. «ადვოკატთა შესახებ» კანონის VII თავი განსაზღვრავს კანონით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს, ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღმდგრის უფლებამოსილება კანონით მინიჭებული აქვს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, კანონი ასევე განსაზღვრავს დისციპლინური სახდელების სახეებს, ეთიკის კომისიის მიერ სახდელის შეფარდების წესს, აღნიშნულზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურას და ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საჩივარი. «ადვოკატთა შესახებ» კანონის 35-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს მისთვის გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან 1 თვის ვადაში გასაჩივროს იგი საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

«საერთო სასამართლოების შესახებ» ორგანული კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განმხორციელებელი უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის 63-ე, 64-ე და 88-ე, 90-ე მუხლებით და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. მოცემული კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაეს სასამართლოში იქმნება სამოქალაქო საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, დიდი პალატა, პლენუმი და სადისციპლინო პალატა. ამავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს პალატა, გარდა სადისციპლინო პალატისა, არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საპროცესო კანონით დადგენილი წესით განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს მის განსჯადობას მიკუთვნებულ სხვა საქმეებს, გადასინჯავს განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ასევე განიხილავს საჩივრებს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით «ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში.

«საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს სადისციპლინო პალატის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საჩივრებზე, კერძოდ, სადისციპლინო პალატა «საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე. «ადვოკატთა შესახებ» კანონი ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში სახდელის გასაჩივრების უფლებამოსილებას საქართველოს უზენაეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის მზით ანიჭებს ადვოკატს. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ადვოკატის საჩივარი ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განსჯადობასა და დაქვემდებარებული. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო სამართალური თეორია ეხება რა ადვოკატის მიერ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის «ადვოკატთა შესახებ» კანონის 35.6 მუხლით განსაზღვრულ სამართალური თეორიას, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვა, პროცესუალური ანალოგიით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განსახილველ საქმეს განეკუთვნება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სსკ-ის 404.3 მუხლის თანახმად სარჩელის უწყებრივი ქვემდებარეობის და ინსტანციური განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს განსჯადი სასამართლოს მიერ. «საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ» კანონის 62-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო პალატა ამოწმებს საჩივრის დასაშვებობის საკითხს, რომელიც მოცემულ ეტაპზე უფლებამოსილია ასევე შეამოწმოს საჩივრის ავტორის მიერ სადისციპლინო პალატაში აღნიშნული საჩივრის წარდგენაზე მისი სუბიექტუარიალობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა თვლის, რომ ა. ყ-შვილის საჩივარი უნდა გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, 26.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ყ-შვილის საჩივარი სსიპ «საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის» ეთიკის კომისიის 22.03.2010წ. №3040/01/09 გადაწყვეტილებაზე განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი

განჩინება

№ბს-1380-1344(უს-10) 29 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა მ. ბ-ოვას საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2010 წლის 21 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოში შემოვიდა ადმინისტრაციული საქმე მ. ბ-ოვას საჩივრით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებაზე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ბ-ოვას საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებაზე განსჯადობის წესების დაცვით, უნდა გადაეცეს უფლებამოსილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

კონკრეტულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინების გაუქმებას, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მ. ბ-ოვას განცხადებაზე სსსკ-ის 191-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინებით განმცხადებელს უარი ეთქვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 197.1 მუხლის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა, ხოლო ამავე კოდექსის 197¹ მუხლი განსაზღვრავს საჩივრის განხილვის წესს და ადგენს მის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად. თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ამდენად, მითითებული ნორმის თანახმად, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ის სასამართლო, რომელმაც განიხილა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ხოლო ზემდგომი ინსტანციის სასამართლო უკვე საჩივრის დაუკმაყოფილებლობის პირობებშია უფლებამოსილი იმსჯელოს მის საფუძველიანობაზე, ამასთან შეამოწმოს საჩივრის თაობაზე ქვემდგომი სასამართლოს განჩინების კანონიერება მხოლოდ ქვედა ინსტანციის მიერ საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და მისი ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ განჩინების საფუძველზე.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მ. ბ-ოვას საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლო, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არა აქვს მინიჭებული კომპეტენცია იმსჯელოს წარმოდგენილ საჩივარზე და აღნიშნულზე გავლენას ვერ მოახდენს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ თავისი განჩინებით არასწორად განმარტა მისი გასაჩივრების წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ბ-ოვას საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოდგენილი საჩივრის დასაშვებობასა და მოთხოვნის საფუძველიანობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ-ოვას საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებაზე განსჯადობის წესების დაცვით, გადაეცეს უფლებამოსილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე განცხადების განსჯადობა

განჩინება

№ბს-1022-1014(კს-11)

20 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე და 420-ე მუხლების შესაბამისად, განიხილა გ. ქ-ძისა და მისი წარმომადგენლის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

საკასაციო სასამართლოში 2011 წლის 9 ივნისს შემოვიდა ადმინისტრაციული საქმე გ. ქ-ძისა და მისი წარმომადგენლის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე.

საქმის მასალების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 მაისის განჩინებით გ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

გ. ქ-ძემ და მისმა წარმომადგენელმა განცხადებით მიმართეს სააპელაციო სასამართლოს და სსსკ-ის 66-ე-67-ე მუხლების შესაბამისად, მოითხოვეს საპროცესო ვადის აღდგენა.

აღნიშნული განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადმოგზავნილ იქნა საკასაციო სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობისა და მისი დასაშვებობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ქ-ძისა და მისი წარმომადგენლის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად, განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ შეიტანება იმ სასამართლოში, რომელშიც უნდა შესრულებულიყო საპროცესო მოქმედება.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საპროცესო ვადის აღდგენის კომპეტენცია მინიჭებული აქვს განჩინების გამომტან სასამართლოს.

კონკრეტულ შემთხვევაში, განმცხადებელმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომლის 2011 წლის 27 მაისის განჩინებით განუხილველად დარჩა გ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი, იმ მოტივით, რომ აპელანტის მიერ გაშვებულ იქნა სსსკ-ის 369-ე მუხლით დადგენილი სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვადის აღდგენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრით საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ ის გადაწყვეტილებები (განჩინებები), რომლითაც საქმე განხილულ იქნა არსებითად, ხოლო 414.1 მუხლის შესაბამისად, კი, კერძო საჩივრით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ის სასამართლო აქტები, რომელთა კერძო საჩივრით გასაჩივრების წესიც პირდაპირაა დადგენილი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით.

ამდენად, მითითებულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო სასამართლო მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვადის აღდგენაზე, რადგან აღნიშნული საკითხის განხილვა თავად განჩინების გამომტანი სასამართლოს კონკრეტულ შემთხვევაში კი, სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის შესაბამისად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია გადაუგზავნოს იგი განსჯად სასამართლოს.

სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კანონის ანალოგიის საფუძველზე, მხარის მიერ საპროცესო უფლების რეალიზაციის მიზნით წარდგენილი ნებისმიერი საპროცესო დოკუმენტი, მათ შორის განცხადება, განსახილველად ექვემდებარება მხოლოდ განსჯად სასამართლოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ქ-ძისა და მისი წარმომადგენლის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც იგი განსახილველად უნდა გადაეცეს მითითებულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7.2, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ქ-ძის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. განცხადების განსჯადი სასამართლოსათვის გადაგზავნის შესახებ ეცნობოს განმცხადებელს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

№ბ-1757-2(ბ-11)

29 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

განიხილა გ. ბ-იანის განცხადების დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 2 ივნისის განჩინებით გ. ბ-იანის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის და 2011 წლის 11 თებერვლის განჩინებები.

2011 წლის 19 ივლისს გ. ბ-იანმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. განმცხადებელმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ბ-იანის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობის წესების დაცვით, უნდა გადაეცეს უფლებამოსილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდვრები. ამავე კოდექსის 424-ე მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობის საკითხს, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, განცხადება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს განსჯადია იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, გ. ბ-იანი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის განჩინების ბათილად ცნობას, რომლითაც მისი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ბ-იანის მიერ განცხადება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია განსჯადობის წესების დარღვევით, რადგან მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სსსკ-ის 424-ე მუხლის მოთხოვნის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ გ. ბ-იანის განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლო.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ბ-იანის განცხადება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომელიც უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობასა და მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და 26-ე მუხლების მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე, 424-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ბ-იანის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განსახილველად გადაეცეს უფლებამოსილ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული ურთიერთობებიდან გამომდინარე განსჯადობა

განჩინება

№ბს-1657-1615(გ-10)

18 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 1 თებერვალს ს. გ-შვილმა სარჩელი აღძრა გორის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის – ს. ტ-ძის მიმართ და მოითხოვა ს. ტ-ძის და მასთან მცხოვრები პირების გამოსახლება ბინიდან და ბინის თავისუფალ მდგომარეობაში მისთვის გადაცემა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მის მიერ აუქციონის წესით შეძენილ ბინაში, მდებარე ქ. გორში, ... №4/45, კვლავ აგრძელებს ცხოვრებას ს. ტ-ძე, რითაც ილახება მისი, როგორც მესაკუთრის კანონით გარანტირებული უფლებები.

2001 წლის 4 მაისს ს. ტ-ძის მეუღლემ, ნ. კ-შვილმა შეგებებული სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა სადავო ბინაზე თანამესაკუთრედ ცნობა და აუქციონის შედეგების ბათილად გამოცხადება.

გორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ს. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და ქ. გორში, №4/45-ში მდებარე ბინიდან გამოსახლებულ იქნა ს. ტ-ძე მასთან მცხოვრებ პირებთან ერთად, ბინა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა ს. გ-შვილს; ხოლო ნ. კ-შვილის შეგებებული სარჩელი ბინის თანამესაკუთრედ ცნობისა და აუქციონის შედეგების ბათილად გამოცხადების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო ს. გ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 27 აგვისტოს განჩინებით ნ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დავის საგანს წარმოადგენდა გორის რაიონული სააღსრულებო ბიუროს მიერ 2001 წლის 19 იანვარს ჩატარებული აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა. სააღსრულებო ბიურო და აღმასრულებელი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, სააღსრულებო ბიუროსა და აღმასრულებლის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ მოქმედებასთან დაკავშირებული დავები კი სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული დავებია.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ნ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-შვილმა და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2002 წლის 25 სექტემბრის განჩინების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 8 ივლისის განჩინებით ნ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა პალატის 2002

წლის 25 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საგადასახადო საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 2 დეკემბრის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა გორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებაზე ს. ტ-ძის მიერ შეტანილ საჩივარზე წარმოების დასრულებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 1 ივლისის განჩინებით ნ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება განახლდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის განჩინებით ნ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საკასაციო სასამართლოში, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვის საკითხს, კერძოდ, მოცემულ დავაში გაერთიანებულია რამდენიმე არაერთგვაროვანი იურიდიული ხასიათის სასარჩელო მოთხოვნა: ძირითადი სარჩელის მოთხოვნა ს. ტ-ძის და მასთან მცხოვრები პირების ბინიდან გამოსახლების თაობაზე და შეგებებული სარჩელის მოთხოვნა სადავო ბინაზე თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე კერძო სასამართლებრივი ხასიათისაა და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა აუქციონის შედეგების ბათილად გამოცხადების თაობაზე, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, სააღსრულებო ბიუროს მიმართ აღძრული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივია და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესუალური ფორმის გამოყენებით უნდა გადაწყდეს.

ნ. კ-შვილის შეგებებული სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნის, კერძოდ, სადავო ბინაზე თანამესაკუთრედ აღიარების გარეშე შეუძლებელია ბინის აუქციონის ფორმით გასხვისების მართლზომიერების თაობაზე ადმინისტრაციულ – სამართლებრივი ხასიათის დავის განხილვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» პუნქტის საფუძველზე სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ბინის თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და კანონიერების შემოწმებამდე უნდა შეჩერდეს აუქციონის ნაწილში სააპელაციო საჩივრის განხილვა, ხოლო განხილულ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ნ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებაზე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, გარდა შეგებებული სარჩელის მოთხოვნის – აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის ნაწილისა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე ს. გ-შვილის სასარჩელო მოთხოვნის – ბინიდან გამოსახლებისა და ნ. კ-შვილის შეგებებული სარჩელის მოთხოვნის – ბინის თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავად, ხოლო შეგებებული სარჩელის მოთხოვნის – აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის ნაწილში ადმინისტრაციულ დავად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას დავის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საქმის მასალების მიხედვით ნ. კ-შვილის შეგებებული სარჩელის საგანს წარმოადგენს:

1. სადავო ბინაზე თანამესაკუთრედ ცნობა და
2. სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩატარებული აუქციონის შედეგების ბათილად გამოცხადება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ ნ. კ-შვილის შეგებებული სააპელაციო საჩივრის მთლიანად საკასაციო სასამართლოსათვის გადმოგზავნას განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, რადგან საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ რეალურად დავა სასამართლოებს შორის საქმის განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ შეგებებული სარჩელით მოთხოვნილ სადავო ბინაზე თანამესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით, რაც შეეხება შეგებებული სარჩელის მოთხოვნას აუქციონის შედეგების ბათილად გამოცხადების თაობაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განჩინების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ აუქციონის ნაწილში სააპელაციო საჩივრის განხილვა ექვემდებარება შეჩერებას; თუმცა, ადმი-

ნისტრაციულ სასამართლოს სსსკ-ის 279-ე მუხლის დ) პუნქტით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედება არ შეუსრულებია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. კ-შვილის მიერ წარმოდგენილი შეგებებული სარჩელი აერთიანებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნებს, კერძოდ სადაო ბინაზე თანამესაკუთრედ ცნობას და სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩატარებული აუქციონის შედეგების ბათილად ცნობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეგებებული სარჩელის საგანი – ბინაზე თანამესაკუთრედ ცნობა, განეკუთვნება სამოქალაქო მოთხოვნათა კატეგორიას, რამდენადაც თანასაკუთრება სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ინსტიტუტია, რომლის თაობაზეც დასაშვებია სამოქალაქო სარჩელის აღძვრა, რაც ექვემდებარება სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვას სსსკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე. ამასთანავე, ნ. კ-შვილის შეგებებული სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნის, სადაო ბინის თანამესაკუთრედ ცნობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ არის მხოლოდ შესაძლებელი ბინის აუქციონის ფორმით გასხვისების კანონიერების თაობაზე ადმინისტრაციულ – სამართლებრივი ხასიათის დავის განხილვა.

რაც შეეხება ნ. კ-შვილის მიერ შეგებებული სარჩელით მოთხოვნილი გორის რაიონული სააღსრულებო ბიუროს მიერ 2001 წლის 19 იანვარს ჩატარებული აუქციონის შედეგების ბათილად ცნობას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «...» საქართველოს კანონის მე-3, მე-17 მუხლებიდან გამომდინარე სააღსრულებო ბიურო და აღმასრულებელი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» პუნქტით გათვალისწინებული, საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «გ» პუნქტის მიხედვით სააღსრულებო ბიუროსა და აღმასრულებლის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, მიერ განხორციელებულ მოქმედებასთან დაკავშირებული დავები სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეებია, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი საქმე მოიცავს, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივ, ისე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ მოთხოვნებს, რო-

მელთა ერთობლივი განხილვა გამოიწვევს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სამართალწარმოების სახეთა აღრევას და მხარეთა საპროცესო უფლებების შელახვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. კ-შვილის მიერ შეგებებული სარჩელის საგნიდან: მოთხოვნა – სადაო ბინაზე თანამესაკუთრედ ცნობა, როგორც კერძო-სამართლებრივი ხასიათის კონფლიქტი, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო მოთხოვნა – აუქციონის შედეგების ბათილად გამოცხადების შესახებ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

შესაბამისად:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის ნაწილში სსსკ-ის 279-ე მუხლის დ) პუნქტით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესაბამისი სასამართლო აქტით განხორციელების მიზნით საქმე გადაეზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, ხოლო საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინების მიღების შემდეგ,

2. საქმე განსჯადობის მიხედვით გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, სამოქალაქო ნაწილში დავის გადასაწყვეტად, რომლის კანონიერ ძალაში შესვლა აღმოფხვრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნაწილში საქმის წარმოების შეჩერების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2,1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებაზე ბინიდან გამოსახლებისა და თანამესაკუთრედ ცნობის ნაწილში, განსჯადობით, განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. ნ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარზე აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის ნაწილში საქმის წარმოების შეჩერების მიზნით საქმე გადაეზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, ხოლო საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინების მიღების შემდეგ საქმე განსჯადობის მიხედვით გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, სამოქალაქო ნაწილში დავის გადასაწყვეტად;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა სარჩელზე, რომლის ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნაა

განჩინება

№ბს-1822-1776(გ-10)

17 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 25 მაისს ი. დ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მან 1993 წლის სექტემბერში ე. პ-საგან შეიძინა ქ. სამტრედიაში, ... ქ. №1, ბინა №1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. აღნიშნული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა ნოტარიუსთან და იმავე წელს დარეგისტრირდა ტექადრიცხვის ბიუროში.

მოსარჩელემ საკუთრებაში არსებული ბინის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურმა თავდაპირველად მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ხოლო ვინაიდან, ი. დ-შვილმა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ნასყიდობის ხელშეკრულების წარდგენა ვერ მოახერხა, მას უარი ეთქვა სარეგისტრაციო წარმოებაზე.

მოსარჩელის განმარტებით, მან 1993 წლის სექტემბერში გაფორმებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება დაკარგა, მისი მოპოვება კი ვერც ტექაღრიცხვის ბიუროდან, ვერც ნოტარიუსისგან და ვერც ქალაქის მუნიციპალიტეტიდან ვერ მოახერხა, ვინაიდან, 1998 მომხდარი ხანძრის შედეგად ყველა დოკუმენტაცია განადგურდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქ. სამტრედიისში, ... ქ. №1, ბინა №1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ცნობა და მოპასუხისათვის აღნიშნული ბინის ი. დ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის დავალდებულება მოითხოვა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველო.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ი. დ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. დ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ი. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს ი. დ-შვილის ქ. სამტრედიისში, ... ქ. №1, ბინა №1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ცნობა და სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ამ ქონების მის საკუთრებად დარეგისტრირების დავალდებულება წარმოადგენდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ მართალია მოსარჩელის მიერ მოპასუხედ ადმინისტრაციული ორგანო იყო დასახელებული, მაგრამ აღნიშნული გარემოება დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის აუცილებელ პირობას არ წარმოადგენდა, ვინაიდან, სარეგისტრაციო სამსახური არ იყო უფლებამოსილი სარეგისტრაციო წარმოებისას უმრავ ქონებაზე საკუთრების უფლება დაედგინა. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებით, მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნა – საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ ცნობა იყო, ხოლო ამ მიზნის მიღწევის შემდეგ ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება სასარჩელო მოთხოვნის თანმდევ შედეგს წარმოადგენდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა და საქმე განსჯადობის წესების დაცვით სამოქალაქო საქმეთა პალატას უნდა გადასცემოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ი. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ ი. დ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას არა უმრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენა, არამედ 1993 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უკვე მოპოვებული, აღიარებული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენდა.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენდა, აღნიშნული დავა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა და მისი განხილვის უფლებამოსილება მხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გააჩნდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საკასაციო სასამართლოს უნდა გადაგზავნილიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განხილვა

დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს ი. დ-შვილის ქ. სამტრედიის, ... ქ №1, ბინა №1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ცნობა და სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურისათვის აღნიშნული ქონების მის საკუთრებად დარეგისტრირების დავალდებულება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობას სადავო საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ი. დ-შვილის ძირითად სასარჩელო მოთხოვნას საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ცნობა მიეკუთვნება. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 477-ე მუხლების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო სამართალურთიერთობა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში არ ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და არ ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს. სადავო სამართალურთიერთობა რეგულირების საგნის, საფუძვლის, შინაარსის გათვალისწინებით კერძოსამართლებრივ (ჰორიზონტალურ) ურთიერთობას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მართალია ი. დ-შვილის მეორე სასარჩელო მოთხოვნა – სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ქონების რეგისტრაციის დავალდებულება, თავისი შინაარსით ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ აღნიშნული საკითხი ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის – ბინის მესაკუთრედ ცნობის თანმდევ შედეგს წარმოადგენს. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, სადავო ბინის ი. დ-შვილის საკუთრებად ცნობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო სამსახური უფლებამოსილი იქნება მიიღოს გადაწყვეტილება სადავო ქონების ი. დ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის თაობაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ბინის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, არსებითად დამოკიდებულია აღნიშნული ქონების ი. დ-შვილის საკუთრებად ცნობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას სადავო საკითხთან დაკავშირებით და მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოცემული საქმის დავის საგნად მხოლოდ მოპასუხისათვის საჯარო რეესტრში ჩანაწერების განხორციელების დავალდებულება მიიჩნია, მაშინ როდესაც როგორც რაიონულ, ისე სააპელაციო სასამართლოში ი. დ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა და ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან, ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა (სადავო ბინის მესაკუთრედ ცნობა) სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო მეორე სასარჩელო მოთხოვნა (სადავო ბინის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია) მის თანმდევ შედეგს წარმოადგენს, პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციე-

ლების მიზნით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე ერთადერთ მოპასუხეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახური წარმოადგენს, მაშინ როდესაც ი. დ-შვილის ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობაა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესთან ერთად უნდა დააზუსტოს თუ ვინ არის სათანადო მოპასუხე მესაკუთრედ აღიარების ნაწილში და კანონმდებლობის შესაბამისად, ჩააბას იგი საქმეში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.